

# **სისხლის საპატიალი ზოგადი და კეჩო ნანილაი**

## **სისხლის საპატილის კროხანი კეჩო ნანილი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადანყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
**სისხლის სამართლის საქმეებზე**  
2019, №10-12

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Criminal Cases**  
(in Georgian)  
2019, №10-12

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Strafsachen**  
(in der georgischen Sprache)  
2019, №10-12

Решения Верховного Суда Грузии  
**по уголовным делам**  
(на грузинском языке)  
2019, №10-12

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

**რუსუღან ჭანტურიძე**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6,  
ტელ: 299 04 18; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

# საკიეპელი

## სისხლის სამართალი

### ზოგადი ნაწილი

#### 1. სასჯელის მიზნები და სახეები

ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა ..... 4; 8; 12

#### 2. სასჯელის დანიშვნა

სასჯელის შემსუბუქება ..... 17; 20; 25

#### 3. ამნისტია, შეწყალება, ნასამართლობა

ამნისტია, შეწყალება ..... 29

ამნისტია ..... 34; 37

### კერძო ნაწილი

#### 1. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ

განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ჯგუფურად ..... 40

განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი ხულიგნური ქვენაგრძნობით და განსაკუთრებული სისასტიკით ..... 57

#### 2. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი ხულიგნური ქვენაგრძნობით ..... 65

#### 3. დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ

გარყენილი ქმედება ..... 71

## სისხლის სამართლის პროცესი

### კერძო ნაწილი

#### 1. კასაცია

საკასაციო განაჩენი

გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა ..... 80

გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა ..... 88

განაჩენში ცვლილების შეტანა ..... 99

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სააპელაციო სასამართლოს განაჩენის უცვლელად დატოვება ..... 111; 115; 121

შებრუნება საუარესოდ ..... 129

#### 2. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესი

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინების უცვლელად დატოვება ..... 136; 139; 141; 144; 148; 155; 163; 165

# სისხლის სამართალი

## ზოგადი ნაწილი

### 1. სასჯელის მიზნები და სახეები

#### ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობით მსჯავრებულ ჩათვლა

#### განაჩენი საქართველოს სახელით

№37აპ-19

15 ივლისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

ბ. ალავეიძე,

პ. ქათამაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. კ.-ს და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. შ.-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 8 ნოემბრის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 18 ივნისის განაჩენით ი. კ., ..., ნასამართლობის არმქონე, – დაუსწრებლად ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 4 წლით. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2017 წლის 3 ნოემბრიდან იმავე წლის 8 დეკემბრის ჩათვლით.

2. განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ი. კ.-მ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ.

3. მსჯავრდებულ ი. კ.-ს მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

- 2017 წლის 10 ოქტომბერს, დახლოებით 23-დან 24 საათამდე დროის მონაკვეთში, ტ-ს რაიონის სოფელ კ-ში ი. კ.-ა ფარუ-

ლად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაე-  
უფლა შპს „ი-ის“ კუთვნილი, „ფორდის“ მოდელის სატვირ-  
თო ავტომანქანიდან (სახ. ნომერი და სერია – A..) მასში და-  
მონტაჟებულ „ენერჯიზერის“ ფირმის, 920 ლარად ღირებულ  
ორ აკუმულატორს, ასევე – ამავე ფირმის კუთვნილი „ფორ-  
დის“ მოდელის სატვირთო ავტომანქანიდან (სახ. ნომერი და  
სერია – A...) მასში დამონტაჟებულ „მუტლუს“ ფირმის, 800  
ლარად ღირებულ ორ აკუმულატორს. დანაშაულებრივი ქმე-  
დების შედეგად შპს „ი-ს“ მიაღდა 1720 ლარის მნიშვნელოვა-  
ნი მატერიალური ზიანი.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატის 2018 წლის 8 ნოემბრის განაჩენით მსჯავრდე-  
ბულ ი. კ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. შ-ს სააპელაციო  
საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა  
უცვლელად.

5. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით კასატორები ითხოვენ  
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე-  
თა პალატის 2018 წლის 8 ნოემბრის განაჩენში ცვლილების შეტანა-  
სა და ი. კ-ს სასჯელზე საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5  
ნაწილის გავრცელებას, კერძოდ: მსჯავრდებულისათვის შეფარ-  
დებული სასჯელიდან – 4 წლით თავისუფლების აღკვეთიდან – 2  
წლისა და 8 თვის მოხდას პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო 1  
წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთის – პირობით მსჯავრად  
ჩათვლას, 1 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით იმის გათვალის-  
წინებით, რომ ი. კ. აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს;  
ნასამართლობის არმქონეა; შეურიგდა დაზარალებულს; ითანამ-  
შრომლა გამოძიებასთან; ჰყავს მეუღლე და სამი მცირეწლოვანი  
შვილი, რომელთა მარჩენალი თვითონაა; მსჯავრდებული და მისი  
ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების ერ-  
ტიან ბაზაში და იღებენ სოციალურ დახმარებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წარმოდგენილია საკმა-  
რისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს  
მიღმა დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა ი. კ-მ ნამდვილად ჩაი-  
დინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმე-  
დება, რაზეც დეტალურ მსჯელობას პალატა არ მიიჩნევს საჭიროდ,  
ვინაიდან სრულად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დას-  
კვნებს და ამასთანავე, კასატორებს ი. კ-ს ბრალეულობის ნაწილში  
განაჩენის გაუქმების მოთხოვნით საკასაციო საჩივრით არ მოუ-  
მართავთ.

2. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატა, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, მხედველობაში იღებს მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს და მიაჩნია, რომ სამართლიანი იქნება მისთვის შეფარდებული სასჯელის ნაწილის პირობით ჩათვლა, კერძოდ:

3. საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას სასამართლო უფლებამოსილია, განაჩენით დაადგინოს სასჯელის ნაწილის მოხდა, ხოლო დანარჩენი ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა, თუ ბრალდებული (მსჯავრდებული) აღიარებს დანაშაულს (თუ პირს არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე), ასახელებს დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეებს და თანამშრომლობს გამოძიებასთან. საპროცესო შეთანხმების დადების გარდა, თუ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, პირობით მსჯავრად შეიძლება ჩაითვალოს დანიშნული სასჯელის ერთი მეოთხედი, მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში – სასჯელის ერთი მესამედი, ხოლო ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში – სასჯელის ნახევარი. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად საკასაციო პალატა მიიჩნევს ი. კ-ს მიერ დანაშაულის აღიარებასა და მონანიებას, ასევე იმას, რომ მტკიცებულებები არ გახადა სადავოდ, დაზარალებულს აუნაზღაურა მიყენებული ზიანი და არ არის ნასამართლავი. სასამართლო ასევე მხედველობაში იღებს მსჯავრდებულის ოჯახურ მდგომარეობას – მსჯავრდებულს ჰყავს მეუღლე და სამი მცირეწლოვანი შვილი. ეკონომიკურ პირობებთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტ-ს რაიონული განყოფილების 2017 წლის 17 ოქტომბრის წერილის მიხედვით, ი. კ. რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

4. ზემოაღნიშნული გარემოებებისა და იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებულ ი. კ-ს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია, ამასთან, არ არსებობს საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების დამაბრკოლებელი გარემოებები, მის მიმართ უნდა გავრცელდეს ამ მუხლით დადგენილი შეღავათი.

5. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ი. კ-ს და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. შ-ს საკასაციო საჩივრის მოთხოვნა ი. კ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის გავრცელების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის

301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ი. კ-ს და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. შ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 8 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. ი. კ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და მიესაჯოს 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით 2 (ორი) წლითა და 8 (რვა) თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვროს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო დარჩენილი 1 (ერთი) წელი და 4 (ოთხი) თვე ჩაეთვალოს პირობით, 1 (ერთი) წლისა და 6 (ექვსი) თვის გამოსაცდელი ვადით;

4. მსჯავრდებულ ი. კ-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყოს დაკავების მომენტიდან – 2018 წლის 21 ივნისიდან; მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2017 წლის 3 ნოემბრიდან იმავე წლის 8 დეკემბრის ჩათვლით;

5. საქართველოს სსკ-ის 65-ე-66-ე მუხლებისა და „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ მსჯავრდებულის ყოფაქცევაზე კონტროლისა და დახმარების განხორციელება დაევალოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ პრობაციის ეროვნული სააგენტოს პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 8 ნოემბრის განაჩენი გირაოს ნაწილში დარჩეს უცვლელად;

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული  
სასჯელის ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა**

**განაჩენი  
საქართველოს სახელით**

№53აკ-19

19 ივლისი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. პ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ი-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 12 დეკემბრის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 21 სექტემბრის განაჩენით ნ. პ., ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ლ. მ-ისა და შპს „მ-ს“ ეპიზოდები) და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6-6 წლით; საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (შპს „მ-ს“ ეპიზოდი) დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ლ. მ-ის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენყო 2018 წლის 2 მარტიდან.

2. განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ნ. პ-ამ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით (2 ეპიზოდი), რაც გამოიხატა შემდეგში:

- 2018 წლის 1 მარტს, დაახლოებით 17:00 საათზე, თ-ი, გ-ის ქ. №...-ში მდებარე სუვენირების მაღაზია „ვ-ში“, ნ. პ. თავს დაესხა მაღაზიის გამყიდველს – ლ. მ-ს და ცეცხლსასროლი იარაღისმავგვარი საგნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, სხვისი



მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მოსთხოვა საიუველირო ნივთების გადაცემა.

- 2018 წლის 1 მარტს, დაახლოებით 17:10 საათზე, თ-ი, ა-ოს ქ. №...-ში მდებარე მაღაზია „მ-ში“, ნ. პ. თავს დაესხა მაღაზიის კონსულტანტს – ი. ბ-ას და ცეცხლსასროლი იარაღისმაგვარი საგნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა მაღაზია „მ-ში“ არსებულ, ჯამურად – 4980 ლარად ღირებულ სამკაულებს. აღნიშნულის შედეგად შპს „მ...-ს“ მიადგა 4980 ლარის ქონებრივი ზიანი.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 12 დეკემბრის განაჩენით მსჯავრდებულ ნ. პ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ი-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით კასატორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 12 დეკემბრის განაჩენში ცვლილების შეტანასა და საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით ნ. პ-ას სასჯელის – 6 წლით თავისუფლების აღკვეთის – ერთი მესამედის – 2 წლით თავისუფლების აღკვეთის – პირობითად ჩათვლას, ასევე – გასაჩივრებული განაჩენის დაზუსტებას ნივთმტკიცებათა ნაწილში და ნ. პ-ას პირადი ჩხრეკის დროს ამოღებული ნივთების მსჯავრდებულისათვის (ან მისი ნდობით აღჭურვილი პირისათვის) დაბრუნებას იმის გათვალისწინებით, რომ ნ. პ. აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულებს; ითანამშრომლა გამომძიებასთან; უდავოდ გახადა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ნაწილი; არის ჯანმრთელობა-შერყეული პირი – გადატანილი აქვს მწვავე სტაფილოკოკური სეფსისი, რამაც დაუტოვა თრომბის ჩამოყალიბებისაკენ მიდრეკილება; მიღებული ტრავმის გამო თავის ტვინზე ჩამოუყალიბდა კისტოზური ნანაზარდი.

5. ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორი სალომე კახიძე შესაგებლით ითხოვს, არ დაკმაყოფილდეს დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 12 დეკემბრის განაჩენი ნ. პ-ას მიმართ დარჩეს უცვლელად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წარმოდგენილია საკმა-

რისი და უტყუარი მტკიცებულებები (მონმეების – მ. ა-ის, ნ. ს-ას, თ. ჩ-ის, დ. ს-ის, გ. გ-ისა და სხვათა ჩვენებები, პირის ამოცნობის ოქმები, ნივთიერი მტკიცებულებები, ამოღების ოქმები, ლ. მ-ის, ი. ბ-ს, ნ. ა-ისა და ნ. გ-ის გამოკითხვის ოქმები და სხვა), რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა ნ. პ-ამ ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები, რაზეც დეტალურ მსჯელობას პალატა არ მიიჩნევს საჭიროდ, ვინაიდან სრულად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს. ამასთან, კასატორს ნ. პ-ას ბრალეულობის ნაწილში განაჩენის გაუქმების მოთხოვნით საკასაციო საჩივრით არ მოუმართავს.

2. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატა, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, მხედველობაში იღებს მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს – ნ. პ. აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულებს; როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, აქვს ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა; ასევე ითვალისწინებს, რომ მას პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია, ამასთან, არ არსებობს საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების დამაბრკოლებელი გარემოებები და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ნ. პ-ას მიმართ უნდა გავრცელდეს ამ მუხლით დადგენილი შეღავათი და შეფარდებული სასჯელის ნაწილი ჩაეთვალოს პირობით მსჯავრად.

3. საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ ნივთიერი მტკიცებულებების საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოში გადაწყვეტილია კანონიერად და ამ ნაწილში განაჩენში ცვლილების შეტანის საფუძველი არ არსებობს. ამასთან, საქართველოს სსკ-ის 81-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დავა ნივთიერი მტკიცებულებების გამო წყდება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

4. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ნ. პ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ი-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა ნ. პ-ას მიმართ საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის გავრცელების ნაწილში საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ნ. პ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ი-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 12 დეკემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება;

3. ნ. პ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ და განესაზღვროს:

4. საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ლ. მ-ის ეპიზოდი) – 6 (ექვსი) წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვროს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო დარჩენილი 2 (ორი) წელი ჩაეთვალოს პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით;

5. საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (შპს „მ...ს“ ეპიზოდი) – 6 (ექვსი) წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვროს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო დარჩენილი 2 (ორი) წელი ჩაეთვალოს პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით;

6. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნულმა სასჯელმა (შპს „მ...ს“ ეპიზოდი) შთანთქას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი (ლ. მ-ის ეპიზოდი) და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვროს 6 (ექვსი) წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვროს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო დარჩენილი 2 (ორი) წელი ჩაეთვალოს პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით;

7. მსჯავრდებულ ნ. პ-ას თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის ათვლა დაენციოს დაკავების მომენტიდან – 2018 წლის 2 მარტიდან;

8. საქართველოს სსკ-ის 65-ე-66-ე მუხლებისა და „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ მსჯავრდებულის ყოფაქცევაზე კონტროლისა და დახმარების განხორციელება დაევალოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში შემავალ სისპ პრობაციის ეროვნული სააგენტოს პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 12 დეკემბრის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;

10. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული  
სასჯელის ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა**

**განაჩენი  
საქართველოს სასჯელით**

№281აპ-19

4 ოქტომბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ.კ-ს საკა-  
საციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სა-  
მართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 15 თებერვლის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-  
მეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი გან-  
ხილვის კოლეგიის 2018 წლის 6 აგვისტოს განაჩენით დ. კ. – დაბა-  
დებული ..... ნელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქარ-  
თველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ი-ს  
ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 180-ე მუხ-  
ლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ნ. ს-ს ეპიზოდი) – 6 წლით თა-  
ვისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნა-  
წილის თანახმად, ერთმა თანაბარმა სასჯელმა შთანთქა მეორე და  
საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, დ. კ-ს სასჯელის სახედ  
და ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავ-  
რდებულ დ. კ-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო განაჩენის აღ-  
სრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან. მასვე სასჯელის  
მოხდის ვადაში ჩაეთვალა დაკავებაში ყოფნის დრო – 2017 წლის  
25 დეკემბრიდან იმავე წლის 27 დეკემბრის ჩათვლით.

2. აღნიშნული განაჩენით დ. კ-ს მსჯავრი დაედო თაღლითობა-  
ში, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი  
ნივთის დაუფლებაში მოტყუებით, ჩადენილი დიდი ოდენობით (2  
ეპიზოდი), რაც გამოიხატა შემდეგში:

- 2017 წლის ივლისში დ. კ-მ განიზრახა, მოტყუებით დაუფ-  
ლებოდა სხვის ნივთს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზ-  
ნით, 2017 წლის 19 ივლისს თ. ნოტარიუს ე. ჯ-სთან გაფორ-

მებული ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე დ. კ-მ დროებითი სარგებლობით, 2019 წლის 20 იანვრამდე, ყოველთვიურად 850 ლარის გადახდის ვალდებულებით, იქირავა ა. პ-ს საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინა (მდებარე ქ. თ. ს.). დ. კ-მ განიზრახა მოტყუების გზით, ა. პ-ს აღნიშნული ქონების გამოყენებით, სხვისი თანხის დაუფლება და ამავე ბინაში მოელაპარაკა ი-ს ბინის დაგირავებაზე. იგი მოატყუა, რომ ბინა ეკუთვნოდა თავის ბიძას – ა. პ-ს და შეუთანხმდა სესხის ხელშეკრულებისა და შინაურული ხელწერილით ბინის დაგირავების გაფორმებაზე. 2017 წლის 19 ივლისს თ. მდებარე ნოტარიუს გ-ს სანოტარო ბიუროში ი-სა და დ. კ-ს შორის იპოთეკის ხელშეკრულების ნაცვლად, გაფორმდა ვალის აღიარების ხელშეკრულება 1 წლითა და 6 თვით, ყოველთვიურად 670 ლარის გადახდით. სესხის პერიოდის განმავლობაში ბინაში დ. კ. – ცხოვრების უფლებას აძლევდა ი-სა და ე. წ-ს. ნოტარიუს გ-ს სანოტარო ბიუროში დ. კ-მ ი-ს დაუნერა ხელწერილი, რაც დაერთო ვალის აღიარების ხელშეკრულებას, ხოლო ი-მ, თავის მხრივ დ. კ-ს იქვე გადასცა ბინის გირავნობის თანხის ნაწილი – 3000 აშშ დოლარი, ხოლო მოგვიანებით – 2000 აშშ დოლარი. თანხის მიღების შემდეგ დ. კ. მიიმალა. დ. კ-მ ზემოაღნიშნული ბინა დააგირავა და ხელშეკრულება გააფორმა ისე, რომ მისმა მესაკუთრემ – ა. პ-მ ამის შესახებ არაფერი იცოდა, რის გამოც მან მოსთხოვა ი-სა და მის შვილებს – მ. და ე. წ-ებს ბინის დაცლა. დ. კ-ს დანაშულებრივი ქმედებით ი-ს მიადგა 5000 აშშ დოლარის (12039 ლარის) მატერიალური ზიანი.

- 2017 წლის 4 ოქტომბერს მოქალაქე თ. ლ-სა და დ. კ-ს შორის თ. , წ-ში მდებარე ბინა ... ში გაფორმდა ზეპირი ხელშეკრულება, რის საფუძველზეც თ. ლ. მის კუთვნილ საცხოვრებელ ბინას (მდებარე ქ. თ. , წ. , ბინა ..), აქირავებდა 2 წლით, ყოველთვიურად 250 აშშ დოლარის გადახდით. დ. კ-მ განიზრახა მოტყუებით, თ. ლ-ს კუთვნილი მითითებული ბინის გამოყენებით, სხვისი თანხის დაუფლება და 2017 წლის 5 ოქტომბერს, მას შემდეგ, რაც დ. კ-მ თ. ლ-საგან ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე იქირავა მისი საცხოვრებელი ბინა დაგირავების მიზნით, ამავე ბინაში მოელაპარაკა ნ. ს-ს ბინის დაგირავებაზე. იგი მოატყუა, რომ ბინის მესაკუთრე იყო თავისი დედა – თ. ლ. იმავე დღეს ქ. თ. მდებარე ნოტარიუს გ-ის სანოტარო ბიუროში ნ. ს-სა და დ. კ-ს შორის გირავნობის ხელშეკრულების ნაცვლად, გაფორმდა სესხის ხელშეკრულება ორი წლით, ყოველთვიურად 600 ლარის ანაზღაურებით.

- ანაზღაურებამდე, სესხის პერიოდის განმავლობაში, დ. კ. ბინაში ცხოვრების უფლებას აძლევდა ნ. ს-ს. დ. კ-ს ნ. ს-მ მოსთხოვა დედამისის – თ. ლ-ს მინდობილობა აღნიშნული ბინის განკარგვის უფლების შესახებ, რაზეც მან განუცხადა, რომ მინდობილობას აუცილებლად მიაწვდიდა პირადად და დრო რომ არ დაეკარგათ, იქვე, ნოტარიუს გ-ის სანოტარო ბიუროში ნ. ს-ს დაუწერა ხელწერილი, რაც დაერთო სესხის ხელშეკრულებას, ხოლო ნ. ს-მ, თავის მხრივ, დ. კ-ს იმავე დღეს გადასცა ბინაში ცხოვრების სესხის ხელშეკრულების საფუძველზე თანხის ნაწილი – 6500 ლარი, ხოლო მოგვიანებით – 5 000 ლარი და შემდგომ – 2 900 ლარი. თანხის მიღების შემდეგ დ. კ. მიიმალა. დ. კ-მ ზემოაღნიშნული ბინა დააგირავა და ხელშეკრულება გააფორმა ისე, რომ მისმა მესაკუთრემ – თ. ლ-მ არაფერი იცოდა. ნ. ს. ბინის მესაკუთრის მოთხოვნით იძულებული გახდა, დაეტოვებინა ბინა. დ. კ-ს დანაშაულებრივი ქმედებით ნ. ს-ს მიადგა 14400 ლარის მატერიალური ზიანი.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 6 აგვისტოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა დ. კ-მ. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ: მისთვის შეფარდებული სასჯელის შემსუბუქება და სასჯელის სახით ჯარიმის განსაზღვრა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 15 თებერვლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 6 აგვისტოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა დ. კ-მ. კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის სასჯელის ნაწილში ცვლილების შეტანას, კერძოდ: მისთვის შეფარდებული სასჯელის შემსუბუქებას და ძირითადი სასჯელის სახით 3000-ლარიანი ჯარიმის განსაზღვრას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ დ. კ-ს საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს მის სასიკეთოდ, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებული დ. კ. სადავოდ არ ხდის მის ბრალეულობას საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) გათვალისწინებულ ქმედებათა ჩადენაში და განაჩენს ასაჩივრებს მხოლოდ სასჯელის ნაწილში, რის გამოც საკასაციო პალატა არ მსჯელობს მსჯავრდებულის ბრალეულობის საკითხზე.

3. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნებსა და ამავე კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრული სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო ელემენტებს, ასევე – პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს. საკასაციო პალატა, პირველ ყოვლისა, მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ მსჯავრდებულმა დ. კ-მ ჩაიდინა მძიმე კატეგორიის ორი დანაშაული და დაზარალებულებისათვის მიყენებული ზიანი არ აუნაზღაურებია, რის გამოც საკასაციო პალატას მიზანშეწონილად არ მიაჩნია მის მიმართ სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენება. ამავე დროს, საკასაციო პალატა ასევე ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ მსჯავრდებულმა დ. კ-მ გამოძიების ეტაპიდანვე აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, უდავოდ ცნო მტკიცებულებები, წარსულში არ არის ნასამართლევნი, ჰყავს მცირეწლოვანი შვილი და მიაჩნია, რომ აღნიშნულისა და ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ მას პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია და აგრეთვე, არ არსებობს საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების დამაბრკოლებელი გარემოებები, მსჯავრდებულ დ. კ-ს მიმართ უნდა გავრცელდეს ამ მუხლით დადგენილი შეღავათი და მას უნდა შეუმსუბუქდეს შეფარდებული სასჯელი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ დ. კ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 15 თებერვლის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:
3. მსჯავრდებულ დ. კ-ს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის

მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ი-ს ეპიზოდი) მიესაჯოს 6 (ექვსი) წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვროს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო დარჩენილი 2 (ორი) წელი ჩაეთვალოს პირობით, 2 (ორი) წლის გამოსაცდელი ვადით;

4. მსჯავრდებულ დ. კ-ს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ნ. ს-ს ეპიზოდი) მიესაჯოს 6 (ექვსი) წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვროს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო დარჩენილი 2 (ორი) წელი ჩაეთვალოს პირობით, 2 (ორი) წლის გამოსაცდელი ვადით;

5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ერთმა თანაბარმა სასჯელმა შთანთქას მეორე და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვროს 6 (ექვსი) წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვროს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო დარჩენილი 2 (ორი) წელი ჩაეთვალოს პირობით, 2 (ორი) წლის გამოსაცდელი ვადით;

6. მსჯავრდებულ დ. კ-ს სასჯელის ათვლა დაეწეოს დაკავების მომენტიდან – 2018 წლის 6 აგვისტოდან; მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს დაკავებაში ყოფნის დრო – 2017 წლის 25 დეკემბრიდან 2017 წლის 27 დეკემბრის ჩათვლით;

7. საქართველოს სსკ-ის 65-ე-66-ე მუხლებისა და „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ მსჯავრდებულის ყოფაქცევაზე კონტროლისა და დახმარების განხორციელება დაევალოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ პრობაციის ეროვნული სააგენტოს პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 15 თებერვლის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.

9. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.



## 2. სასჯელის დანიშვნა

### სასჯელის შემსუბუქება

#### განაჩენი

#### საქართველოს სახელმწიფო

№15აპ-19

9 ივლისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ფ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. დ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ოქტომბრის განაჩენზე.

#### აღწერითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 23 ივლისის განაჩენით გ. ფ. – დაბადებული 1... წელს, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენციო 2017 წლის 13 ნოემბრიდან. მასვე 2 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

2. განაჩენით მსჯავრდებულ გ. ფ-ს მსჯავრი დაედო მექანიკური ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევისათვის იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და რაც გამოიხატა შემდეგში:

- 2017 წლის 12 ივლისს, დაახლოებით 21:55 საათზე, თ., ც. დ-ს ქუჩა №...-ის მიმდებარედ, გ. ფ. მართავდა „სუზუკის“ მარკის მოტოციკლეტს, სახ. №A... . მოძრაობისას მან დაარღვია „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები და შეეჯახა ქვეით მ. ჩ-ს. აღნიშნული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევისას მიღე-

ბული ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად მ. რ. იმავე დღეს, კლინიკაში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

3. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა დაცვის მხარემ, რომელიც საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას, საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით მინიმალური სასჯელის განსაზღვრას და მის პირობითად ჩათვლას.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ოქტომბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 23 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ოქტომბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. ფ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ზ. დ-მ. კასატორი საჩივრით ითხოვს სასჯელის ნაწილში განაჩენში ცვლილების შეტანას, გ. ფ-სათვის საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელის განსაზღვრას და ამ სასჯელის პირობითად ჩათვლას შემდეგ გარემოებებზე მითითებით: გ. ფ. აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს; არ არის ნასამართლევი; არის 19 წლის ახალგაზრდა, რომელიც ჰყავს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი; ჩაიდინა გაუფრთხილებელი დანაშაული; მან შესაძლებლობის ფარგლებში აღმოუჩინა მატერიალური დახმარება გარდაცვლილის ოჯახს და ახლაც მზადაა, მ. რ-ს მცირეწლოვან შვილს ყოველთვიურად, სრულწლოვანებამდე, დაეხმაროს – გადაუხადოს სპორტული თუ საგანმანათლებლო ხასიათის კურსების თანხა, წაიყვანოს დასასვენებლად სეზონურად, ოჯახის თანხმობის შემთხვევაში, მიიღოს მონაწილეობა მის აღზრდაში.

6. პროკურორი იოსებ ხუციშვილი შესაგებლით ითხოვს ადვოკატ ზ. დ-ს საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობასა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ოქტომბრის განაჩენის უცვლელად დატოვებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა სრულად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს იმ ნაწილში, რომ მსჯავრდებულმა გ. ფ-მ ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწი-

ლით გათვალისწინებული ქმედება, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილია ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს გ. ფ-ს მიერ მექანიკური ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევას იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

3. რაც შეეხება სასჯელის სამართლიანობას, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნებსა და ამავე კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრული სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო ელემენტებს, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს და აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში გ. ფ-ს მსჯავრი დაედო მძიმე კატეგორიის სატრანსპორტო დანაშაულის ჩადენაში. საკასაციო პალატა, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში იღებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული შედეგის სიმძიმეს, თუმცა ამავედროულად ითვალისწინებს მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის აღიარებასა და გულწრფელ მონანიებას, წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, დამნაშავის ყოფაქცევას ქმედების ჩადენის შემდეგ (მატერიალურად დაეხმარა გარდაცვლილის ოჯახს, მზადაა, გარდაცვლილის შვილის აღზრდაში მიიღოს აქტიური მონაწილეობა, ასევე – სრულწლოვანებამდე დაეხმაროს ფინანსურად).

4. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით სასჯელის სახედ და ზომად დადგენილია თავისუფლების აღკვეთა 4-დან 7 წლამდე. საკასაციო პალატას მიაჩნია: მსჯავრდებულ გ. ფ-ს ქმედებისა და იმის გათვალისწინებით, რომ მოძრაობის უსაფრთხოების წესები დაარღვია როგორც მსჯავრდებულმა, ისე – გარდაცვლილმა, ასევე – დანაშაულის აღიარების, გულწრფელი მონანიებისა და ქმედების ჩადენის შემდეგ დამნაშავის ყოფაქცევის გამო, გ. ფ-ს საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით დანიშნული სასჯელი უნდა შეუმცირდეს 6 თვით და უნდა განესაზღვროს 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, თუმცა მართლსაწინააღმდეგო შედეგის მხედველობაში მიღებით (ადამიანის სიცოცხლის მოსპობა) მის მიმართ საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. მსჯავრდებულ გ. ფ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. დ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:
3. გ. ფ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით და მიესაჯოს 4 (ოთხი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 2 (ორი) წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება;
4. განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;
5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **სასჯელის შემსუბუქება**

### **ბ ა ნ რ ი ნ ა ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ**

№265აპ-19

12 სექტემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),**

**ბ. ალავეიძე,**

**პ. ქათამაძე**

ზეპირი მოსმენით განიხილა მსჯავრდებულ რ. ს-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ლ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განაჩენზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 2 თებერვლის განაჩენით რ. ს. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-2,

მე-4 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლით. მასვე 3 წლით ჩამოერთვა ავტომანქანის მართვის უფლება. რ. ს-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2003 წლის 24 დეკემბრიდან.

ამავე განაჩენით დაკმაყოფილდა ი. ბ-ს სამოქალაქო სარჩელი და განსასჯელ რ. ს-ს დაეკისრა 11811 ლარის გადახდა დაზარალებულ ი. ბ-ს სასარგებლოდ.

დაკმაყოფილდა მ. ჯ-ის სამოქალაქო სარჩელი და განსასჯელ რ. ს-ს დაეკისრა 10050 ლარის გადახდა მ. ჯ-ის სასარგებლოდ.

დაკმაყოფილდა ლ. ხ-ის სამოქალაქო სარჩელი და განსასჯელ რ. ს-ს დაეკისრა 33363,32 ლარის გადახდა ლ. ხ-ის სასარგებლოდ.

დაკმაყოფილდა მ. ნ-ას სამოქალაქო სარჩელი და განსასჯელ რ. ს-ს დაეკისრა 5000 ლარის გადახდა მ. ნ-ას სასარგებლოდ.

2. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რ. ს-მ ჩაიდინა ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება და ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ჩადენილი მთვრალ მდგომარეობაში.

რ. ს-ს დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 1999 წლის 7 აგვისტოს, დაახლოებით 23.00 საათზე, „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-9 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით (მძღოლს ეკრძალება მართოს სატრანსპორტო საშუალება ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში; დასახლებულ პუნქტში სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა ნებადართულია არა უმეტეს 60 კმ/სთ სიჩქარით), ნასვამი რ. ს. 100 კმ/სთ სიჩქარით მართავდა ავტომანქანა „ბმე-ს“ (სახ. №...) და მოძრაობდა დ. ა-ის ხეივანში მ-ის მხრიდან თ-ის მიმართულებით. იგი გასცდა ბენზინგასამართ სადგურ „ლ-ს“, რა დროსაც დაარღვია „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები (მძღოლმა სატრანსპორტო საშუალება უნდა მართოს ისეთი სიჩქარით, რომელიც არ აღემატება დადგენილ შეზღუდვას, ამასთან, მან უნდა გაითვალისწინოს მოძრაობის ინტენსიურობა, სატრანსპორტო საშუალებისა და ტვირთის თავისებურება და მდგომარეობა, საგზაო და მეტეოროლოგიური პირობები, ხილვადობა მოძრაობის მიმართულებით. სიჩქარე საშუალებას აძლევს მძღოლს, მუდმივი კონტროლი გაუწიოს სატრანსპორტო საშუალებას მოძრაობის წესების მოთხოვნათა შესასრულებლად. მოძრაობისათვის საფრთხის წარმოქ-

მნის შემთხვევაში მძლოლი იღებს შესაბამის ზომებს მოძრაობის სიჩქარის შესამცირებლად, სატრანსპორტო საშუალების სრულ გაჩერებამდე). კერძოდ, მან გადაამეტა აღნიშნულ გზის ნაწილზე დაშვებულ სიჩქარეს, ავტომანქანას მართავდა 100 კმ/სთ სიჩქარით, ვერ დაიცვა სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის წესები და მიუხედავად იმისა, რომ მოძრაობის მიმართულებით ჰქონდა განუსაზღვრელი ხილვადობა, შექმნა მოძრაობისათვის საფრთხე, არ მიიღო ზომები სიჩქარის შესამცირებლად და ავტომანქანის გასაჩერებლად. რ. ს. ჯერ დაეჯახა სავალი ნაწილის მარცხენა მხარეს გაჩერებულ ავტომანქანა „ვაზ-2106-ს“ (სახ. №...), შემდეგ – „ვაზ-2106-ს“ და მის მოპირდაპირედ გაჩერებულ „ვაზ-2109-ს“ (სახ. №...) შორის, სავალ ნაწილზე მყოფ დ. ბ-სა და ლ. ხ-ს, შემდეგ – ა/მანქანა „ვაზ-2109-ს“. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება მიიღო ავტომანქანა „ბმვ-ს“ მგზავრმა ზ. გ-ემ, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება – ლ. ხ-მა, ხოლო გარდაიცვალნენ „ვაზ-2106-ის“ მგზავრი გ. გ. და „ბმვ-ს“ მგზავრები – ზ. ნ. და დ. ბ.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განაჩენით თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 2 თებერვლის განაჩენში შევიდა ცვლილება.

რ. ს-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-2, მე-4 და მე-8 ნაწილებით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის გამოყენებით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 2 წლითა და 3 თვით ჩამოერთვა ავტომანქანის მართვის უფლება.

4. კასატორები – მსჯავრდებული რ. ს. და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. ლ. საკასაციო საჩივრით ითხოვენ ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი გადაწყვეტილების მიღებას: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განაჩენის გაუქმებასა და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განაჩენში ცვლილების შეტანას; პირველი და სააპელაციო სასამართლოების განაჩენებისა და განჩინებების გაუქმებას.

საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ადვოკატმა გ. ლ-მა შეცვალა საკასაციო საჩივრის მოთხოვნა, კერძოდ, ითხოვა რ. ს-თვის

დანიშნული სასჯელის შემცირება, აგრეთვე – მის მიმართ საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს სასჯელის ნაწილში.

2. საქმის მასალებით ირკვევა, რომ შეკრებილი მტკიცებულებები ორივე ინსტანციის სასამართლომ გამოიკვლია და შეაფასა სრულად, ობიექტურად და, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დადგინლად მიიჩნია მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც უტყუარად დასტურდებოდა და ეჭვს არ იწვევდა. რ. ს-ს მიერ ჩადენილი დანაშაული – ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება და ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ჩადენილი მთვრალ მდგომარეობაში – დასტურდება საქმეში არსებული და სასამართლოს მიერ გამოკვლეული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ, მონმეების ჩვენებებით, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ცნობით, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით.

3. რაც შეეხება სასჯელს, განსახილველ შემთხვევაში რ. ს. მსჯავრდებულია სატრანსპორტო დანაშაულის ჩადენისთვის. საკასაციო პალატა, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში იღებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული შედეგის სიმძიმეს, თუმცა ამავდროულად ითვალისწინებს მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის აღიარებასა და მონანიებას, დაზარალებულების უფლებამონაცვლეების – მ. ჯ-ისა და მ. ნ-ას განცხადებებს, რომელთა მიხედვითაც, ისინი თანხმობას აცხადებენ, რომ რ. ს-ს მიმართ გამოყენებულ იქნეს საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შეღავათები და იგი გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან, პიროვნულ მახასიათებლებს (რ. ს. არის ა-ს მამათა მონასტრის წინამძღვარი, ეკლესიაში ერთგული მსახურებისთვის აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში, მონაწილეობდა არაერთი მონასტრის მშენებლობაში) და მსჯავრდებულის მისწრაფებას, დაეხმაროს დაზარალებულების ოჯახებს.

4. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და 565-ე მუხლის გამოყენებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ რ. ს-ს სასიკეთოდ, კერძოდ: რ. ს-ს საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-2, მე-4 და მე-8 ნაწილებით (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია) სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 და მე-18 მუხლების თანახმად, უნდა შეუმცირდეს 1/4-ით და საბოლოოდ ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. საკასაციო პალატის აზრით, მართლსაწინააღმდეგო შედეგის მხედველობაში მიღებით (ადამიანის სიცოცხლის მოსპობა), მის მიმართ დამატებით საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, როგორც კანონიერი და დასაბუთებული, უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით (1998 წლის 20 თებერვლის კანონი) და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ რ. ს-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. რ. ს-ს საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-2, მე-4 და მე-8 ნაწილებით (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია) სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 3 წლით ჩამოერთვას ავტომანქანის მართვის უფლება.

3. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 და მე-18 მუხლების თანახმად რ. ს-ს დანიშნული სასჯელები შეუმცირდეს 1/4-ით და საბოლოოდ განესაზღვროს 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 2 წლითა და 3 თვით ჩამოერთვას ავტომანქანის მართვის უფლება.

4. რ. ს-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაენწყოს 2019 წლის 21 მარტიდან. მასვე სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალოს: ფსი-



ქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსების პერიოდი – 2000 წლის 29 ივნისიდან 2000 წლის 21 ივლისამდე, 2000 წლის 21 ნოემბრიდან 2001 წლის 18 იანვრამდე, 2001 წლის 27 აპრილიდან 2001 წლის 19 ივლისამდე, 2001 წლის 26 ოქტომბრიდან 2001 წლის 26 ნოემბრამდე, 2002 წლის 25 ნოემბრიდან 2002 წლის 27 დეკემბრამდე, 2003 წლის 24 დეკემბრიდან 2004 წლის 15 იანვრამდე.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;

6. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **სასჯელის შემსუბუქება**

### **განაჩენი საქართველოს სახელმწიფო**

№526აპ.-19

13 დეკემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ბ. ალაფიძე,  
პ. ქათამაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. დ-ს საკაცო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 7 მაისის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 18 თებერვლის განაჩენით ზ. დ., – სასამართლევი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2018 წლის 30 ნოემბრამდე მოქმედი რედაქცია) და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე დაემატა წინა – რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 31 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და ზ. დ-ს განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2018 წლის 22 ოქტომბრიდან.

2. განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ზ. დ-მა ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი, რაც გამოიხატა შემდეგში:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 31 ივლისის განაჩენით ზ. დ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით; მასვე საქართველოს სსკ-ის 41-ე და 44-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 200 საათით. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ზ. დ-მა დაასრულა 2017 წლის 16 ოქტომბერს.

ი. ე. და ზ. დ. არიან და-ძმა და ცხოვრობენ ერთად რ-ი, მ-ის მესამე გასასვლელის მ. კორპუსის ბინა №...-ში. 2018 წლის 22 ოქტომბერს, ურთიერთშელაპარაკებისას, ზ. დ-მა ი. ე. იდაყვით მიიმწყვდია კედელთან და იდაყვითვე ყელში წაუჭირა. შედეგად ი. ე-მა განიცადა ფიზიკური ტკივილი.

3. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ა. ც-ამ, რომელმაც ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და ზ. დ-ს გამართლება იმ მოტივით, რომ ი. ე. დაესხა თავს ზ. დ-ს, რომელიც თავს იცავდა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 7 მაისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 18 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. კასატორი – მსჯავრდებული ზ. დ. საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 7 მაისის განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. პალატა სრულად ეთანხმება და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განაჩენის სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს, რომლებიც ემყარება სასამართლო სხდომებზე გამოკ-

## **ვლელ მტკიცებულებებს, კერძოდ:**

2.1. ზ. დ-მა პირველი ინსტანციის სასამართლოში ჩვენების მიცემისას განმარტა, რომ 2018 წლის 22 ოქტომბერს შელაპარაკება მოუხდა დასთან, რომელმაც საპასუხოდ სახე დაუკანრა, მან კი მოსაშორებლად მოუჭირა ხელი.

2.2. დაზარალებულმა ი. ე-მა სასამართლოზე აჩვენა, რომ შემთხვევის დღეს სიგარეტის გამო იჩხუბა ნასვამ ძმასთან – ზ. დ-თან; უნდოდა სახლიდან გასვლა, რა დროსაც ზ-მა იდაყვით კედელთან მიიმწყვდია, იდაყვითვე წაუჭირა და სუნთქვის საშუალებას არ აძლევდა; სწორედ ამ დროს ჩამოაკანრა სახე ძმას, რომლის მკაცრად დასჯას არ ითხოვს; დაზარალებულმა ასევე განაცხადა, რომ ხელის მოჭერის შედეგად განიცადა ფიზიკური ტკივილი.

2.3. მონმე გ. ი-ის ჩვენებით, მონაწილეობდა ბრალდებულის დაკავებაში; ბინაზე მისვლისას ზ. დ. სახლში იყო, მათ დანახვაზე გახდა აგრესიული და ინევდა თავის დისკენ. მას სახეზე ეტყობოდა ნაკანრები, რომლებზეც თქვა, რომ დამ მიაყენა.

2.4. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 2018 წლის 26 ოქტომბრის №... დასკვნით: „ი. ე-ს ობიექტური შემონმებით აღენიშნება ნაჭდევები კისრის მიდამოში, რაც მიყენებულია რაიმე მკვრივი, ბლავი საგნის მოქმედებით, ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება საქმის გარემოებაში მითითებულ შემთხვევის თარიღს და მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად“. ექსპერტმა ბ. მ-ემ დაადასტურა თავისი დასკვნის სისწორე.

3. გარდა ზემოაღნიშნულისა, ზ. დ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა დასტურდება 2018 წლის 22 ოქტომბრის საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმითა და ფოტოსურათებით. საგამოძიებო ექსპერიმენტში ასახული გარემოებები დაადასტურა მასში მონაწილე ექსპერტმა ი. ნ-ამ.

4. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ ზ. დ-მა ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის მსჯავრად შერაცხული ქმედება.

5. რაც შეეხება დანიშნულ სასჯელს, პალატის აზრით, დაზარალებულის პოზიციის გათვალისწინებით, მსჯავრდებულ ზ. დ-ს საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული სასჯელი უნდა შეუმსუბუქდეს.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხლმძღვანელა საქართველოს სსკ-ის

301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ზ. დ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 7 მაისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

3. მსჯავრდებულ ზ. დ-ს საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2018 წლის 30 ნოემბრამდე მოქმედი რედაქცია) სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 1 (ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა;

4. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 31 ივლისის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი; საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთიდან – 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა და ზ. დ-ს განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოოდ მიესაჯოს 1 (ერთი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა;

5. მსჯავრდებულ ზ. დ-ს სასჯელის მოხდა დაეწყოს დაკავების მომენტიდან – 2018 წლის 22 ოქტომბრიდან;

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **3. ამნისტია, შეწყალება, ნასამართლობა**

#### **ამნისტია, შეწყალება**

##### **განჩინება საქართველოს სახელმწიფო**

№41-19

11 თებერვალი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე**

განიხილა მსჯავრდებულ ზ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 21 იანვრის განჩინებაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 7 აგვისტოს განაჩენით ზ. ჩ-ს, მოეხსნა ბრალდება, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 243-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით და გამართლდა.

ზ. ჩ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის პირველი, მე-4, მე-6, მე-7 და მე-9 პუნქტებით, სსკ-ის 240-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, სსკ-ის 238-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 ნაწილებით, სსკ-ის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი პუნქტითა და სსკ-ის 243-ე მუხლის მე-3 ნაწილით და მიესაჯა:

საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის პირველი, მე-4, მე-6, მე-7 და მე-9 პუნქტებით – უფადო თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 240-ე მუხლის პირველი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

საქართველოს სსკ-ის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 9 წლით;

საქართველოს სსკ-ის 238-ე მუხლის პირველი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით;

საქართველოს სსკ-ის 238-ე მუხლის მე-2 ნაწილით – თავისუფ-

ლების აღკვეთა 4 წლით;

საქართველოს სსკ-ის 238-ე მუხლის მე-4 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 9 წლით;

საქართველოს სსკ-ის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი პუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 14 წლით;

საქართველოს სსკ-ის 243-ე მუხლის მე-3 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 13 წლით;

საქართველოს სსკ-ის მე-40 მუხლის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ ზ. ჩ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – უვადო თავისუფლების აღკვეთა.

ზ. ჩ. დაპატიმრებულია 1997 წლის 24 ივნისიდან.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 30 ივლისის განჩინებით ზ. ჩ-ის საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 1998 წლის 7 აგვისტოს განაჩენში შევიდა ცვლილება:

ზ. ჩ-ის მიერ ჩადენილი ქმედება სსკ-ის 104-ე მუხლის მე-6, მე-7 პუნქტებით, (ძველი რედაქცია) გადაკვალიფიცირდა 2007 წელს მოქმედი სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“, „დ“ ქვეპუნქტებზე;

მისივე ქმედება საქართველოს სსკ-ის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი პუნქტიდან (ძველი რედაქცია) გადაკვალიფიცირდა 2007 წელს მოქმედი სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე და მიესაჯა – თავისუფლების აღკვეთა 9 წლით;

საქართველოს სსკ-ის 238-ე მუხლის მე-4 ნაწილი (ძველი რედაქცია) გადაკვალიფიცირდა 2007 წელს მოქმედი სსკ-ის 236-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებზე და მიესაჯა – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით;

მსჯავრდებულ ზ. ჩ-ს სსკ-ის 104-ე მუხლის (ძველი რედაქცია) პირველი, მე-4 და მე-9 პუნქტებით, სსკ-ის 238-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, სსკ-ის 243-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სსკ-ის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 2007 წელს მოქმედი სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით სასჯელის საბოლოო სახედ და ზომად დარჩა – უვადო თავისუფლების აღკვეთა.

3. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 11 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებული ზ. ჩ. გათავისუფლდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1998 წლის 7 აგვისტოს განაჩენითა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 30 ივლისის გან-

ჩინებით საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით დანიშნული სასჯელისაგან, მასვე ერთი მეოთხედით შემცირდა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 238-ე მუხლის პირველი, მე-2 ნაწილებით (ძველი რედაქცია), სსკ-ის 243-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და სსკ-ის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ძველი რედაქცია) დანიშნული სასჯელები და საბოლოოდ, განესაზღვრა – უფადო თავისუფლების აღკვეთა.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 21 მარტის განჩინებით მსჯავრდებულ ზ. ჩ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

5. საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის განკარგულებით შეწყალებულ იქნა ზ. ჩ, მსჯავრდებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 7 აგვისტოს განჩინებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 30 ივლისის განჩინებით – საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის პირველი, მე-4, მე-9 პუნქტებით, სსკ-ის 238-ე მუხლის პირველი, მე-2 ნაწილებით, სსკ-ის 240-ე მუხლის პირველი, მე-2 ნაწილებით, სსკ-ის 243-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ძველი რედაქცია), სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი, მე-2 ნაწილებით და საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისგან გათავისუფლების თარიღად მიეთითა 2032 წლის 24 ივნისი.

6. 2019 წლის 11 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის №... პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულმა მსჯავრდებულმა ზ. ჩ-მ და საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების საფუძველზე, მოითხოვა მის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის გამოყენება და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განსაზღვრული სასჯელის ერთი მეოთხედით შემცირება.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 21 იანვრის განჩინებით მსჯავრდებულ ზ. ჩ-ის მიმართ არ იქნა გამოყენებული „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-

მეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 21 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ზ. ჩ-მ და ითხოვა მის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის გამოყენება საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის განკარგულების გათვალისწინებით, რომლითაც მას ფაქტობრივად განესაზღვრა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულმა, აგრეთვე საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა მოითხოვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე, კასატორის მოთხოვნის ძირითადი არგუმენტია ის, რომ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე მას უვადო თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად, ფაქტობრივად, განესაზღვრა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. ამდენად, მასზე „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი უნდა გავრცელდეს და სასჯელის საერთო მოცულობა – 35 წელი ერთი მეოთხედით უნდა შემცირდეს. საკასაციო პალატა კასატორის აღნიშნულ არგუმენტს არ ეთანხმება და მიუთითებს, რომ:

3. საქართველოს სსკ-ის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შეწყალებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, შეწყალების აქტით მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან, ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

4. მოცემულ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებიდან ირკვევა, რომ პრეზიდენტმა განსაზღვრა მსჯავრდებულ ზ. ჩ-ის სასჯელალსრულების დანესებულებიდან გათავისუფლების კონკრეტული თარიღი, რაც არ ნიშნავს უვადო თავისუფლების აღკვეთის ვადიანი თავისუფლების აღკვეთით შეცვლას. ამდენად, ვინაიდან „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის თანახმად, ამნისტია ვრცელდება პირისთვის დანიშნულ სასჯელზე, პალატა კანონისმიერად მოკლებულია შესაძლებლობას, დააკმაყოფილოს კასატორის მოთხოვნა. ამასთან, საკასაციო პალატა ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომ წარმოდგენილი საქმის მასალებიდან გამომდინარე, ზ. ჩ-ზე უკვე გავრცელებულია „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012



წლის 28 დეკემბრის კანონი.

5. საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მოთხოვნას საქმის დიდი პალატისთვის გადაცემის შესახებ, ვინაიდან განსახილველი საკითხი არ წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას. ამ საკითხზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა (იხ. მაგალითად №67აგ-16, №41-18), რომლის შეცვლის საფუძველი არ არსებობს.

6. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ზ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 21 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ამნისტია

### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№29<sup>1</sup>-19

11 ივლისი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე**

განიხილა მსჯავრდებულ ლ. გ-ს და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ს. მ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 25 თებერვლის განჩინებაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 24 სექტემბრის განჩინებით ლ. გ., – დაბადებული 1... ნელს, ნასამართლობის არმქონე, – გამართლდა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში; იგი დაუსწრებლად იქნა ცნობილი დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (გ. მ-ს და თ. ზ-ს ეპიზოდები) და მიესაჯა 4-4 წლითა და 6-6 თვით თავისუფლების აღკვეთა; მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – თითოეული ეპიზოდისათვის 3000 ლარი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და ლ. გ-ს დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 6000 ლარი; დაკმაყოფილდა სამოქალაქო სარჩელი და ლ. გ-ს დაზარალებულის სასარგებლოდ დაეკისრა 3305,31 ლარის გადახდა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 25 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებულ ლ. გ-ს მიმართ გავრცელდა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი, კერძოდ: ერთი მესამედით შეუმცირდა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2 ეპიზოდი) შეფარდებული სასჯელები და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 25 თებერვლის განჩინების თაობაზე მსჯავრდებულმა ლ. გ. და მისმა ინტერესე-

ბის დამცველმა, ადვოკატმა ს. მ-მ საჩივრით მომართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორები ითხოვენ განჩინებაში ცვლილების შეტანას, ლ. გ-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და დანიშნული სასჯელის მოხდისაგან სრულად განთავისუფლებას, დაზარალებულის – სს „თ-ბ-ს“ პოზიციის გათვალისწინებით.

4. ადვოკატმა ს. მ-მ მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და ითხოვა მისი დაკმაყოფილება.

5. პროკურორმა ირაკლი ყვავაძემ მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივარს და ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 25 თებერვლის განჩინების უცვლელად დატოვება.

6. დაზარალებულის – სს „თ. ბ-ს“ წარმომადგენელმა თ. კ-მ მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და განაცხადა, რომ თანახმაა, მსჯავრდებულ ლ. გ-ს მიმართ გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონით გათვალისწინებული შეღავათები და იგი გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებულ განჩინებაში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, უნდა გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, თუ ყველა დაზარალებული ან მისი უფლებამონაცვლე ამ კანონის გამოყენებისას გამოძიების ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ ამ პირზე გავრცელდეს ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია.

3. შესაბამისად, მსჯავრდებული ლ. გ. უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2 ეპიზოდი) განსაზღვრული სასჯელისგან, ვინაიდან წარმოდგენილია დაზარალებულის – სს „თ. ბ-ს“ სამართალწარმოების განყოფილების უფროსის – ც. ქ-ს ცნობა, რომლის მიხედვითაც, სს „თ. ბ.“ არ არის წინააღმდეგი, მსჯავრდებულ ლ. გ-ს მიმართ გავრცელდეს კანონით გათვალისწინებული შეღავათები. აღნიშნული პოზიცია სასამართლო პროცესზე საკასაციო საჩივრის განხილვისას დაადასტურა სს „თ. ბ-ს“ წარმომადგენელმა თ. კ-მ.

4. ზემოთ მითითებული კანონის მოქმედება არ ვრცელდება სასჯელის სახით შეფარდებულ/აღსრულებულ ჯარიმაზე.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-11 მუხლით და

**და ა ა ზ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ლ. გ-ს და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ს. მ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 25 თებერვლის განჩინებაში შევიდეს ცვლილება:

3. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-11 მუხლის თანახმად, მსჯავრდებული ლ. გ. გათავისუფლდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 24 სექტემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (გ. მ-ს და თ. ზ-ს ეპიზოდები) თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელებისგან.

4. გასაჩივრებული განჩინება სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

5. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ამნისტია

### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№40<sup>1</sup>-19

12 სექტემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

განიხილა მსჯავრდებულ ზ. ნ. კ-ი რ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. ნ-ას საკასაციო საჩივარი რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 15 აგვისტოს განჩინებაზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს განაჩენით ზ. ნ. კ-ი რ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2002 წლის რედაქცია) და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2. აღნიშნულ განაჩენში რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 11 მაისის განჩინებით შევიდა ცვლილება: „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე მსჯავრდებულ ზ. რ-ას დანიშნული სასჯელი შეუმცირდა ერთი მესამედით და საბოლოოდ განესაზღვრა 4 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

3. 2019 წლის 13 აგვისტოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიმართა ადვოკატმა ზ. ნ-ამ ძებნილი მსჯავრდებულის – ზ. ნ. კ-ი რ-ას მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის №202-ს კანონის გამოყენების თაობაზე, სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების მიზნით, იმის გათვალისწინებით, რომ დაზარალებულებმა – ტ. მ-მა, გ. ა-იმ და ა. ბ-ის უფლებამონაცვლე ზ. ბ-მა განაცხადეს, რომ ზ. ნ. კ-ი რ-ას მიმართ არანაირი პრეტენზია არ გააჩნიათ, რაზეც შედგა სანოტარო აქტები.

4. რუსთავის საქალაქო სასამართლომ 2019 წლის 15 აგვისტოს განჩინებით მსჯავრდებულ ზ. ნ. კ-ი რ-ას მიმართ არ გამოიყენა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი.

5. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 15 აგვისტოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ზ. რ-ას ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ზ. ნ-ამ, რომელმაც ითხოვა მსჯავრდებულ ზ. ნ. კ-ი რ-ას მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის ხელახლა გამოყენება და ამავე კანონის მე-11 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება, დაზარალებულებისა და დაზარალებულის უფლებამონაცვლის პოზიციის გათვალისწინებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-11 მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან უნდა გათავისუფლდეს პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, თუ ყველა დაზარალებული ან მისი უფლებამონაცვლე ამ კანონის გამოყენებისას გამოძიების ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ ამ პირზე გავრცელდეს ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია.

3. ამდენად, დაზარალებულებისა და დაზარალებულის უფლებამონაცვლის თანხმობა, როგორც საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის დაკისრებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლების საფუძველი, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის შესაბამისად, მხედველობაში მიიღება ამ კანონის, ანუ „ამნისტიის შესახებ“ კანონის გამოყენების მომენტისთვის არსებობის შემთხვევაში. კანონის გამოყენების შემდეგ მოპოვებული დაზარალებულის თანხმობა არ წარმოადგენს „ამნისტიის შესახებ“ კანონის ხელმეორედ გავრცელების საფუძველს (იხ. სუსგ №194აგ-16).

4. გარდა ამისა, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბრალდებულზე/მსჯავრდებულზე ამნისტიის გავრცელების თაობაზე გადაწყვეტილებას საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე იღებს შესაბამისი სასამართლო. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, მსჯავრდებულზე ამნისტიის გავრცელების თაობაზე გადაწყვეტილებას დასრულებული სამართალწარმოების საქმეზე იღებს თავდაპირველი გადაწყვეტილების გამომტანი რაიონული (საქალაქო) სასამართლო, რომელ-

საც პატიმრობაში ან პრობაციის რეჟიმში მყოფი მსჯავრდებულის პირად საქმეს ამავე კანონის ამოქმედებიდან 2 კვირის ვადაში მიანვდის შესაბამისი სასჯელალსრულების დაწესებულება, პრობაციის ბიურო ან სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობა, ხოლო ძებნილ მსჯავრდებულზე ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის გავრცელების შესახებ იმავე ვადაში მიმართავს საქართველოს პროკურატურა.

5. მოცემულ შემთხვევაში ზ. ნ. კ-ი რ-ას მიმართ ამნისტია გაავრცელა საქმის თავდაპირველი გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ, რომლის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებაც მსჯავრდებულს ჰქონდა საერთო წესით, კერძოდ კი, საქართველოს სსსკ-ის 292-ე-293-ე მუხლებით დადგენილი წესით, განაჩენის გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოში რუსთავის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით, რითიც მან არ ისარგებლა. იმ შემთხვევაში, თუ ძებნილ მსჯავრდებულს დააპატიმრებენ ან თავად გამოცხადდება სათანადო ორგანოებში, სასამართლოს უფლება ექნება, იმსჯელოს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის გამოყენებაზე.

6. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ზ. ნ. კ-ი რ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. ნ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 15 აგვისტოს განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## კერძო ნაწილი

### 1. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ

#### განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ჯგუფურად

##### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№614აპ-18

9 ივლისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

ბ. ალავიძე,

პ. ქათამაძე

განიხილა მსჯავრდებულების – გ. გ-სა და ა. გ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ნ-ის, ასევე თბილისის პროკურატურის პროკურორ ნანა ჯაყელის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 17 ივლისის განაჩენზე.

##### აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 დეკემბრის განაჩენით:

გ. გ-ი, – ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 15 (თხუთმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

ა. გ-ი, – ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 15 (თხუთმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

2. აღნიშნული განაჩენით მსჯავრდებულებს – გ. გ-სა და ა. გ-ს მსჯავრი დაედოთ განზრახ მკვლელობაში, ჩადენილი ჯგუფურად, რაც გამოიხატა შემდეგში:



გ. ტ-ეს, მცხოვრებს ქ. ქ-ში, ნ-ის ქუჩის მე-... ჩიხის №...-ში, 2000-2001 წლებში დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ქ. ქ-ში, ნ-ის ქუჩა №...-ში მცხოვრებ ძმებ – გ. და ა. რ-ის ძე გ-თან, რის გამოც მოსალოდნელი გართულების თავიდან აცილების მიზნით, გ. ტ-ემ დატოვა ქ. ქ-ი.

2001 წლის 25 ოქტომბერს, დაახლოებით 17 საათზე, ძმები გ. და ა. გ-ები მივიდნენ ქ. თ-ში, რ-ის გამზირის №...-ში არსებულ კაფე-ბარ „მ-ში“, სადაც შენიშნეს ამავე კაფე-ბარში მყოფი გ. ტ.. ძმებმა გ. და ა. გ-მა შურისძიების მოტივით განიზრახეს, ჯგუფურად მოეკლათ გ. ტ. ამ მიზნით ისინი მივიდნენ გ. ტ-თან, რომელიც კაფე-ბარში იჯდა მათკენ ზურგით, თავის ნაცნობებთან ერთად. მოქმედებდნენ რა ერთიანი განზრახვით, ა. გ-მა ლუდით სავსე მინის კათხა რამდენჯერმე ჩაარტყა თავში გ. ტ-ეს, რის შედეგადაც კათხა გატყდა, ხოლო გ. ტ. დავარდა იატაკზე, ა. გ-მა კი გააგრძელა გატეხილი კათხით მისთვის დარტყმების მიყენება; იმავედროულად გ. გ. წიხლებს ურტყამდა თავის არეში გ. ტ-ეს, რომელმაც მიღებული დარტყმების შედეგად გონება დაკარგა, ძმები გ. და ა. გ-ბი კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. გ. ტ. გადაიყვანეს თ-ის №... საავადმყოფოში, სადაც, მიუხედავად განუხლები სამედიცინო დახმარებისა, 2001 წლის 27 ოქტომბერს, 19:00 საათზე, გარდაიცვალა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 25 თებერვლის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე გ. გ-ს ერთი მეოთხედით შეუმცირდა დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა 11 (თერთმეტი) წლითა და 3 (სამი) თვით თავისუფლების აღკვეთა.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 22 თებერვლის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე ა. გ-ს ერთი მეოთხედით შეუმცირდა დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა 11 (თერთმეტი) წლითა და 3 (სამი) თვით თავისუფლების აღკვეთა.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 დეკემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა გ. გ-მა და მისმა ადვოკატმა ა. ნ-ემ; ასევე, მსჯავრდებულმა ა. გ-მა და მისმა ადვოკატმა შ. ხ-ემ. აპელანტებმა მოითხოვეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, შემდეგ გარემოებათა გამო:

– გასაჩივრებული განაჩენით გ. გ-ის მიმართ შერაცხული მსჯავრდება არ არის დასაბუთებული და არ ემყარება ერთმანეთთან თან-

ხედენილ მტკიცებულებათა ერთობლიობას; განაჩენში მითითებულია, რომ ჩადენილი ქმედება დადასტურებულია ამოღებული ნივთმტკიცებებით, ექსპერტიზის დასკვნებითა და მოწმეთა ჩვენებებით, თუმცა, აპელანტიზის აზრით, აღნიშნული მტკიცებულებებით არ დასტურდება გ. გ-ის მონაწილეობა გ. ტ-ის განზრახ მკვლელობაში; მსჯავრდებულს გ. ტ-ის მოკვლის განზრახვა არასდროს ჰქონია, არც წინასწარ იყო შეთანხმებული ამის თაობაზე ა. გ-თან და არც ამსრულებლის როლში იმყოფებოდა, ვინაიდან როგორც წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, გარდაცვლილის სიკვდილი გამოიწვია თავის არეში არსებულმა ჭრილობამ, რომელიც მას არ მიუყენებია. იგი დანაშაულის ჩადენის დროს ს-ში საერთოდ არ იმყოფებოდა.

– სასამართლოს გადაწყვეტილება ა. გ-ის დამნაშავედ ცნობის შესახებ არ გამომდინარეობს უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობიდან. წინააღმდეგობრივ მტკიცებულებათა შეფასებისას სასამართლომ დაუსაბუთებლად უარყო ერთი და მიიღო მეორე მტკიცებულება ისე, რომ საერთოდ არ აღმოფხვრილა მათ შორის არსებული უზუსტობები, რაც არათუ საეჭვოს ხდის, არამედ ერთმნიშვნელოვნად ცხადყოფს სასამართლო დასკვნების მცდარობას; ვერც წინასწარი და ვერც სასამართლო გამოძიების დროს ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა თუნდაც ერთი მტკიცებულება, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა ა. გ-ის ბრალეულობას. დანაშაულის ჩადენის დროს ა. გ-ი ს-ში საერთოდ არ იმყოფებოდა.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 17 ივლისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 17 ივლისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულების – გ. გ-სა და ა. გ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ნ-მა, ასევე – თბილისის პროკურატურის პროკურორმა ნანა ჯაყელმა.

დაცვის მხარე საკასაციო საჩივრით ითხოვს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის გამოტანას სააპელაციო საჩივარში მითითებული საფუძვლებით.

თბილისის პროკურატურის პროკურორი ნანა ჯაყელი საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას მსჯავრდებულ ა. გ-ის ნაწილში, კერძოდ: მსჯავრდებულს სასჯელის ვადის მოხდის ათვლა დაეწყოს 2016 წლის 1 ივლისიდან – საქართველოს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოსათვის მისი გადმოცემის დღიდან; მასვე სასჯელის მოხდის ვადაში უნდა

ჩაეთვალოს საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის დრო – 2016 წლის 4 აპრილიდან 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით, ვინაიდან როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვევა, მისი ე-ის ს-ი პატიმრობაში ყოფნის დრო – 2010 წლის 16 მარტიდან 2014 წლის 19 მარტის ჩათვლით, წარმოადგენს არა საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდს, არამედ იგი დაკავშირებულია ა. გ-ის მიმართ ე-ის ს-ში მიმდინარე გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნასთან.

8. საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება.

9. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულების – გ. გ-სა და ა. გ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ნ-მა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულების – გ. გ-სა და ა. გ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ნ-სა და თბილისის პროკურატურის პროკურორ ნანა ჯაყელის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულების ჩვენებებს, რომ მათ დანაშაული არ ჩაუდენიათ და იმ დროს საერთოდ არ იმყოფებოდნენ ს-ში, ვინაიდან მათი ჩვენებები არის არადაამაჯვრებელი, არათანმიმდევრული და მოგონილია პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მიზნით, ამასთან, ისინი ეწინააღმდეგება ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ მტკიცებულებებს, რომელთა ერთობლიობითაც, კერძოდ: დაზარალებულის უფლებამონაცვლე ლ. ზ-ის, მონმეების – ვ. ტ-ის, ხ. თ-ას, ნ. თ-ას, ჯ. თ-ას, ლ. რ-ის, მ. ბ-ის, ა. გ-ის, ა. ტ-ის, მ. უ-ის, ლ. გ-ის ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ფოტოსურათით ამოცნობის ოქმებით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ 2002 წლის 20 იანვრის დადგენილებით, 2001 წლის 11 დეკემბრის ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, 2001 წლის 19 ნოემბრის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, 2017 წლის 12 დეკემბრის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, საქართველოს შსს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ 2018 წლის 26 თებერვალს გაცემული ინფორმაციით, სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს მიერ 2018 წლის 27 თებერვალს გაცემული ინფორმაციითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით საკა-

საციო პალატას დადასტურებულად მიაჩნია მათ მიმართ მსჯავრად შერაცხული ქმედებების ჩადენა.

3. დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის პირველი არგუმენტი მდგომარეობს შემდეგში: ძმებს – გ. და ა. გ-ს არ გააჩნდათ გ. ტ-ის მკვლელობის მოტივი (შურისძიება) და ამის შესახებ ვარაუდს გამოთქვამს მხოლოდ დაზარალებულის უფლებამონაცვლე ლ. ზ., რომლის ჩვენებაც არ დასტურდება საქმეში წარმოდგენილი არცერთი სხვა მტკიცებულებით. გარდა ამისა, დაცვის მხარე მიუთითებს, რომ ლ. ზ-ის ჩვენება მისი და მისი შვილების ქ-დან თ-ში გადასვლის მიზეზის ნაწილში ეწინააღმდეგება მოწმე ვ. ტ-ის ჩვენებას, კერძოდ: ლ. ზ. განმარტავს, რომ თ-ში გადავიდნენ იმის გამო, რომ გ. ტ-ეს თავიდან აეცილებინა ძმებ გ. და ა. გ-ბთან ურთიერთობის მოსალოდნელი გართულება, ხოლო ვ. ტ-ემ გადასვლის მიზეზად მიუთითა სწავლა და მეტი პერსპექტივა. დაცვის მხარე აპელირებს იმ ფაქტზეც, რომ ვ. ტ. პირადად არ შესწრებია გ. ტ-სა და გ-ებს შორის მომხდარ ფიზიკურ დაპირისპირებას, რასაც სააპელაციო პალატა თავის განაჩენში დამახინჯებით, არასწორი ინტერპრეტაციით გადმოსცემს.

4. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება დაცვის მხარის აღნიშნულ მოსაზრებებს და მიუთითებს შემდეგს: ან გარდაცვლილ გ. ტ-სა და ძმებ გ. და ა. გ-ს შორის როგორც წარსულში არსებულ უთანხმოებას, ასევე ფიზიკურ დაპირისპირებასაც თავის ჩვენებაში ადასტურებენ როგორც ლ. ზ., ასევე – ვ. ტ.. უფრო მეტიც, ლ. ზ. გადმოსცემს არა მხოლოდ სხვის ნაამბობს, როგორც ამას დაცვის მხარე წარმოაჩენს, არამედ მისი ჩვენებიდან დგინდება, რომ იგი პირადად შეესწრო მის შვილს – ან გარდაცვლილ გ. ტ-სა და ძმებ გ. და ა. გ-ბს შორის მომხდარ ფიზიკურ დაპირისპირებას. უშუალოდ მან დაინახა, რომ მას დაახლოებით 10 ადამიანი სცემდა, მათ შორის – ძმები გ-ბიც.

5. რაც შეეხება მოწმე ვ. ტ-ის ჩვენებას, აღსანიშნავია, რომ საქმის სააპელაციო წესით განხილვისას იგი მოწმის სახით ვერ დაიკითხა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიზეზით, რის გამოც მის მიერ წინასწარ გამოძიებასა და პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემული ჩვენებები გამოქვეყნდა კანონის მოთხოვნათა დაცვით. ვ. ტ. თავის ორივე ჩვენებაში (წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში მიცემულ ჩვენებები) ადასტურებს გ. ტ-სა და ძმებ გ. და ა. გ-ბს შორის თავდაპირველად წარმოშობილი კონფლიქტისა და მოგვიანებით – ფიზიკური დაპირისპირების ფაქტებს, კერძოდ: წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებაში იგი უთითებს, რომ უკანასკნელ პერიოდში მის ძმას – გ. ტ-ეს ცუდი დამოკიდებულება ჰქონდა ძმებ გ. და ა. გ-ბთან, რომელიც, როგორც მას

ახსოვს, დაიწყო 1999 წლის ზაფხულში. მაშინ მას და მის ძმას, მათთან (ძმებ გ. და ა. გ-თან) მოუხდათ ჩხუბი, რა დროსაც მის ძმას სცემეს. პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით დაკითხვისას ვ. ტ-ემ ასევე დაადასტურა, რომ სანამ გ. ტ-ეს მოკლავდნენ, მასა და ძმებ გ. და ა. გ-ბს შორის „წარმოიშვა უსიამოვნო ურთიერთობა“ ... „მერე ისიც გავიგე, რომ ჩემს ძმასა და გ-ბს შორის ჩხუბიც ყოფილა“. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ვ. ტ-ემ პირველი ინსტანციის სასამართლოში ჩვენების მიცემისას თანხმობა განაცხადა მის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენების გამოქვეყნებაზე, რის შემდეგაც დაადასტურა მისი სისწორე. ამდენად, უსაფუძვლოა დაცვის მხარის მითითება, რომ თითქოსდა, ლ. ზ-სა და ვ. ტ-ის ჩვენებებით არ დასტურდება გ. ტ-სა და ძმებ გ. და ა. გ-ებს შორის არსებული უთანხმოებისა და ფიზიკური დაპირისპირების ფაქტები.

6. რაც შეეხება იმ გარემოებას, თუ კონკრეტულად რა მიზეზით გადავიდნენ ლ. ზ., გ. ტ. და ვ. ტ. თ-ში საცხოვრებლად, ლ. ზ. მართლაც განმარტავს, რომ წამოსვლის მიზეზი იყო გ. ტ-ესა და ძმებ გ. და ა. გ-ბს შორის შესაძლო მომავალი კონფლიქტების თავიდან აცილება, ხოლო ვ. ტ. ამის მიზეზად უთითებს სწავლასა და სამომავლო პერსპექტივას, მაგრამ მათ ჩვენებებს შორის არსებული აღნიშნული განსხვავება არ წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელოვან რაიმე არსებით გარემოებას. ბუნებრივია, დედას სურვილი ექნებოდა, საკუთარი შვილები გამოერიდებინა მოსალოდნელი კონფლიქტებისა და ფიზიკური დაპირისპირებებისაგან, რასაც არ დავერ გამორიცხავს ვ. ტ-ის ჩვენება.

7. შემდეგი საკითხი, რის შესახებაც კასატორი საკასაციო საჩივარში აპელირებს, მდგომარეობს შემდეგში: მთავარმა მოწმემ – ხ. თ-ამ შემთხვევიდან 7 წლის შემდეგ განაცხადა, რომ ველარ ამოცნობდა მკვლელებს, ხოლო შემთხვევიდან 17 წლის შემდეგ ამოცნობდა და მკვლელებად დაასახელა ძმები გ. და ა. გ-ბი. შესაბამისად, დაცვის მხარისათვის გაუგებარია, თუკი მოწმე 7 წლის შემდეგ ამბობდა, რომ ვერ შეძლებდა მკვლელების ამოცნობას, 17 წლის მერე როგორ მოახრეხა მათი ამოცნობა ერთმნიშვნელოვნად და დამაჯერებლად?

8. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა მიუთითებს შემდეგს: თავდაპირველად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გ. ტ-ის მკვლელობა მოხდა 2001 წლის 25 ოქტომბერს, ხოლო მოწმე ხ. თ. ფაქტობრივად მაშინვე, იმავე წლის 28 ოქტომბერს მონაწილეობდა ძმებ გ. და ა. გ-ის ფოტოსურათებით ამოცნობაში. მან ამოცნობორივე მათგანი, როგორც მითითებული დანაშაულის ჩამდენი პირები. მას პირადად არცერთი მათგანი არ წარდგენია და ამოცნობა

ჩატარდა მხოლოდ ფოტოსურათებით. მოგვიანებით, 2008 წლის 29 ოქტომბერს, ხ. თ. მონმის სახით დაიკითხა პირველი ინსტანციის სასამართლოში. დაკითხვისას მას არ განუცხადებია, რომ ველარ შეძლებდა მკვლელების ამოცნობას, არამედ მიუთითა შემდეგი: „აღბათ, დარწმუნებული ვიყავი მაშინ, ხელი რომ დავადე მე ფოტოსურათზე. ესლა რომ დამიდოთ მათი სურათი, შეიძლება აღარ მახსოვდეს“. აქვე მან განაცხადა, რომ ფოტოსურათებით ამოცნობის დროს რაიმე ზემოქმედება არ მომხდარა. ფოტოსურათით ამოცნობები იმ შემთხვევიდან რამდენიმე დღის შემდეგ ჩატარდა და დაადასტურა როგორც ამოცნობის რეალობა, ისე წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება. მოგვიანებით, 2017 წლის 25 ივლისს, ხ. თ. მონმის სახით დაიკითხა სააპელაციო სასამართლოში, რა დროსაც მომხდარი შემთხვევიდან პირველად, მას საშუალება ჰქონდა პირადად ეხილა ძმები – გ. და ა. გ-ბი. დაკითხვისას დამაჯერებლად და კატეგორიულად მიუთითა, რომ მსჯავრდებულები იყვნენ სწორედ ის პირები, რომლებიც თავს დაესხნენ ან გარდაცვლილ გ. ტ. ეს. მან კვლავ დეტალურად გაიხსენა და აღწერა თითოეული მსჯავრდებულის მოქმედება. მსჯავრდებულის ადვოკატის შეკითხვაზე ხ. თ-ამ უპასუხა შემდეგი: „ამდენი ხნის შემდეგ ესენი დიდად არ არიან შეცვლილები, თუ არ ჩავთვლით ამ ჭალარას, მაშინ იყვნენ ახალგაზრდები, მაგრამ დიდად არ შეცვლილან“. მანვე კვლავინდებურად დაადასტურა მისი მონაწილეობით ჩატარებული ფოტოსურათებით ამოცნობის ოქმებისა და წინასწარ გამოძიებაში მის მიერ მიცემული ჩვენების სისწორე.

9. აქვე, საკასაციო პალატა მონმის მიერ დანაშაულებრივი შემთხვევიდან მრავალი წლის შემდეგ მიცემულ ჩვენებებთან დაკავშირებით ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე (იხ. გადანყვეტილება №626აპ-17), კერძოდ: „გაუმართლებელია, მონმის ჩვენების სანდოობისა და რელევანტურობის შემომწმებისას განმსაზღვრელი მნიშვნელობა მივანიჭოთ იმ გარემოებას, თუ რამდენი წელია გასული მომხდარი დანაშაულის ფაქტიდან ჩვენების მიცემამდე. მთავარია, რამდენად სრულად წარმოგვიდგენს მონმე თავის ჩვენებაში ფაქტობრივ გარემოებებს, სრულფასოვნად გადმოსცემს თუ არა ამ გარემოებებს ჩვენების მიცემისას, როგორია მისი უნარი – სწორად აღიქვას და დაიმახსოვროს იმ შემთხვევის მთავარი, საქმისათვის არსებული მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რომლის შემსწრეც ის გახდა და ხომ არ არსებობს რაიმე საფუძველი მის ამგვარ უნარში გონივრული ეჭვის შესატანად და ა.შ. შეუძლებელია და არაგონივრულიც, მოვთხოვოთ მონმეს არამცთუ 11 წლის, არამედ თუნდაც ერთი წლის შემდეგ მთელი სიზუსტით აღიდგინოს და გადმოსცეს იმ შემ-

თხვევის ყველა დეტალი, რომლის შემსწრე ან უშუალო მონაწილეც ის იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში აზრს დაკარგავდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ხანდაზმულობისათვის კანონით დადგენილი ხანგრძლივი ვადა (25 წელი), რადგან ასეთ საქმეზე მოწმეთა ჩვენებები სრულიად მიუღებელი იქნებოდა“.

10. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, კერძოდ: ბ. თ-ამ ფაქტობრივად მომხდარი შემთხვევისთანავე ფოტოსურათებით ამოიცირო დამნაშავეები; 2008 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით დაკითხვისას დაადასტურა როგორც მის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენების, ასევე ამოცნობის ოქმების სისწორე; ამავე დაკითხვისას არც გამოორიცხა და ვერც დაბეჯითებით მიუთითა, შეძლებდა თუ არა ამ პირების ამოცნობას, რაც სავსებით ლოგიკურია და ბუნებრივია, იგი წინასწარ ვერ განჭვრეტდა, შეძლებდა თუ არა დამნაშავეების კვლავ ამოცნობას; მოგვიანებით – 2017 წელს, სააპელაციო განხილვისას, მას შემდეგ, რაც ძმები გ. და ა. გ-ები პირადად იხილა, დაბეჯითებით განაცხადა, რომ სწორედ ისინი იყვნენ თავდამსხმელები და, რომ მიუხედავად დიდი დროის გასვლისა, მათი გარეგნობა დიდად არ შეცვლილა – საკასაციო პალატას არ გააჩნია არანაირი საფუძველი, საეჭვოდ მიიჩნიოს მისი ჩვენებები. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბ. თ. წარმოადგენს ნეიტრალურ მოწმეს, რომელსაც არ აქვს საქმისადმი არანაირი ინტერესი, არ აკავშირებდა ნაცნობობა, თუ სხვაგვარი შეხება დაზარალებულ გ. ტ-სთან. იგი იყო მომხდარი დანაშაულებრივი შემთხვევის შემსწრე პირი.

11. გარდა ამისა, დაცვის მხარე კიდევ სხვა რამდენიმე საფუძველით ცდილობს, მოწმე ბ. თ-ს ჩვენება წარმოაჩინოს საეჭვოდ და არასანდოდ, კერძოდ: თავდაპირველად ის აცხადებდა, რომ თავდამსხმელები იყვნენ მალეები და ერთ-ერთ მათგანს ცხვირთან ჰქონდა ხალი, რასაც ადასტურებდნენ ასევე სხვა მოწმეებიც – ნ. თ., მ. ბ. და ი. კ.. იმის გათვალისწინებით, რომ არცერთ მსჯავრდებულს სახეზე ხალი არ აქვს და ისინი არ არიან მალეები, შემდგომი დაკითხვების დროს მოხდა მოწმეთა ჩვენების კორექტირება და გ-ის აღწერილობაზე მორგება, რამაც საეჭვო გახადა მოწმეთა, მათ შორის – ბ. თ-ას ჩვენების სანდოობა. დაცვის მხარე ასევე აპელირებს მოწმე ბ. თ-ას ჩვენებებში არსებულ გარკვეულ წინააღმდეგობებზეც.

12. საკასაციო პალატა აღნიშნულთან დაკავშირებით სრულად ეთანხმება სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ არც ამ საფუძველებით შეიძლება საეჭვოდ იქნეს მიჩნეული ბ. თ-ას ჩვენებები, ვინაიდან სასამართლო სხდომაზე არ დაზუსტებულა საკითხი, თუ რა აღიქვეს მოწმეებმა ხალად – ეს ნამდვილად ხალი იყო, თუ –

ნაწიბური, ლაქა, ნაკანრი ან რაიმე მსგავსი. სასამართლო სხდომაზე მხარეებს ამ კუთხით კითხვაც არ დაუსვამთ და არც მონმეებს განუცხადებიათ ამის შესახებ. მხოლოდ მონმეთა მიერ სახეზე ხალის არსებობის აღქმა, რომელიც, სავარაუდოდ, იმდენად უმნიშვნელოდ შეფასდა მათ მიერ, რომ შემდგომ დაკითხვებში აღარ უხსენებიათ, არ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მათ საერთო იერსახით არ დაამახსოვრდათ მსჯავრდებულები და სხვა ნიშან-თვისებებით არ შეეძლოთ მათი ამოცნობა. რაც შეეხება მსჯავრდებულების სიმაღლეს, საკასაციო პალატა ამ ნაწილშიც ეთანხმება სააპელაციო პალატას, რომ პირის სიმაღლის შეფასება წარმოადგენს მონმის ინდივიდუალური აღქმის საკითხს და ზოგიერთი პირის წარმოსახვაში შესაძლოა, ადამიანი შეფასდეს როგორც მაღალი, ხოლო ზოგიერთისაში – ძალიან მაღალი. რაც შეეხება მონმე ხ. თ-ას ჩვენებებს შორის არსებულ გარკვეულ განსხვავებებს, მისი ჩვენებები ძირითად და არსებით გარემოებებთან დაკავშირებით სრულად იდენტურია და შეესაბამება არა მარტო თავის, არამედ სხვა მონმეთა ჩვენებებს და ამ კუთხითაც არ არსებობს მისი ჩვენების არასარწმუნოდ მიჩნევის საფუძველი.

13. დაცვის მხარე ასევე საეჭვოდ მიიჩნევს შემთხვევის შემსწრე კიდევ ორი მონმის, და-ძმის – ნ. და ჯ. თ-ის (მონმე ხ. თ-ას შვილები) ჩვენებებსა და თავიანთი მონაწილეობით ჩატარებულ ამოცნობებს და გამოთქვამს ვარაუდს, რომ მათ, თავიანთი არასრულწლოვანებიდან გამომდინარე (შემთხვევის დროს), შესაძლოა დედის – ხ. თ-ას მითითებით მისცეს ძმებ გ. და ა. გ-ის მამხილებელი ჩვენება და ამოიცნეს ისინი. დაცვის მხარის აღნიშნული ვერსია მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს და არ დასტურდება საქმეში წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულებით. ნ. და ჯ. თ-მა, ისევე როგორც ხ. თ-ამ, ფაქტობრივად დანაშაულის შემთხვევისთანავე, ფოტოსურათებით ამოიცნეს ორივე მსჯავრდებული (2001 წლის 28 ოქტომბერს), რომლის სისწორეც ორივე მათგანმა დაადასტურა როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში – 2008 წელს, ისე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში – 2017 წელს მათი მონმის სახით დაკითხვისას. გაუგებარია, თუკი 2001 წელს მათ დამნაშავეები ამოიცნეს არასრულწლოვანებისა და დედისგან მომდინარე ზემოქმედების შედეგად, მაშინ 2008 ან 2017 წელს რა უშლიდათ ხელს, რომ სასამართლოსათვის მოეხსენებინათ ამის შესახებ და ეთქვათ სიმართლე. ამასთან, ხ. თ-ას მსგავსად, ისინიც არიან ნეიტრალური მონმეები, შემთხვევის უშუალო შემსწრე პირები და არც ამ მონმეთა შემთხვევაში არ იკვეთება ან გარდაცვლილ გ. ტ-თან ნაცნობობისა, თუ საქმის ბედით რაიმე სახის დაინტერესების ფაქტები. შესაბამისად, დაუდგენელია, თუ რა ინტერესი უნდა ჰქო-



ნოდათ ხ. თ-ას, ნ. და ჯ. თ-ს, რომ ეცრუათ და დანაშაული დაებრა-  
ლებინათ ძმებ გ. და ა. გ-სათვის. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ისინი  
არიან ერთი ოჯახის წევრები, მათი ჩვენებების საეჭვოდ მიჩნევი-  
სა და გაუზიარებლობის საფუძველს არ წარმოადგენს.

14. დაცვის მხარის კიდევ ერთ მოსაზრებასთან დაკავშირებით,  
რომ გამომძიებლებმა მსჯავრდებულებს ფოტოები აჩვენეს და  
ამოაცნობინეს მხოლოდ მოწმეთა ნაწილს, ხოლო დანარჩენ მონ-  
მეებს, მაგალითად: ლ. რ-ს, ა. გ-ეს, მ. ბ-სა და ი. კ-ს, რომლებიც  
დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რომ შეძლებდნენ დამნაშავეების  
ამოცნობას, მათთან ფოტოსურათებით ამოცნობის ოქმები აღარ  
შეადგინეს, რადგან დიდი ალბათობით მითითებულმა მომწმებმა  
ვერ ამოიცნეს ძმები გ. და ა. გ-ები, აღნიშნავს შემდეგს: გარდა იმი-  
სა, რომ განსახილველი საქმის მასალებითა და მოწმეთა ჩვენებე-  
ბით მსგავსი ფაქტები არ დასტურდება, მტკიცებულებათა მოპო-  
ვება საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის (ძველი რედაქცია) თა-  
ნახმად, ბრალდების მხარის პრეროგატივაა და თუ რატომ არ შე-  
ადგინა ან/და წარმოადგინა ბრალდების მხარემ ამოცნობის ოქმე-  
ბი, სცდება სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებს.

15. შემდეგი ძირითადი არგუმენტი, რის შესახებაც დაცვის მხა-  
რე საკასაციო საჩივარში აპელირებს, მდგომარეობს შემდეგში: ძმე-  
ბი გ. და ა. გ-ბი დანაშაულებრივი შემთხვევის დღეს, 2001 წლის 25  
ოქტომბერს, საქართველოში საერთოდ არ იმყოფებოდნენ. მსჯავ-  
რდებულებმა საქართველო დატოვეს 2000 წელს, რის დასტურა-  
დაც დაცვის მხარე, გარდა თვითონ მსჯავრდებულების ჩვენებე-  
ბისა, ასევე იშველიებს 2018 წლის 26 თებერვალს საქართველოს  
შსს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო  
ცენტრის მიერ გაცემულ ინფორმაციას, რომლის თანახმად, ა. გ-მა  
ს-ს სახელმწიფო საზღვარი გადაკვეთა სსკგ „ყ-ის“ გავლით –  
02.11.2000 წელს, 15:28 საათზე და სსკგ „თ-ის აეროპორტის“ მეშ-  
ვეობით ს-ში შემოვიდა 01.07.2016 წელს, 01:38 საათზე. გ. გ-ნს საზ-  
ღვრის კვეთა – შემოსვლა უფიქსირდება სსკგ „თ-ის ა-ის“ მეშვეო-  
ბით – 23.05.2014 წელს, 10:35 საათზე.

16. ამ მიმართებით საკასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურად-  
ღებას ამახვილებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს  
საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის მონაცემთა აღრიც-  
ხვისა და რეგისტრაციის სამმართველოს თანამშრომელ ლ. გ-ის ჩვე-  
ნებასა და საქართველოს შსს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარ-  
ტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ 2018 წლის 26 თებერვალს  
გაცემულ ინფორმაციაზე, კერძოდ: მოწმე ლ. გ-ემ სააპელაციო ინ-  
სტანციის სასამართლოში დაკითხვისას განმარტა, რომ მათი სამ-  
სახურის ხელთ არსებულ მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით, 2018

წლის 26 თებერვალს პასუხი გასცა პროკურორ ნიკოლოზ ნინიძის შეკითხვაზე – მოქალაქეების მიერ საზღვრის კვეთის შესახებ. მონაცემთა ბაზების მიხედვით, გ. გ-ს ქვეყნიდან გასვლა საერთოდ არ უფიქსირდება და 2014 წელს ნაჩვენებია მხოლოდ მისი შემოსვლა. მონაცემთა ბაზის ინფორმაციის მიხედვით, რ. გ. ქვეყნიდან ორჯერ არის გასული და 2000-2003 წლების შუალედში ქვეყანაში მისი შემოსვლა არ ფიქსირდება. ხოლო ა. გ., მათ მიერ გაცემული დოკუმენტის მიხედვით, 2000 წლის 2 ნოემბერს არის გასული ყ-ის გამშვები პუნქტიდან. მოწმემ მიუთითა, რომ საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრში აქვთ მონაცემთა ბაზა საზღვრის კვეთის შესახებ, სადაც ინფორმაცია ფიქსირდება „ონლაინ“. აღნიშნული ბაზის შექმნა დაიწყო 1997 წლიდან, მანამდე რეგისტრაცია ხდებოდა ჟურნალებში. საზღვრის კვეთის სრული ელექტრონული მონაცემები აქვთ 2007 წლიდან, მანამდე კი ეტაპობრივად მიმდინარეობდა სხვადასხვა გამშვები პუნქტის ელექტრონიზაცია. მაგალითად, ს-ის გამშვებ პუნქტზე 1999 წელს, ხოლო ყ-ის გამშვებ პუნქტზე – 2000 წლის პირველი იანვრიდან დაიწყო ელექტრონული რეგისტრაცია. რალაც პერიოდის განმავლობაში გარკვეულ სასაზღვრო – გამშვებ პუნქტებზე რეგისტრაცია ელექტრონულთან ერთად ხდებოდა ჟურნალების მეშვეობითაც. ამ ჟურნალების შემოწმება შეუძლებელია, ვინაიდან ისინი განადგურებულია. ბაზაში პიროვნების რეგისტრაცია ხდებოდა სახელითა და გვარით, წარმოდგენილი დოკუმენტით, მიეთითებოდა პირადი ნომერი და მიმართულება (გასვლა – შემოსვლა), რაც დღესაც ანალოგიურად ხდება. როდესაც პირი გადის სასაზღვრო – გამშვებ პუნქტს, შემდგომ ეს აისახება მონაცემთა ბაზებში და არის მისი სამსახურისათვის ხელმისაწვდომი, რაც ასევე ხდებოდა 2000, 2001 ან 2002 წლებში. მოწმემ პრაქტიკიდან გამომდინარე მიუთითა, რომ პუნქტის გვერდის ავლით შესაძლებელია ქვეყნიდან გასვლა და შემოსვლაც. სასაზღვრო- გამშვებ პუნქტებს შორის არსებული მანძილი სახელმწიფოს საზღვარზე არის ე.წ. „მ. ს-ი“, სადაც გასვლა ან შემოსვლა ითვლება არალეგალურ კვეთად. არაკონტროლირებადი ტერიტორიებიც ამ საზღვარშია, რასთან დაკავშირებითაც აქვთ პრობლემები. განსაკუთრებით ხსენებულ პერიოდში, ახლანდელი ვითარებისგან განსხვავებით, არ იყო კონტროლი ე.წ. „მ. ს-ე“, საზღვრის უკანონო კვეთების აღმოსაჩენად. მისივე განმარტებით, თეორიულად შესაძლებელია და არსებული პრაქტიკითაც დასტურდება, რომ პირს 20 წლის წინ, ისევე როგორც დღესაც, არალეგალურად გადაეკვეთა სახელმწიფო საზღვარი.

17. აღნიშნული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატაც იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ საქარ-

თველოს შსს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ბაზა ან არ შეიცავს სრულყოფილ მონაცემებს პირთა სახელმწიფოს საზღვარზე გადაადგილების თაობაზე, ან შესაძლებელი იყო მოქალაქეთა მიერ საზღვრის სახელმწიფო კონტროლისგან გვერდის ავლით გადაკვეთა. იმის გათვალისწინებით, რომ მითითებული დაწესებულების მიერ გაცემული ინფორმაციის თანახმად, გ. გ-ს საერთოდ არ უფიქსირდება საქართველოდან გასვლა (უფიქსირდება მხოლოდ შემოსვლა – 2014 წელს) მაშინ, როდესაც თვითონვე ადასტურებს, რომ 2000 წლის მიწურულს ლეგალურად გავიდა ქვეყნიდან და რ-ის გავლით წავიდა მ-ში, ხოლო იმავე ინფორმაციის მიხედვით, რ. გ. (მსჯავრდებულების მამა) ორჯერაა ს-დან გასული ისე, რომ შემოსვლა საერთოდ არ უფიქსირდება, ფაქტია, რომ საქართველოს შსს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტიდან მოწოდებულ ინფორმაციაში საზღვრის კვეთასთან მიმართებით არ არის სრულყოფილად ასახული გ. და რ. გ-ის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის ფაქტები. ასევე არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ შესაძლოა, მათ მართლაც საბაჟო საზღვრის გვერდის ავლით გადაკვეთეს საზღვარი, რაც, ერთობლივად აღებული, ნამდვილად წარმოშობს საფუძვლიან ეჭვს, რომ საზღვრის კვეთის თაობაზე ა. გ-ის მიმართ არსებული მონაცემები არ არის უტყუარი და მას, ცნობაში მითითებული თარიღების გარდა, სხვა დროსაც აქვს გადაკვეთილი ან გადმოკვეთილი საქართველოს საბაჟო საზღვარი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა ა. გ-ის მიერ საქართველოს საზღვრის კვეთის შესახებ მოწოდებულ ინფორმაციას ვერ მიიჩნევს უტყუარ და სარწმუნო მტკიცებულებად.

18. გარდა ამისა, ასევე საყურადღებოა სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ინფორმაცია, რომლითაც დასტურდება, რომ გ. გ-ის სახელზე 2001 წლის 29 აგვისტოს გაიცა „B“ კატეგორიის მართვის მოწმობა – AA №..., რომლითაც დგინდება, რომ მან მართვის უფლების მისაღებად ჩააბარა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული გამოცდა (2001 წლის 29 აგვისტოს საგამოცდო კომისიის ოქმი №...).

19. გ. გ-ის მიერ მართვის მოწმობის 2001 წლის 29 აგვისტოს აღების ფაქტთან დაკავშირებით, დაცვის მხარე განმარტავს, რომ გ. გ-მა შესაბამისი უწყებიდან მართვის მოწმობა პირადად არ გამოიტანა და იგი აიღო სხვა პირის მეშვეობით. აღნიშნულთან მიმართებით, დაცვის მხარის მოწმე ნ. შ-ემ თავის ჩვენებაში მიუთითა, რომ გ. გ-ის დედამ მას სთხოვა შვილის სახელზე გაცემული მართვის მოწმობის გამოტანა, რადგან გ. გ. თ-ში არ იმყოფებოდა. თავის მხრივ, მოწმემ მართვის მოწმობის გამოტანა სთხოვა თავის მამას,

ან გარდაცვლილ თ. ი-ს, რომელიც მუშაობდა თ-ის ი. ჯ-ის სახელობის ს. უ-ში. თ. ი. იცნობდა ბევრ იურისტს, რომელთა დახმარებითაც მან მოწმობა გამოიტანა ისე, რომ რაიმე მინდობილობა ან რწმუნებულება გ. გ-სგან არ მიუღია.

20. ამავე საკითხზე სააპელაციო პალატის სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელი მ. უ-ი, რომლის ჩვენებით დადგენილია, რომ გ. გ-ს ჩაბარებული აქვს მართვის მოწმობის ასაღები თეორიული და პრაქტიკული გამოცდა. მანვე ამ საკითხზე გასცა წერილობითი დოკუმენტი, რომელსაც თან ახლავს საგამოცდო კომისიის ოქმი და მართვის მოწმობის გაცემის ოქმი. საგამოცდო კომისიის ოქმი №... დათარიღებულია 2001 წლის 29 აგვისტოთი, რაც იმას ნიშნავს, რომ მოცემული ოქმის მიხედვით, გ. გ-მა და სხვა მოქალაქეებმა გამოცდა ჩააბარეს 2001 წლის 29 აგვისტოს. ოქმში წარმოდგენილია გრაფები, ჩამონერილია სახელები და გვარები, თუ იმ დღეს კონკრეტულად რომელმა მოქალაქემ ჩააბარა მართვის მოწმობის თეორიული და პრაქტიკული გამოცდა. მოცემულ გრაფებში, სადაც აღნიშნულია გამოცდაზე პირველადი და განმეორებითი გასვლები, მითითებულია, რომ გ. გ-მა თეორიული და პრაქტიკული გამოცდები პირველივე გასვლაზე ჩააბარა. მეორე ოქმი არის საარქივო, ამოღებულია არქივიდან, რაც ინახება მათთან. მასში არის სხვადასხვა პირის სახელზე დაბეჭდილი მართვის მოწმობების სია, თანდართული მართვის მოწმობის სერიით, ნომრითა და კატეგორიით. მოწმემ დაადასტურა, რომ მოქმედი კანონმდებლობით, პირმა, რომელიც წარმატებით ჩააბარებს თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდას, მოწმობა უნდა გაიტანოს პირადად ან შესაძლოა, გაიტანოს სხვა პირმა, ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე. მინდობილობა მოწმობის გასატანად საჭირო იყო 2001 წელს მოქმედი კანონმდებლობითაც და კანონის შესაბამისად, მის გარეშე არ შეიძლებოდა მართვის მოწმობის გატანა. 2001 წელს, თუ რა ვადაში გაიცემოდა მართვის მოწმობა, ინფორმაციას არ ფლობს.

21. ამდენად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა და მისი წარმომადგენლის – მ. უ-ის ჩვენება დამატებით ადასტურებს იმ ფაქტს, რომ გ. გ-მა გამოცდა ჩააბარა სწორედ 2001 წლის 29 აგვისტოს და, შესაბამისად, იგი იმყოფებოდა ს-ში.

22. დაცვის მხარე მოცემულ საკითხთან მიმართებით აპელირებს იმაზე, რომ სააპელაციო პალატამ ერთ შემთხვევაში – ა. გ-ის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით – არ გაიზიარა სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული ოფიციალუ-

რი ინფორმაცია, ხოლო მეორე შემთხვევაში – მართვის მონაწილესთან მიმართებით – მიუთითა, რომ სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოსაგან გაცემული ინფორმაციისა და მისი წარმომადგენლის ჩვენებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გააჩნდა, რაც, კასატორის მოსაზრებით, წარმოადგენს ორმაგ სტანდარტს.

23. საკასაციო პალატა არ იზიარებს დაცვის მხარის მითითებულ პოზიციას, შემდეგ გარემოებათა გამო: საკასაციო პალატამ ზემოთ განმარტა, თუ რატომ არ მიიჩნია სახელმწიფო უწყებიდან საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით მონოდებული ინფორმაცია უტყუარად და სრულყოფილად, რის შესახებაც დამატებით აღარ იმსჯელებს, ხოლო რაც შეეხება მოწმე ნ. შ-ის ჩვენებას, რომ მან თავის მახლს – თ. ი.-ს სთხოვა მართვის მონაწილეს გამოტანა (რომელიც მისივე განმარტებით, გარდაცვლილია) ისე, რომ მიხედვითაა, რწმუნებულება ან სხვა წერილობითი დოკუმენტი გ. გ-გან არ ჰქონდა მიღებული, აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმება და დადასტურება შეუძლებელია, ვინაიდან თ. ი. გარდაცვლილია, რის გამოც საკასაციო პალატას არ გააჩნია არანაირი საფუძველი, გაიზიაროს მისი ჩვენება და საეჭვოდ მიიჩნიოს ოფიციალური ორგანოს მიერ მონოდებული ინფორმაცია და მისი წარმომადგენლის ჩვენება.

24. კიდევ ერთი გარემოება, რომლითაც დასტურდება, რომ გ. გ. დანაშაულებრივი შემთხვევის დროს ნამდვილად იმყოფებოდა ს-ში, დგინდება ქუთაისის საქალაქო პროკურატურიდან 2002 წლის 20 თებერვალს გადმოგზავნილი მასალებით, რომლებითაც ირკვევა შემდეგი: სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ 2002 წლის 20 იანვრის დადგენილებით არ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე გ. გ-ის სხეულის დაზიანების ფაქტზე, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. დადგენილების თანახმად, 2001 წლის 6 იანვარს ქ-ში მომხდარ გ. გ-ის სხეულის (ფეხის) დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობდა მოკვლევა. იმავე დადგენილებით ირკვევა, რომ 2001 წლის 6 იანვარს გ. გ. მარჯვენა ფეხის არეში გამჭოლი ჭრილობით, ნ. გ-ის (გ. გ-ის დედა) მეზობლის – ნ. შ-სა და კიდევ ორი მამაკაცის თანხლებით, მიიყვანეს საავადმყოფოში. დადგენილებაში ასევე მითითებულია, რომ გ. გ-მა თავდაპირველად განმარტა, რომ დაზიანება მიიღო „ბრმა“ ტყვიის მოხვედრის შედეგად, ხოლო მოგვიანებით უარყო ეს ვერსია და აღნიშნა, რომ სიმთვრალის გამო თავი ვერ შეიკავა და დაეცა რკინაბეტონის კონსტრუქციაზე. აღსანიშნავია, რომ სააპელაციო პალატის სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ნ. შ-ემ დაადასტურა 2001 წლის 6 იანვარს გ. გ-ის ფეხის დაზიანების ფაქტი და განმარტა, რომ თვითონ წაიყვანა სა-

ავადმყოფოში. როგორც მისთვის ცნობილია, მან ფეხი გრძელი არმატურის ნაჭრით დაიზიანა. ფეხის დაზიანებიდან ძალიან ცოტა ხანში – დაახლოებით ერთ-ორ კვირაში, გ. გ. წავიდა ს-ან და აღარ უნახავს. ამდენად, მითითებული ინფორმაცია სრულად გამორიცხავს მსჯავრდებულ გ. გ-ის ჩვენების რეალობას, რომ მან ს. დატოვა დაზარალებულის მკვლელობამდე და აღნიშნული დადგენილებით, ისევე როგორც თავად დაცვის მხარის მოწმის – ნ. შ-ის ჩვენებით, უტყუარად დასტურდება, რომ 2001 წლის 6 იანვარს იგი იმყოფებოდა ს-ში.

25. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი, ექიმ-ფტიზიატრ ლ. ს-ას მიერ 2018 წლის 5 მარტს გაცემული ცნობა არ არის საკმარისი და უტყუარი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ა. გ. ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენის მომენტში მკურნალობდა ქ. მ-ში, ვინაიდან წარმოდგენილი არ არის მისი ავთენტურობის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებები, რომლებითაც დადგინდებოდა გაცემული ცნობის ნამდვილობა, მაგალითად: იმ საარქივო მასალების ოფიციალურად დამონშებული ასლები, რის საფუძველზეც ექიმ-ფტიზიატრმა ლ. ს-ამ გასცა ცნობა ა. გ-ის მათ კლინიკაში მკურნალობის თაობაზე. ამასთან, თვითონ ა. გ-ს 2018 წლის 5 აპრილამდე (სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე ცნობის წარმოდგენამდე), საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე, არც მისი დაკითხვისას, არ უთქვამს, რომ მან ტუბერკულოზის სამკურნალო კურსი გაიარა მ-ში, მითუმეტეს იმ პერიოდში, როდესაც მას ს-ში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის – განზრახ მკვლელობის ჩადენას ედავებოდნენ. ა. გ-მა თავის ჩვენებაში მიუთითა, რომ 2000 წელს მამასთან ერთად წავიდა მ-ში, სადაც 2002 წლამდე ცხოვრობდა და შემდეგ გადავიდნენ ე-ში საცხოვრებლად; მანვე დაადასტურა, რომ 2001 წლის ოქტომბერშიც (გ. ტ-ის მკვლელობის მომენტში) უნდა ყოფილიყო მ-ში (და არა მ-ში); იმ მოცემულობაში, როდესაც ა. გ-ს ბრალად შერაცხა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენა, ყოველგვარ ლოგიკასა და დამაჯერებლობასაა მოკლებული მისი ვერსია, რომ თითქოსდა მან მ-ში ტუბერკულოზის სანინალმდეგო მკურნალობის კურსის გავლის შესახებ იმიტომ არ მოახსენა სასამართლოს, რომ არ სიამოვნებდა ამ საკითხზე საუბარი.

26. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადასტურებულად მიაჩნია ძმებ გ. და ა. გ-ის მიერ ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა.

27. საკასაციო პალატა ასევე არ იზიარებს ბრალდების მხარის

საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მსჯავრდებულ ა. გ-ის სასჯელის ვადის მოხდის ათვლასთან დაკავშირებით, რაც, ბრალდების მხარის მოსაზრებით, მას უნდა დაეწესოს 2016 წლის 1 ივლისიდან და ამასთან, მას სასჯელის მოხდის ვადაში უნდა ჩაეთვალოს საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის დრო – 2016 წლის 4 აპრილიდან 2016 წლის 30 ივნისამდე, ვინაიდან ე-ის ს-ში მისი პატიმრობაში ყოფნის დრო – 2010 წლის 16 მარტიდან 2014 წლის 19 მარტის ჩათვლით, წარმოადგენს არა საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის დროს, არამედ იგი უკავშირდება ა. გ-ის მიმართ ე-ის ს-ში მიმდინარე გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნას. ბრალდების მხარე მითითებულ საკითხთან დაკავშირებით აპელირებს ს-ოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან მიღებულ არაერთ წერილზე (2016 წლის 21 ივნისის, 2018 წლის 27 თებერვლის, 2018 წლის 23 აგვისტოს წერილები), რომლებითაც ირკვევა, რომ მ-ის ინტერპოლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ა. გ. ე-ის ს-ში საექსტრადიციო პატიმრობაში იმყოფებოდა 2016 წლის 4 აპრილიდან – იმავე წლის 30 ივნისის ჩათვლით.

28. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან მიღებულ წერილებში მართლაც მითითებულია, რომ ა. გ. საექსტრადიციო პატიმრობაში იმყოფებოდა 2016 წლის 4 აპრილიდან 2016 წლის 30 ივნისამდე, მაგრამ საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში მოთავსებულ შემდეგ მასალებზე: სისხლის სამართლის საქმეზე წარმოდგენილი საექსტრადიციო მასალების თანახმად, ე-ის საგარეო საქმეთა და თანამშრომლობის სამინისტროდან მიღებული ნოტიო ირკვევა, რომ 2010 წლის 16 მარტს საქართველოში ექსტრადიციის მიზნით დააკავეს საქართველოს მოქალაქე ა. გ.; დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მასალებით, კერძოდ: ე-ის ეროვნული სასამართლო კოლეგიის სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 13 მარტის დადგენილებით ირკვევა, რომ ა. გ-ს გაუხანგრძლივდა წინასწარი პატიმრობა, რომელშიც „იმყოფება ა. გ. არსებული ექსტრადირების პროცესში, კიდევ ორი წლით, 2014 წლის 19 მარტამდე, თუ მაგ დროისთვის ექსტრადირება მოყვანილი არ იქნება სისრულეში“. იმავე სასამართლოს 2014 წლის 19 მარტის დადგენილებით: „შეთანხმებულ იქნა ბრალდებულ ა. გ-ის გათავისუფლება ექსტრადირების შესახებ არსებული საქმიდან გამომდინარე, შესაბამისი დაცვის მიერ სასამართლოს წინაშე შესაბამისი რეკომენდაციის წარმოდგენის საფუძველზე“.

29. საკასაციო განხილვისას, ვინაიდან ბრალდებისა და დაცვის

მხარეების მიერ წარმოდგენილი მასალები იყო ურთიერთსანინა-აღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავი, საკასაციო პალატამ ბრალდების მხარეს დაავალა და განუსაზღვრა შესაბამისი დრო, რათა მას გაერკვია ე-ის ეროვნული სასამართლო კოლეგიის სისხლის სამართლის საქმეთა პალატის ზემოხსენებული დადგენილებების შინაარსიდან გამომდინარე გადაწყვეტილებები უკავშირდებოდა თუ არა ა. გ-ის საქესტრადიციო პატიმრობის საკითხს. ამასთან დაკავშირებით საკასაციო განხილვის ეტაპზე ბრალდების მხარის მიერ ე-ის ს-დან გამოთხოვილი და პალატისათვის წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია არათუ გამორიცხავს სადავო პერიოდში ა. გ-ის საქესტრადიციო პატიმრობაში ყოფნის ფაქტს, არამედ პირიქით, წარმოადგენს მსჯავრდებულისათვის სასარგებლო ინფორმაციას და ადასტურებს დაცვის მხარის პოზიციას. ამდენად, ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი მითითებულ ნაწილშიც უნდა დარჩეს უცვლელად.

30. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ბრალდებისა და დაცვის მხარეების საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 17 ივლისის განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულების – გ. გ-ისა და ა. გ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ნ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის პროკურატურის პროკურორ ნანა ჯაყელის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 17 ივლისის განაჩენი დარჩეს უცვლელად;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



**განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი  
ხულიგნური ქვენაბრძნობით და განსაკუთრებული  
სისასტიკით**

**განაჩენი  
საქართველოს სასჯელით**

№309აპ-19

18 ოქტომბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ჩ-ს საკა-  
საციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სა-  
მართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 19 თებერვლის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 31 აგვისტოს  
განაჩენით გ. ჩ. – ნასამართლევნი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ სა-  
ქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით  
და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაუ-  
ლის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 17  
(ჩვიდმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

გ. ჩ-ს სასჯელის ვადაში ჩათვალა დაკავებასა და პატიმრობა-  
ში ყოფნის დრო და სასჯელის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან –  
2018 წლის 2 ივნისიდან.

გ. ჩ-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა  
გაუქმდა.

**ნივთიერი მტკიცებულებები:**

– შემთხვევის ადგილის დათვალთქვების ამსახველი ფოტოსუ-  
რათები 2 ცალ CD დისკზე; ი. ა-ის ტანსაცმლის ამოღების ფოტოსუ-  
რათები CD დისკზე; შპს „კ-დან“ გამოთხოვილი სათვალთვალ კა-  
მერების მიერ ჩანერილი ინფორმაცია 4 ცალ DVD დისკზე; დაქტი-  
ლოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნაზე თანდართული 2 ცალი დაქ-  
ტილოფირი; შემთხვევის ადგილის დათვალთქვების ამსახველი ფო-  
ტოსურათები 1 ცალ CD დისკზე და შპს „ჯ-დან“ გამოთხოვილი ინ-  
ფორმაციის ამსახველი CD დისკი, შენახულ უნდა იქნეს სისხლის

სამართლის საქმის შენახვის ვადით.

– შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამოღებული საფულე; გ. ჩ-ს პირადი ჩხრეკის დროს ამოღებული მობილური ტელეფონი, ტყავის საფულე, პლასტიკური ბარათი; ი. ა-ის ტანსაცმელი; რ. ა-ის ტანსაცმელი; შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული ყვავილიანი ნაქსოვი ქუდი; ი. ა-ის კუთვნილი ოქროსფერი ჯაჭვი, რგოლი ბეჭედი, თვლებიანი ვერცხლისფერი საყურე; ი. ა-ს პირადი ნივთები და ფული, 10-თეთრიანი მონეტა, ვერცხლისფერი საყურე თვლებით, რგოლი ბეჭედი თვლებით და შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული ქალის ფეხსაცმელი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მესაკუთრეებს ან მათი ნდობით აღჭურვილ პირებს.

– გ. ჩ-ს ხელის კვლები 1 ცალ დაქტილობარათზე; შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული თმისმაგვარი წარმონაქმნი; ქალაქის ნაკეცი არსებული მორუხო ფერის მასა; პლასტმასის ქილაში არსებული მოყვითალო საცხი; ი. ა-ის სისხლის ნიმუში; ი. ა-ის ფრჩხილის ნიმუში; რ. ა-ის სისხლის ნიმუში; საკეცი დანა; მოწითალო ფერის ლაქები; 5 ცალი სილიკონის მწებავი ჩხირი; პოლიეთილენის პარკი; სანთებელა; მწერების საკლავი ჯოხი და გ. ჩ-ს სისხლის ნიმუში საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

2. აღნიშნული განაჩენით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ჩ-მ ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში – ხულიგნური ქვენაგრძნობითა და განსაკუთრებული სისასტიკით.

გ. ჩ-ს მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2018 წლის 27 მაისს, დაახლოებით 16 საათსა და 30 წუთზე, ქ. ბ-ი, ა-ის ქუჩა №-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ლიფტის კაბინაში, გ. ჩ-მ ხელთ არსებული დანის გამოყენებით, ხულიგნური ქვენაგრძნობითა და განსაკუთრებული სისასტიკით განზრახ მოკვლის მიზნით, ი. ა-ს მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებები სხეულის სხვადასხვა არეში 55 (ორმოცდათხუთმეტი) ჭრილობის სახით, კერძოდ: 4 ჭრილობა – თავის ქალას არეში, ჭრილობა – სახის არეში, 21 ჭრილობა – ზურგისა და წელის არეში, 15 ჭრილობა – მარცხენა ზედა კიდურის არეში, 3 ჭრილობა – მარჯვენა ზედა კიდურის არეში, 6 ჭრილობა – კისრის მიდამოში, 4 ნაკვეთ-ნაჩხვლექი ჭრილობა – გულმკერდის მარცხენა ზედაპირზე, შემავალი გულმკერდის ღრუში, მარცხენა ფილტვის ქსოვილის, პერიკარდიუმისა და გულის მარჯვენა პარკუჭის კედლის დაზიანებით. განუული სამედიცინო დახმარების შედეგად ი. ა. სიკვდილს გადაურჩა.

3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 31 აგვისტოს

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. ჩ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ლ. ვ-მა, რომელმაც ითხოვა გ. ჩ-ს ქმედების საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე გადაკვალიფიცირება და მისთვის აღნიშნული მუხლით შესაბამისი სასჯელის განსაზღვრა, შემდეგი საფუძვლით:

გ. ჩ-ს არ ჰქონდა დაზარალებულის მოკვლის განზრახვა, რაც უნდა ეფუძნებოდა შესაბამის მიზანსა და მოტივს; არ არის დადგენილი დანაშაულის მოტივი, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, რომელთა გარეშეც ქმედების განზრახ მკვლელობის მცდელობად გადაკვალიფიცირება მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს; დაზარალებულისათვის მიყენებული მრავლობითი ჭრილობები ადასტურებს იმას, რომ მსჯავრდებულს სურდა ტყვიელი მიეყენებინა დაზარალებულისათვის და არ უნდოდა მისი სიკვდილი; აპელანტმა ასევე მიუთითა, რომ გ. ჩ-სთვის სასჯელის შეფარდებისას სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები: მან ითანამშრომლა გამოძიებასთან და აღიარა, რომ დაზიანებები მიაყენა დაზარალებულს, რის შემდეგაც იზრუნა მასზე, დაეხმარა ადგომასი და გარეთ მყოფ პირებს მოუწოდა, გამოეძახათ სასწრაფო დახმარება.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 19 თებერვლის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 31 აგვისტოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. კასატორი – მსჯავრდებული გ. ჩ. საკასაციო საჩივრით ითხოვს მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე გადაკვალიფიცირებასა და სასჯელის შეფარდებას მითითებული მუხლის სანქციის ფარგლებში, მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო საჩივარში მითითებული საფუძვლებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. ჩ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ გ. ჩ-მ ჩაიდინა ი. ა-ის განზრახ მკვლელობის მცდელობა განსაკუთრებული სისასტიკით, ე.ი. დანაშაული, გათვალისწინებული სა-

ქართველოს სსკ-ის 19;109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მაგრამ მის ქმედებაში არ იკვეთება მეორე მაკვალიფიცი-რებელი ნიშნის – ხულიგნური ქვენა გრძნობის არსებობა (საქარ-თველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი), კერ-ძოდ:

3. საკასაციო პალატა თავდაპირველად აღნიშნავს, რომ დაცვის მხარე სადავოდ არ ხდის იმ ფაქტს, რომ გ. ჩ-მ დანის გამოყენებით მრავლობითი ქრილობები მიაყენა დაზარალებულ ი. ა-ს, მაგრამ არ ეთანხმება მსჯავრდებულისათვის ბრალად შერაცხული ქმედების კვალიფიკაციას და მიიჩნევს, რომ გ. ჩ-ს არ ჰქონდა დაზარალებულის მკვლელობის განზრახვა. კასატორის მოსაზრებით, დაზარა-ლებულისათვის მიყენებული მრავლობითი ქრილობები ადასტუ-რებს არა იმ გარემოებას, რომ მსჯავრდებულს ჰქონდა დაზარა-ლებულის მკვლელობის განზრახვა, არამედ იმას, რომ მას უნდო-და მისთვის ტკივილი მიეყენებინა, რის გამოც მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7 ნა-წილის „ბ“ ქვეპუნქტით (ჯანმრთელობის განზრახ მიძიმე დაზიანე-ბა, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით).

4. საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ მსჯავრდე-ბულმა გ. ჩ-მ განიზრახა დაზარალებულ ი. ა-ის განზრახ მკვლელო-ბა, ხოლო მისი ქმედება მიმართული იყო სწორედ ამ დანაშაულის ჩასადენად, რაზეც მეტყველებს შემდეგი გარემოებები:

5. დაზარალებულ ი. ა-ის გამოკითხვის ოქმით დადგენილია, რომ როდესაც იგი გ. ჩ-სთან ერთად მგზავრობდა ლიფტით, მან მოუ-ლოდნელად, არაერთხელ, გამიზნულად, გამეტებითა და მთელი ძა-ლით დაარტყა დანა სიცოცხლისათვის სახიფათო ადგილებში: თავ-დაპირველად თავის, შემდეგ – ხელების, გვერდისა და გულმკერ-დის არეში. იგი ცდილობდა თავის დაცვას და თავდამსხმელს ფეხე-ბით იგერიებდა. თავდამსხმელი ნაქცეულსაც არ მოეშვა და გულ-მკერდის არეში დანა კიდევ რამდენჯერმე ძლიერად დაარტყა. იგი ისე სწრაფად ურტყამდა დანას, რომ წინააღმდეგობის განევასაც ვეღარ ახერხებდა.

6. დაზარალებულისა და მისი ძმის – რ. ა-ის ჩვენებებით ასევე დადგენილია, რომ დაზარალებულზე თავდასხმა გ. ჩ-მ შეწყვიტა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაზარალებულის ძმამ, რ. ა-მ დაიწყო გაჩერებული ლიფტის კარზე ბრაზხუნი და იკითხა, ვინ იყო გაჭედი-ლი მასში. ამ დროს გ. ჩ. შეეშვა დაზარალებულს და თავდამსხმელ-მა დაიწყო ლიფტის კარის შიგნიდან გაღება.

7. სასამართლო – სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგე-ნილია, რომ ი. ა-ს სულ მიყენებული აქვს 55 ქრილობა სხეულის სხვა-დასხვა – მათ შორის სიცოცხლისათვის სახიფათო არეებში, რო-

მელთაგან 4 ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ქრილობა გულმკერდის მარცხენა ზედაპირზეა, შემავალი გულმკერდის ღრუში, მარცხენა ფილტვის ქსოვილის, პერიკარდიუმისა და გულის მარჯვენა პარკუჭის კედლის დაზიანებით.

8. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ჯანმრთელობის განზრახ მიძიმე დაზიანება მკვლელობის მცდელობისაგან განზრახვის მიმართულებით განსხვავდება, კერძოდ: თუ პირმა მოკვლის მიზნით დააზიანა სხვა პირის ჯანმრთელობა, მაგრამ სასიკვდილო შედეგი არ დადგა მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ასეთ შემთხვევაში გამოკვეთილია მკვლელობის მცდელობა და არა – ჯანმრთელობის განზრახ მიძიმე დაზიანება. ანუ სწორედ განზრახვის ელემენტი განასხვავებს განზრახ მკვლელობის მცდელობას ჯანმრთელობის განზრახ მიძიმე დაზიანებისგან. განზრახვის დასადგენად კი შესწავლილ უნდა იქნეს: დანაშაულის ჩადენის ხერხი და საშუალება, დაზიანებათა რაოდენობა, ხასიათი და მათი ლოკალიზაცია, როგორ ვითარებაში იქნა ისინი მიყენებული, დამნაშავისა და მსხვერპლის ურთიერთდამოკიდებულება საერთოდ და დაზიანების მიყენების მომენტში და სხვ.

9. ზემოაღნიშნული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას დადასტურებულად მიაჩნია, რომ გ. ჩ-ს ჰქონდა სწორედ განზრახ მკვლელობის განზრახვა, რაც დასტურდება დაზარალებულ ი. ა-ისა და მისი ძმის ჩვენებებით, რომელთა თანახმადაც დადგენილია, რომ გ. ჩ-მ სიცოცხლისათვის სახიფათო ადგილებში არაერთი დაზიანება მიაყენა დაზარალებულს. დადგენილია ისიც, რომ დაზარალებულზე თავდასხმა მსჯავრდებულმა შეწყვიტა არა საკუთარი ნებით, არამედ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაზარალებულის ძმამ, რ. ა-მ დაიწყო ლიფტის კარზე ბრახუნი, რის შემდეგაც გ. ჩ. მიიძალა შემთხვევის ადგილიდან. დაზარალებულის მოკვლის განზრახვაზე ასევე ნათლად მეტყველებს მისთვის მიყენებული ქრილობების მდებარეობა, რაოდენობა და დაზიანებების ხარისხი (55 ქრილობა სხეულის სხვადასხვა, მათ შორის – არაერთი ქრილობა მიყენებულია სიცოცხლისათვის სახიფათო არეებში), რისი გათვალისწინებითაც, დაზარალებული სიკვდილს მხოლოდ სასწაულებრივად, დროული სამედიცინო დახმარების შედეგად გადაურჩა.

10. შესაბამისად, კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ გ. ჩ-ს მკვლელობის განზრახვა არ ჰქონია, რადგან ასეთი განზრახვა რომ ჰქონოდა მას განახორციელებდა, არაფერი შეუშლიდა ხელს – უსაფუძვლოა და ეწინააღმდეგება როგორც დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებებს, ასევე – საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობას.

11. რაც შეეხება სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ გ. ჩ-მ დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინა ხულიგნური ქვენა გრძნობით (საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი), საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია, შემდეგ გარემოებათა გამო:

12. როგორც ცნობილია, ხულიგნურ ქვენა გრძნობაში იგულისხმება უსაბაზოდ ან სრულიად უმნიშვნელო/მცირე საბაბით (მაგ. დაზარალებულმა არ მოუკიდა სიგარეტს, გაიცინა, არ მიაქცია ყურადღება ხულიგანს და ა.შ.) ჩადენილი ქმედება. ამასთან, ერთი შეხედვით, ხულიგნური მოტივით ჩადენილი დანაშაულები უმოტივოდ და უმიზეზოდ გვეჩვენება, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის, რადგან ხულიგნურ ქვენა გრძნობას გააჩნია მკვეთრად გამოხატული ანტისოციალური ხასიათი, რაც გამოიხატება საზოგადოებრივი თანაცხოვრების ეთიკური ნორმებისა და წესების უგულვებლყოფაში საზოგადოებისადმი უხეში უპატივცემულობის სხვადასხვა ფორმით, რა დროსაც პირი ღიად და აშკარად უპირისპირდება ყველას და ყველაფერს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც პირი სრულიად უსაბაზოდ ან მცირე საბაბით სჩადის დანაშაულს, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ მისი ქმედება იმთავითვე წარმოადგენს ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილ დანაშაულს. ამ დროს აუცილებელია დადგინდეს: პირის მისწრაფება, რომ მას სურდა უხეშად დაერღვია საზოგადოებრივი წესრიგი, გამოეხატა თავისი უპატივცემულობა საზოგადოებისა და მისი წევრების მიმართ, რომლის გარეშეც ქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილად.

13. საკასაციო პალატამ ასევე განმარტა (იხ. გადაწყვეტილება №347აპ-18 საქმეზე), რომ, როდესაც წარმოდგენილი მტკიცებულებებით მკვლელობის ზუსტი მოტივი ვერ დგინდება, ქმედება ავტომატურად ხულიგნურ ქვენა გრძნობად არ უნდა დაკვალიფიცირდეს. როგორც შემთხვევამდე, ისე უშუალოდ შემთხვევის დღეს არსებული ფაქტები დეტალურად უნდა შეფასდეს იმ ვითარებაშიც კი, როდესაც, ერთი შეხედვით, მკვლელობის საბაბი არ არსებობს. სწორედ აღნიშნულის შემდეგ უნდა გაეცეს კითხვას პასუხი: მოქმედებდა კი ბრალდებული სრულიად უსაბაზოდ ან ძალიან მცირე საბაბით, თუ საქმის მასალები არ არის საკმარისი რეალური მოტივის დასადგენად.

14. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ უნდა დაადგინოს, თუ როდის და რა მოტივით წარმოეშვა მსჯავრდებულ გ. ჩ-ს დაზარალებულის მოკვლის განზრახვა, იყო თუ არა დამნაშავის ქმედება ჩადენილი რაიმე საბაბით, მცირე თუ სრულიად უსაბაზოდ, თუ ხულიგნური ქვენა გრძნობით.

15. მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილია, რომ დაზარალებული ი. ა. და მსჯავრდებულის გ. რ. დანაშაულებრივ შემთხვევამდე საერთოდ არ იცნობდნენ ერთმანეთს. შემთხვევის დღეს მათ მოუწიათ ლიფტით ერთად მგზავრობა. მგზავრობისას მსჯავრდებულმა „სტოპ“ ლილაკით შეაჩერა ლიფტის სვლა და სრულიად მოულოდნელად, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, დაესხა თავს დაზარალებულს ისე, რომ, მისივე განმარტებით, არ იცის მიზეზი, თუ რამ გამოიწვია მისი ქმედება. თავის მხრივ, დაზარალებულზე თავდასხმის მიზეზი ვერ დაასახელა ვერც მსჯავრდებულმა. დადგენილია ისიც, რომ დაზარალებული და თავდამსხმელი ლიფტით მგზავრობდნენ მარტო, მათ გარდა ლიფტის კაბინაში არავინ იმყოფებოდა, ხოლო დანაშაული – დაზარალებულზე თავდასხმა – დაიწყო და დასრულდა სწორედ კაბინაში, რაც მის გარეთ აღარ გაგრძელებულა.

16. ამდენად, საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ გ. რ-ს დაზარალებულის მოკვლის კონკრეტული მოტივი არ გააჩნდა. მაგრამ, ვინაიდან წარმოდგენილი მტკიცებულებებით ასევე ირკვევა, რომ მსჯავრდებული და დაზარალებული მარტონი მგზავრობდნენ ლიფტით და დანაშაულის ფაქტს მათ გარდა სხვა არავინ შესწრებია, მსჯავრდებულის ქმედებაში ასევე არ იკვეთება ხულიგნური ქვენა გრძნობის მოტივისათვის დამახასიათებელი აუცილებელი ნიშნები – აშკარა ანტისაზოგადოებრივი განწყობა, დამნაშავეის სურვილი, რომ უხეშად დაერღვია საზოგადოებრივი წესრიგი და გამოეხატა უპატივცემულობა საზოგადოებისა და მისი წევრების მიმართ. ხსენებულის გათვალისწინებით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ გ. რ-მ დანაშაული ჩაიდინა ყოველგვარი საბაბის გარეშე, არ წარმოადგენს მისი ქმედების ხულიგნური ქვენა გრძნობით დაკვალიფიცირების საფუძველს.

17. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული გ. რ. ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

18. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე და 53-ე მუხლების დანაწესს, ინდივიდუალურად აფასებს მსჯავრდებულ გ. რ-ს პიროვნულ მახასიათებლებს და სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო გარემოებებს. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ. რ-სათვის შეფარდებული სასჯელი, მიუხედავად იმისა, რომ იგი გამართლდა შერაცხული ბრალდების ნაწილში, მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმისა და ხასიათის გათვალისწინებით, სამართლიანია, რაც სრულად უზრუნველყოფს სისხლის სა-

მართლის კოდექსით განსაზღვრული სასჯელის მიზნების მიღწევას, რის გამოც სასჯელის შემსუბუქების საფუძველი არ არსებობს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ გ. ჩ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 19 თებერვლის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. მსჯავრდებული გ. ჩ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში;

4. გ. ჩ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯოს 17 (ჩვიდმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

5. მსჯავრდებულ გ. ჩ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან – 2018 წლის 2 ივნისიდან.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 19 თებერვლის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.



## 2. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

### სსკულის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი სულიბნური ქვენაბრძნობით

#### განაჩენი საქართველოს სასჯელით

№274აპ-19

4 ოქტომბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. თ-ის ინ-ტერესების დამცველის, ადვოკატ ა. თ-ის საკასაციო საჩივარი თბი-ლისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 11 იანვრის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის განაჩენით ზ. თ., – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განე-საზღვრა 7 (შვიდი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

ზ. თ-ის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა.

ზ. თ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა დაკავებასა და პა-ტიმრობაში ყოფნის დრო და სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო ფაქ-ტობრივი დაკავების მომენტიდან – 2018 წლის 11 თებერვლიდან.

ნივთიერი მტკიცებულებები: ს. ს-ის სისხლის ნიმუში, რომელიც ერთვის საქმეს, უნდა განადგურდეს კანონით დადგენილი წესით; ს. ს-ის ტანსაცმელი, რომელიც ინახება შსს ბ-ის რაიონულ სამმარ-თველოში, უნდა დაუბრუნდეს მას.

2. აღნიშნული განაჩენით ზ. თ-ს მსჯავრი დაედო ჯანმრთელო-ბის განზრახ მძიმე დაზიანებაში, ესე იგი სხეულის დაზიანებაში, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, ჩადენილი ხულიგნური ქვენა გრძნობით.

ზ. თ-ის ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ზ. თ-მა 2018 წლის 8 თებერვალს ბ-ის რაიონის სოფელ ს-ში ს. ს-ეს, სრულიად უმიზეზოდ, დანა ჩაართყა გულმკერდის მარცხენა არეში, რითაც მიაყენა სხეულის მძიმე ხარისხის სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანება.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 11 იანვრის განაჩენით ახალციხის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. კასატორი – მსჯავრდებულ ზ. თ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ა. თ. საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 11 იანვრის განაჩენის გაუქმებასა და საქმის ახალი განხილვისათვის გამოძიებაში დაბრუნებას. მისი აზრით, საქმეში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება და არც სასამართლოს უმსჯელია, თუ რატომ მიიჩნია, რომ მსჯავრდებულმა ზ. თ-მა დანაშაული ჩაიდინა ხულიგნური ქვენა გრძნობით; საკასაციო პალატამ უნდა დამკვიდროს ერთიანი პრაქტიკა და განსაზღვროს, თუ რომელი დანაშაული ჩაიდინა მსჯავრდებულმა – ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, თუ ეს ქმედება ჩადენილია ხულიგნური ქვენა გრძნობით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ მსჯავრდებულ ზ. თ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. თ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მსჯავრდებულმა ზ. თ-მა ჩაიდინა არა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლი), არამედ – ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით (საქართველოს სსკ-ის 124-ე მუხლი) და ამ ნაწილში სრულად ეთანხმება სააპელაციო პალატის არგუმენტებს, თუმცა არ იზიარებს სასამართლოს შეფასებას, რომ მსჯავრდებულმა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ჩაიდინა ხულიგნური ქვენა გრძნობით, კერძოდ:

3. აღსანიშნავია, რომ დაცვის მხარე არ უარყოფს, რომ მსჯავრდებულმა ზ. თ-მა ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენა დაზარალებულ ს. ს-ეს, მაგრამ უთითებს, რომ მან დანაშაული ჩაიდინა გაუფრთხილებლობით და არანაირი მოტივი მის ქმედებაში, მათ შორის – ხულიგნური ქვენა გრძნობა, არ არის გამოკვეთილი, რასაც

თავის ჩვენებაში ასევე ადასტურებს დაზარალებულიც.

4. საკასაციო პალატა, ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მოსაზრებას, რომ ზ. თ-მა დანაშაული ჩაიდინა გაუფრთხილებლობით, ვინაიდან საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადგენილად მიაჩნია, რომ ზ. თ-მა განიზრახა დაზარალებულის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება და მისი ქმედება უშუალოდ მიმართული იყო სწორედ ამ დანაშაულის ჩასადენად, რასაც ადასტურებს შემდეგი გარემოებები, კერძოდ:

5. დაზარალებულ ს. ს-ის ჩვენება, რომლითაც დადგენილია, რომ შემთხვევის დღეს ის იმყოფებოდა სოფლის „ბირჟაზე“. მასთან მივიდა ზ. თ., რომელიც ნასვამი იყო და ხელში დანა ეჭირა. ისინი გვერდგვერდ იდგნენ, როცა ზ-ს უთხრა – „დანა რომ არ გიჭრის, რატომ დაგაქვსო“. ამ დროს ზ-მ დანა დაარტყა, რის შემდეგაც აღარ ახსოვს, რა მოხდა. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მისმა მიმართვამ ზ. თ-სადმი – „დანა რომ არ გიჭრის, რატომ დაგაქვსო“, განაპირობა ზ. თ-ის გაღიზიანება, რასაც მოჰყვა მისი მყისიერი რეაქცია და მოქმედება – დაზარალებულისათვის დანის დარტყმა;

6. ასევე ნიშანდობლივია, რომ თვითონ მსჯავრდებულ ზ. თ-ის ჩვენებითაც დასტურდება, რომ ის გაანანყენა დაზარალებულის ნათქვამმა, სახელდობრ: მსჯავრდებული თავის ჩვენებაში განმარტავს, რომ მას შემდეგ, რაც ს-მა უთხრა – „რას დაგაქვს ეგ დანა, ჭრიდეს მაინც რამესო“ – მან დანა მოუქნია ს-ს, უნდოდა მისი სვითერის გაჭრა, მაგრამ მთვრალმა ვეღარ მოზომა და შემთხვევით დაჭრა გულმკერდის არეში.

7. ზ. თ-ის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი – მისი მყისიერი რეაქცია დაზარალებულის ნათქვამზე; დაზარალებულისათვის მიყენებული დაზიანების როგორც სიმძიმე (სიცოხლისათვის სახიფათო ნაკვეთი ჭრილობა, ზომით 2,5 X 0,5 სმ, ჭრილობის არხი მიემართება ზემოდან ქვემოთ, მარცხნიდან მარჯვნივ), ისე მისი ლოკალიზაცია – ადამიანის სიცოცხლისათვის სახიფათო, გულმკერდის არეში;

8. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების განზრახვა შესაძლებელია, წარმოიშვას დამნაშავესა და დაზარალებულს შორის არსებული იმწუთიერი ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე და დანაშაულის შემადგენლობისათვის აუცილებელი არ არის, რომ განზრახვა დროის ხანგრძლივი ინტერვალით უსწრებდეს წინ ქმედებას. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების განზრახვა ზ. თ-ს წარმოეშვა განანყენების ნიადაგზე. ხოლო ის ფაქტი, ჰქონდა თუ არა მსჯავრდებულს ეს

განზრახვა, დაზარალებულის აღქმაზე არ არის დამოკიდებული, არამედ აღნიშნული წარმოადგენს სასამართლოს შეფასების საგანს.

9. რაც შეეხება ჯანმრთელობის განზრახ მიძიმე დაზიანებას, ჩადენილს მაკვალიფიცირებელი ნიშნით – ხულიგნური ქვენა გრძნობით, აღნიშნული არ დასტურდება საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ:

10. ხულიგნურ ქვენა გრძნობაში იგულისხმება უსაბაბოდ ან სრულიად უმნიშვნელო/მცირე საბაბით (მაგ. დაზარალებულმა არ მოუკიდა სიგარეტს, გაიცინა, არ მიაქცია ყურადღება ხულიგანს და ა.შ.) ჩადენილი ქმედება. ამასთან, ერთი შეხედვით, ხულიგნური მოტივით ჩადენილი დანაშაულები უმოტივოდ და უმიზეზოდ გვეჩვენება, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის, რადგან ხულიგნურ ქვენა გრძნობას გააჩნია მკვეთრად გამოხატული ანტისოციალური ხასიათი, რაც გამოიხატება საზოგადოებრივი თანაცხოვრების ეთიკური ნორმებისა და ნებსების უგულებელყოფაში საზოგადოებისადმი უხეში უპატივცემულობის სხვადასხვა ფორმით, რა დროსაც პირი ღიად და ამკარად უპირისპირდება ყველას და ყველაფერს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც პირი სრულიად უსაბაბოდ ან მცირე საბაბით სჩადის დანაშაულს, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ მისი ქმედება იმთავითვე წარმოადგენს ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილ დანაშაულს, არამედ, როგორც აღინიშნა, ამ დროს აუცილებელია დადგინდეს: პირის მისწრაფება, რომ მას სურდა უხეშად დაერღვია საზოგადოებრივი წესრიგი, გამოეხატა თავისი უპატივცემულობა საზოგადოებისა და მისი წევრების მიმართ, რომლის გარეშეც ქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილად.

11. გარდა ამისა, ხულიგნურ ქვენა გრძნობასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა ასევე ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე (იხ. გადაწყვეტილება №347აპ-18 საქმეზე), კერძოდ: „როდესაც წარმოდგენილი მტკიცებულებებით მკვლელობის ზუსტი მოტივი ვერ დგინდება, ქმედება ავტომატურად ხულიგნურ ქვენა გრძნობად არ უნდა დაკვალიფიცირდეს. როგორც შემთხვევამდე, ისე უშუალოდ შემთხვევის დღეს არსებული ფაქტები დეტალურად უნდა შეფასდეს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც, ერთი შეხედვით, მკვლელობის საბაბი არ არსებობს. სწორედ აღნიშნულის შემდეგ უნდა გაეცეს კითხვას პასუხი: მოქმედებდა კი ბრალდებული სრულიად უსაბაბოდ ან ძალიან მცირე საბაბით, თუ საქმის მასალები არ არის საკმარისი რეალური მოტივის დასადგენად“.

12. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, ვინაიდან საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მსჯავრდე-

ბულ ზ. თ-ის ქმედებაში არ იკვეთება ხულიგნური ქვენა გრძნობი-სათვის დამახასიათებელი ზემოაღნიშნული ის აუცილებელი ნიშ-ნები როგორებიცაა დამნაშავეს ქმედების მკვეთრად გამოსატყული ანტისოციალური ხასიათი და მისი მისწრაფება, რომ უხეშად დაუ-პირისპირდეს და გამოსატყოს თავისი უპატივცემულობა საზოგა-დოების მიმართ, იგი უნდა გამართლდეს დანაშაულის ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენის ნაწილში.

13. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სის-ხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 11 იანვრის განაჩე-ნი უნდა შეიცვალოს, კერძოდ: მსჯავრდებულ ზ. თ-ის ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნა-წილის „გ“ ქვეპუნქტით, უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

14. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლი-სა და ამავე კოდექსის 53-ე მუხლის შინაარსს; ზ. თ-ის პიროვნულ მახასიათებლებს; იმ გარემოებას, რომ მის ქმედებაში არ დადას-ტურდა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ჩადენა მაკვა-ლიფიცირებელ გარემოებაში, რაც ამცირებს მისი ქმედების საშიშ-როების ხარისხს; ამასთან, იგი წარსულში ნასამართლევი არ არის. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მას სასჯელად უნდა განესაზ-ღვროს საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილის სანქცი-ით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელი – 3 (სამი) წლით თა-ვისუფლების აღკვეთა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ადვოკატ ა. თ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 11 იანვრის განაჩენში შევიდეს შემ-დეგი ცვლილება:
3. მსჯავრდებულ ზ. თ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

4. მსჯავრდებულ ზ. თ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწესოს დაკავების დღიდან – 2018 წლის 11 თებერვლიდან.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 11 იანვრის განაჩენი ნივთმტკიცებათა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **3. დანაშაული საქსოპრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ**

#### **გარყვნილი ქმედება**

#### **განაჩენი საქართველოს სასჯელით**

№66ნაკ-19

1 მაისი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქ. თბილისის პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორ გია შაიშმელაშვილისა და მსჯავრდებულ ხ. ს-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჭ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 13 სექტემბრის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ხ. ს-ს ბრალად დაედო:

ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ბინაში უკანონო შეღწევით;

სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება, ესე იგი სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ;

ძალადობის გარეშე გარყვნილი ქმედება დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლთან.

ხ. ს-სათვის ბრალად წარდგენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2016 წლის 24 ოქტომბერს, ღამის საათებში, ხ. ს-მა უკანონოდ შეაღწია ქ. თ., ს-ს ქუჩის ... ჩიხის №-ში მდებარე ა. მ-სა და თ. კ-ის კუთვნილ საცხოვრებელ სახლში, საიდანაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა თ. კ-ის კუთვნილ „ნოკიას“ ფირმის მობილურ ტელეფონს, რითაც დაზარალებულ თ.

კ-ეს მიადგა 20 ლარის ქონებრივი ზიანი.

აღნიშნულის შემდეგ, ა. მ-სა და თ. კ-ის საცხოვრებელ სახლში მყოფი ბ. ს. შევიდა 14 წლის თ. ს-ისა და 12 წლის თ. ს-ის საძინებელ ოთახში, სადაც წინასწარი შეცნობით, საწოლში მძინარე, არასრულწლოვან თ. ს-ს დაუწყო ტუჩებში კოცნა და თავზე მოფერება, რა დროსაც შეიხსნა შარვლის ელვაშესაკრავი, ქამარი და საბნის ზემოდან დაანვა მას. ამ დროს თ. ს-ს გამოეღვიძა და შეშინებულმა დაიწყო ყვირილი. იმავედროულად გამოეღვიძა თ. ს-ის გვერდით მწოლ, ასევე არასრულწლოვან, 12 წლის თ. ს-საც, რომლის ასაკიც ბ. ს-ს წინასწარ ჰქონდა შეცნობილი და მანაც დაიწყო ყვირილი.

შემდეგ ბ. ს. წამოდგა საწოლიდან და შარვლის გახსნილი ელვაშესაკრავიდან თ. ს-სა და თ. ს-თან მოახდინა სასქესო ორგანოს დემონსტრირება. ამ დროს თ. ს-მა და თ. ს-მა უმატეს ყვირილს, რის შემდეგაც ბ. ს. შეეცადა მიმალვას, თუმცა ა. მ-მა მისივე სახლის ეზოში შეაჩერა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 ივნისის განაჩენით ბ. ს. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში.

ბ. ს. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2017 წლის 4 მაისის №763 ცვლილებების შესაბამისად) – 7 (შვიდი) წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით – 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ბ. ს-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 7 (შვიდი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ბ. ს-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა.

ბ. ს-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო და სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავებიდან – 2016 წლის 24 ოქტომბრიდან.

### **ნივთიერი მტკიცებულებები:**

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ბ. ს-ის პირადი ჩხრეკისას ამოღებული მობილური ტელეფონი, რომელიც დალუქული ინახება შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს კრიმინალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საგამოძიებო სამსახურში, ასევე – ბრალდებუ-



ლის პირადი ჩხრეკისას ამოღებული პირადი ნივთები: საფულე, მასში მოთავსებული 1 ცალი ერთდოლარიანი კუპიურა №... ფულადი თანხა – 90 თეთრი, ხ. ს-ის სახელზე გაცემული პირადობის მოწმობა, სამი პლასტიკური ბარათი, რომლებიც ინახება შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს კრიმინალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საგამოძიებო სამსახურში, უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მესაკუთრეს;

შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად ამოღებული ბალიშისა და საბნის გადასაკრავები, რომლებიც დალუქული ინახება შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს კრიმინალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საგამოძიებო სამსახურში, უნდა დაუბრუნდეს მესაკუთრეს;

ხელის კვლები ერთ დაქტილოფირზე – აღბეჭდილი 1 CD დისკზე, რომელიც გადაგ ზავნილია ექსპერტიზის ჩატარების მიზნით შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში, უნდა განადგურდეს;

ბრალდებულ ხ. ს-სგან ამოღებული ტანსაცმელი: მაისური (სვიტერი) და შარვალი, რომელიც დალუქული ინახება შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს კრიმინალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საგამოძიებო სამსახურში, უნდა დაუბრუნდეს მესაკუთრეს;

ხ. ს-სგან აღებული ნერწყვისა და სუნის ნიმუშები, რომლებიც ინახება შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს კრიმინალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საგამოძიებო სამსახურში, უნდა განადგურდეს.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 ივნისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორმა გია შაიშმელაშვილმა, აგრეთვე მსჯავრდებულმა ხ. ს-მა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. ჭ-მ.

სახელმწიფო ბრალდებამ სააპელაციო საჩივრით ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ხ. ს-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მისთვის კანონიერი და სამართლიანი სასჯელის განსაზღვრა, ხოლო დაცვის მხარემ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა. სააპელაციო საჩივარსა და სააპელაციო პალატის სხდომაზე დაცვის მხარემ ალტერნატივის სახით მოითხოვა ხ. ს-ის მიერ ჩადენილი ქმედების, ქურდობის გადაკვალიფიცირება ქურდობის მცდელობაზე ან საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3

ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით შერაცხული ბრალდების გადაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 13 სექტემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 ივნისის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება:

ბ. ს. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხლით (2017 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილ ბრალდებაში.

ბ. ს-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან, გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე.

ბ. ს. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

ბ. ს. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2017 წლის 4 მაისის №763 ცვლილების შესაბამისად) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 7 (შვიდი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, დანაშაულთა ერთობლიობით, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ ბ. ს-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 7 (შვიდი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

ბ. ს-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავებიდან – 2016 წლის 24 ოქტომბრიდან.

ცნობად იქნა მიღებული, რომ ბ. ს-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმებულია.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 13 სექტემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორმა გია შაიშმელაშვილმა და მსჯავრდებულ ბ. ს-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. ქ-მ.

კასატორი – ქ. თბილისის პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორი გია შაიშმელაშვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს ბ. ს-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხლითა და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებებში.

კასატორი – მსჯავრდებულ ბ. ს-ის ინტერესების დამცველი, ად-

ვოკატი დ. ჭ. საკასაციო საჩივრით ითხოვს ხ. ს-ის უდანაშაულოდ ცნობას შერაცხულ ბრალდებებში, ხოლო ალტერნატივის სახით ქურდობის ბრალდების ნაწილში საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირებული ქმედების, საქართველოს სსკ-ის 19, 177-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე გადაკვალიფიცირებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ პროკურორთა გია შაიშმელაშვილის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ ხ. ს-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება.

2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულმა ხ. ს-მა ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული, თუმცა არ ეთანხმება სააპელაციო პალატის პოზიციას ხ. ს-ის საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2017 წლის 4 მაისის №763 ცვლილების შესაბამისად) დამნაშავედ ცნობის ნაწილში, კერძოდ:

3. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის მოტივაციას, რომ მსჯავრდებულ ხ. ს-ის ქმედებაში გამოკვეთილია არა ქურდობის დამთავრებული შემადგენლობა, არამედ – მცდელობა, შემდეგ გარემოებათა გამო:

4. როგორც ცნობილია, ქურდობა თავისი საკანონმდებლო კონსტრუქციით მატერიალურ შემადგენლობათა რიცხვს მიეკუთვნება და მისი ობიექტური მხარე სავალდებულო ნიშნად მიიჩნევა მავნე შედეგის დადგომას ქონებრივი ზიანის სახით. შესაბამისად, ქურდობა დამთავრებულად ითვლება მას შემდეგ, რაც პირი მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლება სხვის მოძრავ ნივთს და მას უჩნდება მისი განკარგვის რეალური შესაძლებლობა.

5. მოცემულ შემთხვევაში საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით, სახელდობრ: დაზარალებულების – თ. ს-ის, თ. ს-ისა და თ. კ-ის, მონემების – ა. მ-ს, გ. გ-ას ჩვენებებით, ბრალდებულ ხ. ს-ის პირადი ჩხრეკის ოქმით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ ხ. ს-მა უკანონოდ შეაღწია ა. მ-სა და თ. კ-ის კუთვნილ საცხოვრებელ სახლში, სადაც იგი თავდაპირველად შეამჩნიეს აღნიშნულ სახლში მყოფმა და მცხოვრებმა პირებმა – თ. და თ. ს-ებმა, ხოლო შემდეგ – ა. მ-მა

და თ. კ-ემ. ხ. ს. შეეცადა სახლიდან მიმალვას და გაიქცა ეზოში, მაგრამ მას გაეკიდა ა. მ., რომელსაც დასახმარებლად მოუხმეს თ. და თ. ს-ებმა. როდესაც ხ. ს. ცდილობდა ეზოს ღობეზე გადასვლას და მიმალვას, ა. მ-მა შეძლო მისი დაკავება. მოგვიანებით, შემთხვევის ადგილზე მისულმა პატრულ-ინსპექტორებმა დაკავებული ხ. ს-ის პირადი ჩხრეკისას, მისი ჯინსის შარვლის წინა, მარჯვენა ჯიბიდან ამოიღეს დაზარალებულ თ. კ-ის კუთვნილი „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები ნათლად ცხადყოფს, რომ ხ. ს-ს ქურდობის შემადგენლობა დასრულებული არ ჰქონდა, ვინაიდან მას ფარულად დაუფლებული ნივთის თავისუფალი განკარგვის შესაძლებლობა არ მისცემია, რადგან იგი მიმალვის მცდელობისას სახლის ეზოში დააკავა ა. მ-მა. ამდენად, ხ. ს-ის ქმედება ქურდობის ნაწილში არ წარმოადგენს დამთავრებულ დანაშაულს, რის გამოც მისი ქმედება მსჯავრდების ამ ეპიზოდში სააპელაციო პალატამ სწორად გადააკვალიფიცირა ქურდობის მცდელობაზე.

6. ამასთან, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის ვერსიას, რომ ხ. ს. ქურდობის მიზნით არ შესულა საცხოვრებელ სახლში, არამედ მას სურდა ამ სახლში მცხოვრებ მ. მ-თან ფარული შეხვედრა, რომელთანაც ჰქონდა ინტიმური ურთიერთობა და მას ხშირად ხვდებოდა მისსავე საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, გარდა მსჯავრდებულის ჩვენებისა, დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია. თავის მხრივ, სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას მოწმის სახით დაკითხულმა მ. მ-მა უარყო ხ. ს-თან ნაცნობობისა და მასთან რაიმე სახის ურთიერთობის ფაქტი.

7. რაც შეეხება ხ. ს-ისათვის საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხლითა (2017 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) (ძალადობის გარეშე გარყვნილი ქმედება დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლთან) და სსკ-ის 138-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2017 წლის 4 მაისის №763 ცვლილების შესაბამისად) (სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება, ესე იგი სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ) წარდგენილ ბრალდებებს, რომელთაგან იგი გამართლდა სსკ-ის 141-ე მუხლით (2017 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო მსჯავრი დაედო სსკ-ის 138-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2017 წლის 4 მაისის №763 ცვლილების შესაბამისად), საკასაციო პალატა აღნიშნავს შემდეგს:

8. სააპელაციო პალატა სექსუალური ხასიათის ძალმომრეობი-

თი მოქმედების ჩადენაში ხ. ს-ის ბრალეულობის დამადასტურებელ არგუმენტებად უთითებს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მიძინარე, არასრულწლოვანი დაზარალებულის – თ. ს-ის ლოგინზე დაწოლილმა ხ. ს-მა ჩაიხადა შარვალი, ტრუსი, ამოიღო სასქესო ორგანო, რის შემდეგაც ზემოდან დაანვა საბანზე თ. ს-ს და დაუნყო თავზე მოფერება და ტურჩებში კოცნა, რისი გათვალისწინებითაც მიიჩნია, რომ მსჯავრდებულმა თ. ს-ის მიმართ ჩაიდინა გაუკუღმართებული ფორმით სექსუალური კონტაქტი, რაც წარმოადგენს სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების ობიექტური მხარის ერთ-ერთ ნიშანს.

9. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას საქმის ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, მაგრამ არ ეთანხმება მის სამართლებრივ შეფასებას შემდეგ გარემოებათა გამო, კერძოდ:

10. როგორც ცნობილია, სხვაგვარ სექსუალურ კონტაქტში გაუკუღმართებული ფორმით იგულისხმება არაბუნებრივი სექსუალური კონტაქტის ნებისმიერი ფორმა (გარდა მამათმავლობისა და ლესბოსელობისა), რომელიც ჩადენილია ძალადობით, ძალადობის მუქარით, ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით. გაუკუღმართებული სექსუალური კონტაქტი გამოკვეთილია მაშინ, როცა ქმედება გარეგნულად სქესობრივი კავშირის იმიტაციას ქმნის, ჰგავს და აღიქმება სექსუალურ კავშირად, მაგრამ განხორციელებულია არაბუნებრივი ფორმით (მაგალითად, მამაკაცის სექსუალური კავშირი ქალთან ქალის სწორი ნაწლავის მეშვეობით და სხვ.) წინააღმდეგ შემთხვევაში ეს არ არის გაუკუღმართებული სექსუალური კონტაქტი, თუნდაც ასეთი ქმედება პირს სექსუალურ კმაყოფილებას ანიჭებდეს.

11. ხოლო გარყვნილი ქმედების ჩადენის დროს დამნაშავე დაზარალებულთან არ ამყარებს სექსუალურ კონტაქტს, არამედ იგი სხვაგვარი ქმედებით ახდენს 16 წლის ასაკს მიუღწეველი პირის გარყვნას, რომელიც შეიძლება გამოიხატოს როგორც ფიზიკური, ისე – ინტელექტუალური ქმედების სახით.

12. წარმოდგენილი საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ ხ. ს-მა ჩაიდინა სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, რადგან მისი ქმედება – შარვლისა და ტრუსის გახდა, სასქესო ორგანოს ამოღება და შემდეგ თ. ს-ის საბანზე ზემოდან დაწოლა, მისთვის ტურჩებში კოცნა და თავზე მოფერება – არ ქმნის საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლით (დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას, ვინაიდან არ მომხდარა არც გაუკუღმართებული სექსუალური კონტაქტი და არც – ამის მცდელობა.

13. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაზარალებულის საბან-ზე დაწოლა და ზემოდან ფიზიკური ურთიერთშეხება გვაძლევს არა სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების, არამედ – საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის – გარყვნილი ქმედების ნიშნებს.

14. სასქესო ორგანოს დემონსტრირებასთან დაკავშირებით (სსკ-ის 141-ე მუხლით წარდგენილი ბრალდება) კი საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის შეფასებას, კერძოდ, რომ აღნიშნულ ნაწილში გარყვნილი ქმედების სუბიექტური შემადგენლობა გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტით დასტურებული არ არის.

15. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებულ ხ. ს-ის ქმედებაში არ იკვეთება სექსუალური კონტაქტის გაუკუღმართებული ფორმით ჩადენის ნიშნები, მაგრამ ამავე დროს არსებობს გარყვნილი ქმედების შემადგენლობა, მისი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2017 წლის 4 მაისის №763 ცვლილების შესაბამისად), უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხლზე (2016 წლის 24 ოქტომბერს მოქმედი რედაქცია).

16. რაც შეეხება სასჯელის ზომას, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე და 53-ე მუხლებით დადგენილ სასჯელის დანიშნვის ზოგადსავალდებულო გარემოებებს და ინდივიდუალურად აფასებს მსჯავრდებულის პიროვნულ მახასიათებლებს. აღსანიშნავია, რომ ხ. ს-ს არ გააჩნია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები. პალატამ მხედველობაში მიიღო ასევე ის გარემოება, რომ ხ. ს-ის ბრალის ხარისხი მნიშვნელოვნად შემცირდა, რისი მხედველობაში მიღებითაც საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხლით (2016 წლის 24 ოქტომბერს მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის მას უნდა შეეფარდოს სანქციით განსაზღვრული მინიმალური სასჯელი და, შესაბამისად, უნდა შეუმსუბუქდეს დანაშაულთა ერთობლიობით დანიშნული საბოლოო სასჯელიც.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. პროკურორ გია შაიშმელაშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკ-

მაყოფილდეს;

2. მსჯავრდებულ ხ. ს-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 13 სექტემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება;

4. ხ. ს. ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს:

საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლით;

საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხლით (2016 წლის 24 ოქტომბერს მოქმედი რედაქცია) – თავისუფლების აღკვეთა 5 (ხუთი) წლით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშნისას, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ ხ. ს-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა;

5. ხ. ს-ს სასჯელის მოხდა აეთვალოს დაკავებიდან – 2016 წლის 24 ოქტომბრიდან;

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 13 სექტემბრის განაჩენი ნივთმტკიცებების ნაწილში დარჩეს უცვლელად;

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

# სისხლის სამართლის პროცესი კერძო ნაწილი

## 1. კანსაცია

### საკანსაციო განაჩენი

#### გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა

#### განაჩენი საქართველოს სასახლით

№541აპ-19

26 დეკემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

განიხილა მსჯავრდებულ გ. თ-ს ინტერესების დამცველის, ად-  
ვოკატ ო. ხ-ს საკანსაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამარ-  
თლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 13 მაისის  
განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-  
მეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი გან-  
ხილვის კოლეგიის 2018 წლის 19 ივნისის განაჩენით:

1.1. გ. თ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე  
მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანა-  
შაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა  
თავისუფლების აღკვეთა 9 წლით.

1.2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის  
მე-5 ნაწილის თანახმად, ამ განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა – 9  
წლით თავისუფლების აღკვეთამ შთანთქა თბილისის საქალაქო სა-  
სამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 13  
ოქტომბრის განაჩენით გ. თ-ს მიმართ საქართველოს სისხლის სა-  
მართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალის-  
წინებული დანაშაულის ჩადენისთვის დანიშნული სასჯელი – ჯა-



რემა 2000 ლარი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, გ. თ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 9 წლით. მსჯავრდებულ გ. თ-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან – 2017 წლის 23 სექტემბრიდან.

2. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. თ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა, რომელმაც მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გ. თ-ს უდანაშაულოდ ცნობა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 13 მაისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 19 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

**4. თბილისის სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ:**

4.1. 2017 წლის 23 სექტემბერს, 03:00 საათიდან – 04:00 საათამდე დროის მონაკვეთში, თ., ა-ის მიმდებარედ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 19 ნოემბრის განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ნასამართლეთი გ. თ. თავს დაესხა ტაქსის მძღოლ გ. ო-ს, მისი თანხის მისაკუთრების მიზნით, დაადო დანა გულმკერდის არეში და სიცოცხლის მოსპობის მუქარით დაეუფლა მის კუთვნილ თანხას – 20 ლარს.

5. კასატორი – მსჯავრდებულ გ. თ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ო. ხ. ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

5.1. კასატორი აღნიშნავს, რომ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა ერთი მონმის ჩვენების საფუძველზე დაუშვებელია; დასაბუთების მაღალი სტანდარტიდან გამომდინარე, უნდა არსებობდეს მინიმუმ ორი პირდაპირი სახის მტკიცებულება. ამ შემთხვევაში კი თბილისის სააპელაციო სასამართლო ეფუძნება ერთ პირდაპირ მტკიცებულებას – დაზარალებულ გ. ო-ის ჩვენებას. სააპელაციო სასამართლო დაზარალებულის ჩვენებასთან ერთად, საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობად მიიჩნევს მის მიერ ბრალდებულის ამოცნობის ოქმს, რაც არასწორია, ვინაიდან დაზარალებულის ჩვენებასა და ამოცნობის ოქმს ჰყავს ინფორმაციის ერთი წყარო – დაზარალებული, შესაბამისად, დაუშვებელია ჩვენება და ამოცნობის ოქმი მივიჩნიოთ ორი, სხვადასხვა, პირდაპირი ხასიათის მტკიცებულებად; სასამართლოს უნდა შეეფასებინა, რამდე-

ნად დამაჯერებელია მოწმე ო-ის ჩვენება იმ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, რაც უშუალოდ უკავშირდება გ. თ-ის მიმართ წაყენებულ ბრალდებას. იგი პირდაპირი სახის მოწმეა, რომელმაც კატეგორიულად გამორიცხა გ. თ-ის მიერ ყაჩაღობის ჩადენის ფაქტი.

5.2. აღსანიშნავია, რომ ავტომანქანაზე აღებული კვლების ნიმუშების იდენტიფიკაცია დადგინდა მხოლოდ გ. თ-ისა და ვ. ო-ის ხელის კვლებთან; ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, არ ვლინდება გ. თ-ის კავშირი ავტომანქანასთან, მანქანაზე გაკეთებულ ანანმენდებში აგრეთვე არ დადგინდა გ. თ-ის გენეტიკური თანამონაწილეობა; ავტომანქანის დათვალიერების ოქმში არ არის მითითებული ტაქსის აღმნიშვნელ ნიშანში შემავალი სადენების, მითუფრო დანით გადაჭრილი სადენების თაობაზე (როგორც ამას უთითებს დაზარალებული).

6. საკასაციო პალატის სხდომაზე ადვოკატმა ტ. კ-ემ მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და ითხოვა მისი დაკმაყოფილება (რასაც დაეთანხმა მსჯავრდებული გ. თ.), ხოლო პროკურორმა ანა მეტრეველმა ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობით განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. თ-ს ადვოკატის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე დაზარალებულმა გ. ო-მ განაცხადა, რომ 2017 წლის 23 სექტემბერს „მერსედესის“ მარკის ტაქსით, რომელსაც თავად მართავდა, გადაადგილდებოდა თ-ი, ტ-ის ქუჩისა და წ-ის ქუჩების კვეთასთან, სადაც მას ორი პირი ჩაუჯდა. ერთ-ერთი მათგანი (მიუთითა ბრალდებულ გ. თ-ზე) დაჯდა მძღოლის გვერდით არსებულ სავარძელზე, ხოლო მეორე კი – უკანა სალონში. მოწმემ შენიშნა, რომ მგზავრები ნასვამები იყვნენ და სთხოვა მანქანიდან გადასვლა იმ მიზეზით, რომ სამუშაო საათები დამთავრებული ჰქონდა. აღნიშნულზე გ. თ-მ უხეშად მიმართა და მოთხოვა იმ ადგილზე წაყვანა, სადაც თვითონ მიუთითებდა, ვინაიდან არ სურდა სიტუაციის დაძაბვა, დათანხმდა მის მოთხოვნას და მგზავრები ა-ას ქუჩაზე წაიყვანა. ადგილზე მისვლისას გ. თ-მ უკან მჯდომ მამაკაცს მიაწოდა პარკი და სთხოვა შეეტანა ეზოში, რასაც შემდეგ მიხედავდა. უკან მჯდომი მამაკაცის მანქანიდან გადასვლის შემდეგ გ. თ-მ მას ჰკითხა – თუ რამდენ-

ნი იყო მგზავრობის ღირებულება, რაზედაც უპასუხა, რომ გადასახდელი იყო სამი ლარი. აღნიშნულის შემდეგ გ. თ-მ ათლარიანი მიაწოდა, მან კი ხურდის სახით 7 ლარი დაუბრუნა. ამის შემდეგ გ. თ-მ მას მოთხოვა ათლარიანის უკან დაბრუნება, რადგან სამი ლარის ხურდა ჰქონდა. ათლარიანის მიწოდების შემდეგ, გ. თ. უარს ეუბნებოდა თავისი თანხის დაბრუნებაზე, რა დროსაც მათთან მივიდა მეორე მამაკაცი, რომელმაც მას შემდეგ, რაც გ. თ-ს ნათქვამი გაიგო (რომ აღნიშნული თანხა იყო მისი ბავშვის საჭმლის ფული), გ. თ-ს გამოართვა 7 ლარი და დაუბრუნა უკან. ამის გამო თ. გახდა აგრესიული, დანის მუქარით წაართვა 7 ლარი და ასევე მანქანაში დადებული ფულიც, ჯამურად – 20 ლარი. გარდა ამისა, გადაუჭრა ტაქსის ტრაფარეტი და მოთხოვა მანქანიდან გადასვლა იმ მიზნით, რომ სურდა მანქანით სეირნობა. ტრაფარეტიც ისევ მისმა მეგობარმა მოუტანა და ჩადო ავტომანქანის მარჯვენა სალონში, თუმცა გ-მ ისევ აიღო იგი და უფრო შორს გადაადგო, რომ ვეღარ მოეტანათ. ავტომანქანიდან გადასვლაზე უარის მიღების შემდეგ, გ. თ-მ მოთხოვა გვერდით გასვლა, რათა ეჩვენებინა მისთვის, თუ რისი გაკეთება შეეძლო თანაქონი დანით. ისარგებლა შექმნილი სიტუაციით და სანამ გ. თ. ჩაჯდებოდა მანქანაში, მოასწრო მისი დაძვრა და ადგილიდან თავის დაღწევა. თუმცა გ. თ-მ მოახერხა და მის წასვლამდე დანა ჩაართვა უკანა საქარე მინას, რის შედეგადაც იგი მთლიანად ჩაიშხვრა. ვინაიდან იყო ძალიან შემინებული და დაზნეული, წავიდა სახლის მიმართულებით, თუმცა გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ დამშვიდდა, უკან დაბრუნდა და მომხდარის თაობაზე პოლიციას შეატყობინა, რის შემდეგაც პოლიციის თანამშრომლებთან ერთად დაბრუნდა შემთხვევის ადგილზე. იქ მისულებს ადგილზე დახვდათ მხოლოდ გ. თ-ს მეგობარი, რომელსაც ყაჩაღობაში მონაწილეობა არ მიუღია. მოგვიანებით მისი მონაწილეობით ჩატარდა ამოცნობა, რა დროსაც ამოსაცნობად წარდგენილი პირებიდან ამოიცნო გ. თ., რომელმაც დანის გამოყენებით, სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის მუქარით გასტაცა 20 ლარი და ჩაუშხვრია ავტომანქანის უკანა საქარე მინა.

3. სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დაზარალებულის ჩვენება გამყარებულია: მის მიერ გ. თ-ს ამოცნობის ოქმითა და ავტომანქანის დათვალიერების ოქმით, რომლის თანახმადაც, ავტომანქანის უკანა საქარე მინა მთლიანად ჩამსხვრეულია და ნამსხვრევები ყრია მანქანის უკანა სალონში.

4. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული მტკიცებულებები არ არის საკმარისი გ. თ-ს ყაჩაღობაში დამნაშავედ ცნობისათვის. მართალია, ამოცნობის ოქმის თანახმად, დაზარალებულმა გ. თ-მ ამოსაცნობად წარდგენილი სამი პირიდან ამოიცნო მარ-

ჯვნიდან რიგით მე-2 ადგილას მდგომი პირი – გ. თ., მაგრამ გარდა აღნიშნულისა, სხვა მტკიცებულება, რომელიც მსჯავრდებულის მიერ ყაჩაღობის ჩადენის ფაქტს უტყუარად დაადასტურებდა, წარმოდგენილი არ არის. დაზარალებულის მითითება გ. თ-ს მიერ ტაქსის ტრაფარეტის გადაჭრისა და შემდეგში მისი გადაგდების ფაქტზე, ავტომანქანის დათვალიერების ოქმით დადასტურებული არ არის. აღსანიშნავია, რომ ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად არც შემთხვევის ადგილი დათვალიერებულა, მიუხედავად იმისა, რომ გ. თ-მ საგამოძიებო ორგანოში გამოკითხვის დროს განაცხადა ტაქსის აღმნიშვნელი ნაწილის თავდამხმელის მიერ სიბნელეში გადაგდების თაობაზე. რაც შეეხება სააპულაციო სასამართლოს მიერ იმ გარემოებაზე მითითებას, რომ დაზარალებულის ჩვენების ნაწილი, სადაც იგი ავტომანქანის მინის ჩამტვრევაზე უთითებს, დადასტურებულია ავტომანქანის დათვალიერების ოქმით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ჩამსხვრევის ხმა გაიგო მონმე ვ. ო-მაც, რომელმაც ამავდროულად გ. თ-ს დაზარალებულის ავტომანქანაში ჯდომის ფაქტი გამოიხატა, კერძოდ:

5. ვ. ო-მ განაცხადა, რომ 2017 წლის 23 სექტემბერს, დაახლოებით 22:00 საათზე, გ. თ-მ სთხოვა ს-ზე მდებარე ერთ-ერთ კაფე-ბარში გაყოლა, რადგან უნდა შეხვედროდა მეგობარს. მივიდნენ კაფე-ბარ „კ-ი“, სადაც დახვდათ გ-ს მეგობარი, სახელად ლ., მის სამ მეგობართან ერთად. კაფეში გაჩერდნენ ცოტა ხნით, რის შემდეგაც წავიდნენ ვ-ზე მდებარე რესტორან „ტ-ში“, სადაც გააგრძელეს ქეიფი. რესტორანში ყოფნის დროს გ. თ. და მისი მეგობარი ლ. 15-20 წუთით გავიდნენ რესტორნიდან მეგობარი გოგოს სანახავად, რის შემდეგაც კვლავ დაბრუნდნენ. რესტორნიდან გ. თ. სახლში წაიყვანა ლ-მ, ხოლო თვითონ დარჩა რესტორანში, შემდეგ კი მარტო წავიდა ფეხით. როდესაც ტ-ის ქუჩაზე მოძრაობდა, გააჩერა ტაქსი, რომელსაც ეჯდა უცხო მგზავრი, მათ მიიყვანეს ა-ას ქუჩაზე, სადაც გადავიდა ტაქსიდან და დაჯდა იქვე, კიბეზე, ხოლო მანქანაში დარჩნენ ტაქსის მძღოლი და მისი კლიენტი. ისინი იდგნენ შორიანხლოს და კამათობდნენ, თუ რაზე, მისთვის უცნობია. მოგვიანებით გაიგონა მინის ჩამსხვრევის ხმა, თუმცა ვინ რა ჩამსხვრია, არ დაუნახავს. ტაქსის მძღოლი წავიდა საკუთარი ავტომანქანით, თავად კი ჩაეძინა ქუჩაში, კიბეზე და მოგვიანებით გააღვიძეს პოლიციის თანამშრომლებმა. მონმის განმარტებით, ბრალდებულ გ. თ-სთან აკავშირებს დიდი ხნის მეგობრობა, თუმცა ტაქსით მასთან ერთად არ უმგზავრია.

6. გ. თ-მ თავი არ ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე განაცხადა, რომ 2017 წლის 22 სექტემბერს, ღამის საათებში, იმყოფებოდა სახლში

და სოციალური ქსელის საშუალებით ესაუბრებოდა დიდი ხნის უნახავ მეგობარ ლ. ჭ-ს, რომელიც იმყოფებოდა რესტორან „კ-ი“. თავადაც გადაწყვიტა რესტორანში მისვლა და გზად გაიყოლა ვ. ო. ვინაიდან ლამის 12:00 საათზე იკეტებოდა „კ.“, ქეიფის გასაგრძელებლად გადაინაცვლეს ვ-ის ქუჩაზე მდებარე რესტორან „ტ-ში“. რესტორანში მისვლის შემდეგ ლ. ჭ-ს გაჰყვა ნ. ეკლესიასთან, მეგობარ გოგოსთან შესახვედრად, სადაც დაჰყვეს დაახლოებით 10-15 წუთს და მალევე დაბრუნდნენ უკან. დაახლოებით 02:30 საათისთვის გამოვიდნენ რესტორნიდან და ლ. ჭ-მ თავისი მეგობრის ავტომანქანით, რომელსაც თვითონ მართავდა, მიიყვანა სახლამდე. გ. თ-მ დაადასტურა, რომ რესტორნიდან გამოვიდა ლ. ჭ-სა და მის მეგობართან ერთად, ხოლო ვ. ო. დარჩა რესტორანში, რომელიც აღარ ცხოვრობს მის უბანში და საცხოვრებლად გადასულია ისანში.

7. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნდა მონზე ლ. ჭ-ს გამოკითხვის ოქმი, რომლის თანახმად, 2017 წლის 22 სექტემბერს, ლამის საათებში, იმყოფებოდა რესტორან „კ.“ დაახლოებით 23:00 საათზე გ. თ. რესტორანში მეგობართან ერთად შევიდა. დაახლოებით ერთი საათი იყვნენ აღნიშნულ ბარში, სადაც მისი თანმხლები პირები სევამდნენ ალკოჰოლურ სასმელს, ხოლო თვითონ სასმელი არ მიუღია. ამის შემდეგ, კაფე-ბარ „კ-დან“ წავიდნენ ზ-ის მოედანზე მდებარე რესტორან „ტ-ში“, სადაც მისმა მეგობრებმა გააგრძელეს ალკოჰოლური სასმელის დალევა. გ. თ-სთან ერთად, დაახლოებით 15-20 წუთით გავიდა მეგობარი გოგოს სანახავად ნ. ეკლესიასთან. რესტორან „ტ-იდან“ ნ. ეკლესიამდე მივიდნენ ტაქსით, დაახლოებით 10-15 წუთს ესაუბრა მეგობარ გოგოს და იმავე ტაქსით დაბრუნდნენ რესტორან „ტ-ში“, სადაც გაჩერდნენ დაახლოებით ლამის 02:00 საათამდე, რის შემდეგაც გ. თ-მ გადაიხადა ფული და დატოვეს რესტორანი. გ-სთან ერთად წავიდნენ „ბმე-ს“ მარკის ავტომანქანით, რომელიც ეკუთვნოდა ახლოებელს და რომელსაც თვითონ მართავდა. რესტორნიდან მივიდნენ გ-ის ქუჩის შესახვევში, სადაც ცხოვრობს გ. თ.. დაახლოებით იქნებოდა 02:30 საათიდან – 03:00 საათამდე პერიოდი, როდესაც გ. გადავიდა მანქანიდან და შევიდა სახლში, ხოლო თვითონ განაგრძო გზა სახლისკენ.

8. მონმეები – ზ. გ., ლ. ბ. და ბ. რ. წარმოადგენენ პოლიციის განყოფილების თანამშრომლებს, რომლებიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდნენ იმ დღეს, როდესაც დაზარალებული განყოფილებაში მივიდა და მომხდარის თაობაზე განაცხადა.

8.1. საკასაციო პალატა უთითებს, რომ აღნიშნული სამი მონმის ჩვენება ირიბი მტკიცებულებებია, ვინაიდან მათ სასამართლოს გ.

ო-ს მიერ მათთვის მონათხრობი ინფორმაცია მიაწოდეს.

9. აღსანიშნავია, რომ ბიოლოგიური (გენეტიკური) №... ექსპერტიზისა და დაქტილოსკოპიური №... ექსპერტიზის დასკვნებით გ. თ-ის დაზარალებულის მანქანაში ყოფნის ფაქტი დადასტურებული არ არის.

9.1. კერძოდ, საკასაციო პალატა ყურადღება მიაქცევს იმ გარემოებას, რომ დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნით ამოღებული ავტომანქანის წინა, მარცხენა კარის ზემოთ, საყრდენი ზედაპირიდან და საბარგულის გარე ზედაპირიდან ამოღებული ხელის კვალი იდენტიურია ვ. ო-ს ხელის გულის ანაბეჭდისა. აგრეთვე ავტომანქანაზე აღებული კვლების ნიმუშები დაზარალებულის ხელის კვლების იდენტიურია. ხოლო, ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზით როგორც ავტომანქანის ოთხივე კარის გარე სახელურიდან, ისე სხვა ადგილას არსებული ბიოლოგიური მასალის პროფილი, გ. თ-ს მონაწილეობა არ გამოვლენილა.

10. ამდენად, მოწმე ვ. ო-მ ცალსახად გამოიხატა დაზარალებულის ავტომანქანაში გ. თ-სთან ერთად ყოფნის ფაქტი და ამასთან, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნითაც, ავტომანქანიდან აღებული ნიმუშებიდან მხოლოდ გ. ო-სა და ვ. ო-ს ხელის კვლები ამოვიდა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოწმეების: გ. თ-ს, ვ. ო-ს ჩვენებები და ლ. ჭ-ს გამოკითხვის ოქმში ასახული ძირითადი ფაქტობრივი გარემოებები ერთმანეთს შეესაბამება.

11. მაშასადამე, ფაქტზე, რომ გ. თ-მ იმგზავრა დაზარალებულის ავტომანქანით, რის შემდეგაც ყაჩაღური თავდასხმით დაეუფლა მის ქონებას, უთითებს მხოლოდ: გ. ო-ს ჩვენება და მის მიერ ამოცნობის ოქმი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაზარალებულის მიერ გ. თ-ს ამოცნობის ოქმი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ მტკიცებულებას, ვინაიდან ამ შემთხვევაში ინფორმაციის წყარო ერთი და იგივე პირი, კერძოდ, გ. ო. (მოცემულ საკითხზე არსებობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა; მაგალითად, იხილეთ №12აპ-14 გადაწყვეტილება). სხვა რაიმე სახის მასალა კი, რომელიც დაზარალებულის ჩვენებაში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს დადასტურებდა, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია.

12. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დაუშვებელია ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ტოვებდეს კითხვებს და ბადებდეს ეჭვს ისეთი სახის ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს პირის ბრალეულობაზე.

13. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გ. თ-ს ბრალის შინაარსის უტყუარობასთან დაკავშირებით ჩნდება ეჭვი, რომელიც საქართველოს სსსკ-ის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ბრალ-

დებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.

14. ამდენად, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გ. თ. ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ გ. თ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ო. ხ-ს საკასაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 13 მაისის განაჩენი გაუქმდეს:

გ. თ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში და დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან;

3. გამართლებულს განემარტოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება;

#### **4. ნივთიერი მტკიცებულებები:**

4.1. გ. თ-ს ნერწყვის ნიმუში, ავტომანქანიდან ამოღებული: თხუთმეტი თითის კვალი დაქტილოფირზე, მიკრონაწილაკი ცხრა ნიმუშად და ოცდაორი ანაწმენდი, რომლებიც ინახება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს მე-2 განყოფილებაში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, განადგურდეს კანონით დადგენილი წესით;

4.2. ავტომანქანის დათვალიერების ამსახველი ფოტოსურათები გადატანილი ერთ დისკზე, რომელიც ერთვის საქმეს შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

# გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა

## განაჩენი საქართველოს სახელით

№739აპ.-18

26 ივლისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე

განიხილა თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორ და-  
ვით გველესიანის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სა-  
სამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 12  
ოქტომბრის განაჩენზე.

### აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, კ. ს-ს  
და ქ. ჯ-ს, – ბრალი დაედოთ თაღლითობაში, ესე იგი მართლსაწინა-  
აღმდეგო მისაკუთრების მიზნით ქონებრივი უფლების მიღებაში  
მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად და დი-  
დი ოდენობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

თ-ის რაიონის სოფელ ს-ში მცხოვრები ნ. ს. გარდაიცვალა 2007  
წლის 30 იანვარს, რომელსაც დარჩა პირველი რიგის მემკვიდრე-  
ბი: შვილები – ნ. ს., ნ. ს., ი. ს., ქ. ს., მ. ს., მშობლები – ქ. ს. და კ. ს.. ნ.  
ს-ს გარდაცვალების შემდეგ სამკვიდრო ქონება უნდა გადანაწი-  
ლებულიყო შვიდ მემკვიდრეზე, თითოეულზე – მთლიანი ქონების  
1/7 წილი.

ნ. ს-ს დამ – ქ. ჯ-მ და მამამ – კ. ს-მ განიზრახეს ნ. ს-ს შვილების-  
მემკვიდრეების: ი. ს-ს, ნ. ს-სა და ნ. ს-ს კუთვნილი ქონებრივი უფ-  
ლების მიღება მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების  
მიზნით.

კ. ს., ქ. ჯ. და გ. ჯ. მემკვიდრეებს – ნ. ს-ს, ი. ს-სა და ნ. ს-ს არა-  
ერთ შეხვედრაზე არწმუნებდნენ, რომ, ვინაიდან ნ. ს-ს გარდაცვა-  
ლების შემდეგ დარჩა ბანკის დიდი ვალი, აჯობებდა ბანკთან ურ-  
თიერთობა ჰქონოდა და სამკვიდრო ქონება მიეღო ერთ მემკვიდ-  
რეს – კ. ს-ს, რომელიც უზრუნველყოფდა ვალის დაფარვას.

2007 წლის 4 აგვისტოს გაფორმდა ნ. ს-ს დანატოვარი ქონების



თანამემკვიდრეთა შორის წილის გადანაწილების №... ხელშეკრულება, თანამემკვიდრეებად აღიარებულ იქნენ: ნ. ს., ნ. ს., ი. ს., ქ. ს., მ. ს., ქ. ს. და კ. ს.. ქონების ღირებულებამ აუდიტის მაშინდელი შეფასებით შეადგინა 5 189 381 ლარი და ვალის დაფარვის უზრუნველსაყოფად თანამემკვიდრეთა წრიდან დასახელდა კ. ს., რომელმაც აიღო ვალდებულება ბანკის ვალის დაფარვის შესახებ და მასზე გადავიდა ხელშეკრულებაში აღნიშნული სამკვიდრო ქონება.

კ. ს-სა და ქ. ჯ-ს განზრახული ჰქონდათ, რომ თაღლითურად, მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგოდ მიეღოთ 2007 წლის 4 აგვისტოს ქონების თანამემკვიდრეთა შორის წილის გადანაწილების ხელშეკრულებაში მითითებული მემკვიდრეების – ნ. ს-ს, ნ. ს-სა და ი. ს-ს სამკვიდრო ქონების უფლება. ამ მიზნით 2007 წლის 28 სექტემბერს კ. ს-მ, ყოველგვარი პირობებისა და ვალდებულებების გარეშე, ჩუქების №... ხელშეკრულებით ქონება გადასცა შვილს – ქ. ჯ-ს, რითაც მემკვიდრეებს – ი. ს-ს, ნ. ს-სა და ნ. ს-ს მოუსპეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქონების დაბრუნების უფლება, რის შემდეგაც კ. ს-მ და ქ. ჯ-მ, თავის მხრივ, მართლსაწინააღმდეგოდ მიღებულ ქონებას გაუკეთეს რეალიზაცია, რითაც მემკვიდრეებს – ნ. ს-ს, ნ. ს-სა და ი. ს-ს მიაყენეს დიდი ოდენობით ზიანი.

ვინაიდან, კ. ს-სა და ქ. ჯ-ს განზრახული ჰქონდათ მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდნენ ნ. ს-ს შვილების-მემკვიდრეების ქონებას, მათ 2007 წლის 4 აგვისტოს თანამემკვიდრეთა შორის წილის გადანაწილების №... ხელშეკრულებაში შეგნებულად არ შეიტანეს ნ. ს-ს საკუთებაში არსებული საცხოვრებელი სახლი, მდებარე თ-ის რაიონის სოფელ ს-ში. აღნიშნულს შემდეგ, ეს სახლი თ-ის მუნიციპალიტეტის ს-ის ტერიტორიული მართვის ორგანოს რწმუნებულის – ა. ბ-ის მიერ 2007 წლის 21 აგვისტოს გაცემული №...- ყალბი ცნობის საფუძველზე, ქ. ს-მა 2007 წლის 21 აგვისტოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თ-ის სარეგისტრაციო სამსახურში დაარეგისტრირა თავის საკუთრებად.

საკუთრების მოწმობის მიღების შემდეგ ქ. ს-მა სოფელ ს-ში მდებარე ნ. ს-ს კუთვნილი სახლი (სარეგისტრაციო №...) 2007 წლის 11 სექტემბერს ჩუქების ხელშეკრულებით აჩუქა შვილს, ქ. ჯ-ს, რომელიც თაღლითურად, მოტყუებით დაეუფლა ნ. ს-ს მემკვიდრეთა ქონებას და ფიქციურად გაუკეთა რეალიზაცია. აღნიშნულ სახლში ამჟამად ცხოვრობენ ნ. ს-ს მშობლები. საცხოვრებელი სახლი ექსპერტიზის დასკვნით 2007 წლის აგვისტოს მდგომარეობით შეფასდა 260 000 ლარად.

ვინაიდან კ. ს-სა და ქ. ჯ-ს განზრახული ჰქონდათ მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდნენ ნ. ს-ს შვილების-მემ-

კვიდრეების ქონებას, მათ 2007 წლის 4 აგვისტოს თანამემკვიდრეთა შორის წილის გადანაწილების №... ხელშეკრულებაში შეგნებულად არ შეიტანეს ნ. ს-ს საკუთრებაში არსებული ავტომანქანა „ტოიოტა ლენდკრუიზერი“, საიდენტიფიკაციო ნომრით ..., სახელმწიფო ნომრით ..., რომელიც გაფორმებული იყო ნ. ს-ს მძღოლზე ნ. ა-ზე და ავტომანქანა „ჯიპ ჰამერ 2“, საიდენტიფიკაციო ნომრით ..., სახელმწიფო ნომრით ..., რომელიც გაფორმებული იყო ნ. ს-ს მძღოლზე – ი. ბ-ზე. ავტომანქანებს შემდგომ გაუკეთდა რეალიზაცია, მათი ღირებულება ჯამურად შეადგენს 165 000 ლარს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კ. ს-სა და ქ. ჯ-ის თაღლითურმა ქმედებებმა ჯამურად გამოიწვია 5 614 381 ლარის – დიდი ოდენობით ზიანი.

2. თელავის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 23 მარტის განაჩენით კ. ს. გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

ქ. ჯ. გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 12 ოქტომბრის განაჩენით თელავის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 23 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 12 ოქტომბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორმა დავით გველესიანმა და ითხოვა კ. ს-სა და ქ. ჯ-ის მიმართ დადგენილი გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მათი დამნაშავედ ცნობა იმ მოტივით, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება მათ მიერ თაღლითობის ჩადენის ფაქტი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობით განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და ქ. ჯ-სა და კ. ს-ს მიმართ დადგენილი გამამართლებელი განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. როგორც ცნობილია, თაღლითობის დანაშაულებში ქონების დაუფლების ან ქონებაზე უფლების მიღების საშუალებაა მოტყუ-

ება, რომელიც გამოიხატება ჭეშმარიტების განზრახ დამახინჯებაში ან გარკვეულ გარემოებათა განზრახ დაფარვაში. მოტყუების ფორმაა აგრეთვე ნდობის ბოროტად გამოყენებაც, რომელიც არსებობს დამნაშავესა და დაზარალებულს შორის, პირადი და ახლობლური ურთიერთობიდან გამომდინარე და ამ ნდობას დამნაშავე იყენებს სხვისი ქონებისა თუ ქონებრივი უფლების მოსაპოვებლად მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

3. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულების – ნ. ს-ს, ნ. ს-ს, ი. ს-ს და ბრალდებულ ქ. ჯ-ს ჩვენებებისა და ასევე, უდავოდ ცნობილი მტკიცებულებების საერთო ანალიზის შედეგად სრულიად აშკარად ჩანს კ. ს-სა და ქ. ჯ-ის მხრიდან იმ ნდობის ბოროტად გამოყენების ფაქტი, რომელიც, ახლო ნათესაური ურთიერთობიდან გამომდინარე, მათ მიმართ ბუნებრივად გააჩნდათ ნ. ს-ს შვილებს. შესაბამისად, ზემოაღნიშნული პირები მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლნენ გარდაცვლილ ნ. ს-ს ქონებას, რომელიც კანონით მემკვიდრეებზე თანაბრად უნდა განაწილებულიყო.

4. აღნიშნულთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ თალღითური ჩანაფიქრის განხორციელებამდე დამნაშავე, დაზარალებულის მხრიდან მის მიმართ გამოჩენილი ნდობის ბოროტად გამოყენებასთან ერთად, ხშირად მიმართავს სხვადასხვა დამატებით საშუალებას თავისი ნამდვილი განზრახვის შესანიღბად, მათ შორის – დაზარალებულთან სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების გაფორმებას ან სხვაგვარი წერილობითი ვალდებულებების აღებას, რომელთა შესრულებას ის სინამდვილეში არ აპირებს. დამნაშავე ასეთ ხერხს მიმართავს საიმისოდ, რომ მოტყუებულ დაზარალებულს შეუქმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ამ უკანასკნელის კანონიერ ინტერესებს მისი მოქმედებით არავითარი საფრთხე არ ემუქრება. ამგვარი შემთხვევები განსაკუთრებით ტიპურია სწორედ უძრავ ქონებებთან დაკავშირებულ თალღითობებში.

5. კ. ს-მა და ქ. ჯ-მ გამოიყენეს მსგავსი ხერხი თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის დაფარვისა და დაზარალებულების დაყოლებისათვის მათსავე ინტერესების აშკარად საზიანო გარიგებაზე – კ. ს-სათვის თავიანთი წილების დათმობაზე. ზემოაღნიშნულ ფაქტს პირდაპირ ადასტურებს განსახილველ საქმეში არსებული შემდეგი მტკიცებულებები:

6. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე ბრალდებულმა ქ. ჯ-მ წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო და განმარტა, რომ ნ. ს. იყო მისი ძმა, რომლის გარდაცვალების შემდეგ დარჩა არა მხოლოდ სამკვიდრო ქონება, არამედ – გასასტუმრებე-

ლი ვალეზი. თითქმის მთელი ქონება ბანკებს ჰქონდა დაყადაღებული. ყადაღისგან თავისუფალი იყო მხოლოდ „შ-ის“ რესტორანი და „ა.“ ვინაიდან მემკვიდრეები ბევრნი იყვნენ, ბანკმა მოითხოვა, რომ ქონება ერთ პირზე გაფორმებულიყო, რადგან ერთ პირთან მოლაპარაკება უფრო ადვილი იქნებოდა. ბანკის მოთხოვნიდან გამომდინარე, ნ. ს-ს მთელი ქონება გადაფორმდა მამამისის – კ. ს-ს სახელზე იმ პირობით, რომ ბანკის ვალებს გაისტუმრებდნენ და შემდგომ მემკვიდრეები გაინაწილებდნენ დარჩენილ ქონებას. მალევე კ. ს-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა, რომელმაც შემდეგ ქონება გადასცა მას. ქონების გადაცემიდან დღემდე ის ისტუმრებს ვალებს, რისთვისაც მოუწია სხვადასხვა ქონების გაყიდვა. ქ. ჯ-მ განმარტა, რომ ის ვალის გასტუმრების პარალელურად ეხმარებოდა ძმისშვილებს, უგზავნიდა ფულს. ისინი ასევე წილს იღებდნენ ყადაღისგან თავისუფალი ქონებიდან, შ-ის რესტორნიდან. იგი წარსულშიც თანახმა იყო და ახლაც თანახმაა, რომ მემკვიდრეებს დაუბრუნოს ქონება.

7. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე დაკითხულ, დაზარალებულ ნ. ს-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ქ. ჯ. მისი მამიდაა, კ. ს.– პაპა, ხოლო ნ. ს. მამა იყო. ნ. ს. გარდაიცვალა 2007 წლის 30 იანვარს. მამის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის წევრები შეიკრიბნენ, რომ ქონება გაენაწილებინათ. მემკვიდრეობაში შეიტანეს 5 მილიონამდე ღირებულების ქონება, თუმცა მარტო ღვინის ქარხანა 17 მილიონადაა შეფასებული. მამამისს ბანკის ვალი ჰქონდა, 2 მილიონი. ვალში ჩადებული იყო „ს-ც,“ ადგილი, სადაც მამამისია დაკრძალული. მას და მის დებს უთხრეს, რომ ხელი უნდა მოეწერათ ხელშეკრულებაზე, რომ მამამისის მთელი ქონება გადასულიყო ერთ პირზე, კ. ს-ზე, ვინაიდან ასე უფრო მოსახერხებელი იყო. მათ არ უნდოდათ ხელის მოწერა, მაგრამ მათზე ფსიქოლოგიურად ძალადობდნენ, ეუბნებოდნენ, რომ თუ ბანკის ვალს არ გაისტუმრებდნენ, „ს-ს“ ტერიტორიიდან მამის გადასვენება მოუწევდათ. მათ ქ. ჯ-მ, ადვოკატმა თ. მ-მ და ბიძამ – გ. ჯ-მ უთხრეს, რომ როდესაც ბანკის ვალს გაისტუმრებდნენ, დარჩენილი ქონებიდან მათ წილ ქონებას დაუბრუნებდნენ. იმაზე არ უსაუბრიათ, რომ კ. ს. მთელ ქონებას ჩუქებით გადასცემდა ქ. ჯ-ს. ეს, რომ, ეთქვათ, არაფრით არ მოაწერდნენ ხელს. ბოლოს მათ გადაწყვიტეს, რომ მოეწერათ ხელი და ის და მისი უფროსი და ივლისში წავიდნენ ნოტარიუს გ. ბ-თან. მათ წილები უნდა დაეთმოთ კ. ს-ს სასარგებლოდ. საბოლოოდ ხელშეკრულებას 4 აგვისტოს მოაწერეს ხელი. ქონების გადაფორმებიდან დღეებიც არ იყო გასული, რომ ქ. ჯ-მ მას უთხრა, რომ სახლში მისვლისგან თავი შეეკავებინათ. შემდეგ ქ. ჯ-მ მიკროავტობუსი უქირავა და ის და მისი დები ფაქტობრივად გა-

ყარა სახლიდან. ისინი გადავიდნენ ა-ის გამზირზე, მამის ნაყიდ ბინაში, რამდენიმე დღეში კი გაიგო, რომ ქ. ჯ-ს მთელი ქონება ჩუქებით გადაეცა. მას დღემდე არანაირი წილი არ მიუღია და მისთვის მიყენებული ზიანის ოდენობა არის სამკვიდროს ერთი მეშვიდედი. მას ერთხელ ოპერაციის ფული დასჭირდა და ისიც არ მისცა მამი-დამისმა – ქ. ჯ-მ. მისი პატარა და როდესაც მივიდა სახლში, ბებომ კარი არ გაუღო, ხოლო შემდეგ ის წაიყვანეს და სწავლის საფასურს უხდიან, ორი წლის საფასური გადაუხადეს. დაზარალებულმა განმარტა, რომ მისმა ოჯახის წევრებმა: მამიდამ – ქ. ჯ-მ და პაპამ – კ. ს-მ მოატყუეს. ისინი დათანხმდნენ ქონების კ. ს-ზე გადაფორმებას, მაგრამ რომ სცოდნოდათ, ქ. ჯ-ს ჩუქებით გადაეცემოდა ეს ქონება, არ დათანხმდებოდნენ.

8. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე დაკითხული დაზარალებულ ნ. ს-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მამამისი ფლობდა დიდ ქონებას. ქ. ჯ. მისი მამიდაა. მანვე გაიგო, რომ მამამისს „ქ-ის“ ორმილიონდოლარიანი ვალი ჰქონდა. ოჯახში საუბარი იყო, რომ სანამ ვალი არ დაიფარებოდა, სამკვიდრო ქონებას ვერ მიიღებდნენ. მამის გარდაცვალების შემდეგ ყველანი სტრესულ მდგომარეობაში იყვნენ. მამის გარდაცვალებისთანავე მათ მამამისის ბიძაშვილმა გ. ჯ-მ, პაპამაც, ბებიამაც და მამიდამაც უთხრეს, რომ ვალი იყო დასაფარი – ორი მილიონი დოლარი, ბანკს არ უნდოდა შვიდი მემკვიდრესთან ურთიერთობა და მთელი ქონება ერთ მემკვიდრეზე, კ. ს-ზე უნდა გაეფორმებინათ. ქ. ჯ. და პაპა, კ. ს. მას ეუბნებოდნენ, რომ კ. ს-სათვის უნდა გადაეცათ ქონება. ისინი დათანხმდნენ, ვინაიდან არ უნდოდათ „ს.“ გაყიდულიყო. მას მოატყუეს, რადგან შემდეგ ეს ქონება კ. ს-სგან ქ. ჯ-ზე გადაფორმდა. იგი ვერ წარმოიდგენდა, რომ ნათესავები ასე განირავდნენ. პირველ რიგში, იგი მოატყუა პაპამ, კ. ს-მა. იგი ვერ წარმოიდგენდა, რომ ერთ თვეში მთელი ქონება ქ. ჯ-ს გადაეცემოდა. როდესაც პაპას, კ. ს-ს, მან მოსთხოვა პასუხი, რატომ გადაუფორმა ქონება ქ. ჯ-ს, პაპამ და ბებომ სახლიდან გააგდეს. ადვოკატის შეკითხვებზე განმარტა, რომ კ. ს. მისი პაპა იყო, იმიტომ ენდო და წილი დათმო მის სასარგებლოდ, რათა ვალი დაფარულიყო, მაგრამ მან მოატყუა და ქონება გადაუფორმა ქ. ჯ-ს.

9. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე დაკითხულ, დაზარალებულ ი. ს-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მამის ქონებიდან ეკუთვნოდა ერთი მეშვიდედი. სამკვიდრო გაიხსნა გარდაცვალებიდან ერთი თვის შემდეგ, დაახლოებით აგვისტო-სექტემბერში, ყველა მემკვიდრე თანაბრად იყო მოხსენებული. მიმდინარეობდა მოლაპარაკება, იგი იმ დროს არასრულწლოვანი იყო და მის ინტერესებს ნ. ს. წარმოადგენდა. იგი შეკრებებს არ ესწრებოდა. მისმა

დამ, ნ. ს-მ მას უთხრა, რომ მამას დარჩა ბანკის დიდი ვალი და მამის საფლავს საფრთხე ემუქრებოდა. ბოლოს გადაწყდა, რომ მთელი ქონება კ. ს-ს გადაფორმებოდა, რადგან უმჯობესი იყო, რომ ბანკთან მხოლოდ ერთ მემკვიდრეს ეთანამშრომლა და მისმა დამ ნ. ს-მ მის მაგივრად მოაწერა ხელშეკრულებას ხელი. მან არ იცოდა, რომ კ. ს. აპირებდა ქონების ქ. ჯ-სათვის გადაფორმებას. მისივე განმარტებით, ამ ეტაპზე სეზონურად იღებს 1/7-ს მხოლოდ შ-ის რესტორნიდან და ა-დან. მას თავი დაზარალებულად მიაჩნია, ზუსტად არ იცის, რა ქონება ეკუთვნოდა, მაგრამ იგი მამის ქონების მემკვიდრე იყო.

10. დაზარალებულთა ჩვენებებით ერთმნიშვნელოვნად დგინდება შემდეგი: ისინი ოჯახის წევრებმა დაარწმუნეს, რომ ბანკებთან ანგარიშსწორებისას და ასევე იმისათვის, რომ მამის ცხედარი არ ამოესვენებინათ „ს-ს“ ტერიტორიიდან, აუცილებელი იყო მთელი ქონების კ. ს-ზე გადაფორმება, რომელიც ვალების გასტუმრების შემდეგ დარჩენილ ქონებას ისევ მათ – გარდაცვლილ ნ. ს-ს შვილებს დაუბრუნებდა. დაზარალებულებს, რომლებიც კეთილსინდისიერად ენდნენ საკუთარ პაპას, ეჭვი არ შეჰპარვიათ მის კეთილშობილურ განზრახვაში და დათანხმდნენ მას ფორმალურ ოპერაციაში მონაწილეობაზე. თუმცა, როგორც კი კ. ს-მა მიიღო ნ. ს-ს ქონება, მალევე (დაახლოებით ორ თვეში), წინასწარი შეთანხმებისამებრ, მთელი ქონება ჩუქებით გადასცა დანაშაულის თანაამსრულებელს – თავის ქალიშვილს, ქ. ჯ-ს, რითაც დაზარალებულებს მოუსპო შესაძლებლობა, კ. ს-ს მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოეთხოვათ თავიანთი კუთვნილი ქონების უკან დაბრუნება.

11. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს გასაჩივრებულ განაჩენში სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოხატულ პოზიციას იმის თაობაზე, რომ ვინაიდან მემკვიდრეების მხრიდან, მათივე ერთობლივი გადაწყვეტილებით, საკუთარი წილების კ. ს-ზე დათმობა მოხდა ნებაყოფლობით, ამიტომ ამ უკანასკნელის ქმედებაში არ არსებობს დაზარალებულთა კუთვნილი სამკვიდრო ქონების წილების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ფაქტი. ამასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ თალლითობის უმრავლეს შემთხვევაში მოტყუებული დაზარალებული ყოველთვის თავისი ნებით ანუ „ნებაყოფლობით“ გადასცემს დამნაშავეს თავის ქონებას ან ქონებაზე უფლებას. მაგრამ აშკარაა, რომ დაზარალებულის ასეთი ნება ვერ გახდება დამნაშავის ქმედებაში თალლითობის შემადგენლობის გამორიცხვისა და მისი გამართლების სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან ეს ნება ანუ „ნებაყოფლობითობა“ არ არის ნამდვილი, რადგან იგი გან-

პირობებულა დამნაშავის მოქმედების კეთილსინდისიერებისადმი დაზარალებულის ყოვლად უსაფუძვლო რწმენით. აქვე გასათვალისწინებელია თაღლითობის, როგორც დანაშაულის, დამახასიათებელი კიდევ ერთი სპეციფიკა, კერძოდ, თაღლითის ნამდვილი, დანაშაულებრივი მიზანი მჟღავნდება და დაზარალებულისათვის საცნაური ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი მისთვის სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდება იმ ფაქტის წინაშე, რომ მისი საკუთრების უფლება ხელყოფილია და შესაბამისი ზიანიც დამდგარია, რადგან დამნაშავის საქმიანობა გარეგნულად უანგაროდ და კანონიერად გამოიყურება, რის გამოც დაზარალებულს მის მიმართ ეჭვი არ უჩნდება. მოცემულ შემთხვევაში გამოკვეთილია აქ მითითებული თაღლითობის ყველა ძირითადი და საერთო მახასიათებელი ელემენტი, რის გამოც ვერსია კ. ს-სა და ქ. ჯ-ის უდანაშაულობის თაობაზე მოკლებულია კანონიერ საფუძველს.

12. სააპელაციო სასამართლო თავის განაჩენში საეჭვოდ მიიჩნევს კ. ს-სა და ქ. ჯ-ს შორის წინასწარი შეთანხმების ფაქტს, რათა ჯგუფურად დაუფლებოდნენ დაზარალებულთა კუთვნილ ქონებრივ წილებს და მართლსაწინააღმდეგოდ მიესაკუთრებინათ ისინი. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქმეში არ არსებობს შესაბამისი მტკიცებულებები აღნიშნულის დასადასტურებლად. თუმცა საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს ამგვარ მსჯელობას, რადგან სინამდვილეში ვითარება სხვაგვარადაა. ჯერ ერთი, ჯგუფური შეთანხმების არსებობა დასტურდება თუნდაც კ. ს-სა და ქ. ჯ-ის მიერ დაზარალებულებთან წილების დათმობის თაობაზე დადებული ხელშეკრულების შემდგომ განხორციელებული იმ მოქმედებებით, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგება ხსენებული ხელშეკრულების გაფორმებისას დაზარალებულებისათვის მიცემულ განმარტებებსა და დათქმულ პირობებს ამ ხელშეკრულების მიზნებთან დაკავშირებით.

13. მეორეც, ის, რომ საქმეში არსებობს სათანადო მტკიცებულება, რომელთან მიმართებითაც სააპელაციო სასამართლოს განაჩენში არ არის მსჯელობა, კერძოდ, ის გარემოება, რომ ქ. ჯ-სთვის ქონების ჩუქება კ. ს-ს წინასწარ ჰქონდა განზრახული და მემკვიდრეებისთვის მიცემული დაპირება იყო სიცრუე, კარგად ჩანს უდავოდ ცნობილი მტკიცებულების – ნოტარიუს გ. ბ-ს ჩვენებიდანაც. აღნიშნული ჩვენების თანახმად, როდესაც ის (გ. ბ.) მივიდა კ. ს-თან სახლში, რათა მოეწერინებინა ხელი წილის გადანაწილების ხელშეკრულებაზე, იყო საუბარი, რომ მალევე გადააფორმებდნენ ქონებას ქ-ზე და ის მიხედავდა ყველაფერს. გ. ბ-ს ჩვენებიდან ასევე დგინდება, რომ, როდესაც მას სთხოვეს ჩუქების ხელშეკრულების გაფორმება, მან განუმარტა ქ. ჯ-ს, რომ აღნიშნული იყო დარღვე-

ვა, მაგრამ ქ-მ მას უთხრა, რომ მაინც გაეფორმებინა ხელშეკრულება, ვინაიდან „თავად მიხედავდა ვალებს“. აღნიშნული გარემოება პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ისინი წინასწარ შეცნობილად და ურთიერთშეთანხმებით მოქმედებდნენ, ხოლო მათ დანაშაულებრივ მიზნებს ააშკარავეს მათივე ქმედებებით დამდგარი შედეგები.

14. წინასწარი შეთანხმებით დანაშაულებრივ ფაქტთან დაკავშირებით მსჯელობისას, ასევე ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ გამართლებულები დაზარალებულებს დღენიადაგ არწმუნებდნენ, რომ თითქოს, ქონების კ. ს-ზე გადაფორმების აუცილებლობა გამონვეული იყო კრედიტორის მოთხოვნით – გაადვილებულიყო ვალის დაფარვის საბანკო პროცედურები, თუმცა ამის აუცილებლობის არსებობის დამადასტურებელი არცერთი მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოება (რომ დაზარალებულებს ქონების ერთ პირზე გადაფორმება საბანკო მიზანშეწონილობად თუ აუცილებლობად ჩაეთვალათ) ემსახურებოდა მხოლოდ და მხოლოდ დაზარალებულთა შეცდომაში შეყვანის მიზანს.

15. საკასაციო პალატა არ ეთანხმება გასაჩივრებული განაჩენის მსჯელობას იმის შესახებ, რომ კ. ს-ს მიერ ქ. ჯ-ისთვის ქონების გადაფორმება გამონვეული იყო არა თაღლითური განზრახვით, არამედ ობიექტური გარემოებით – კ. ს-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით, რამაც შეუძლებელი გახადა მის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ როგორც დაზარალებულების ჩვენებებით, ისე ნოტარიუს გ. ბ-სა და გ. ჯ-ს ჩვენებებით დასტურდება, რომ კანონით მემკვიდრეებზე წილების გადაფორმებისას კ. ს-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა უკვე გამორიცხავდა მის მიერ რაიმე ბიზნესსაქმიანობის წარმართვის შესაძლებლობას. კერძოდ: დაზარალებულების განმარტებით, პაპა მამის გარდაცვალების შემდეგ ცუდად იყო; მონმე გ. ბ-ს განმარტებით, მან სახლში მიაკითხა კ. ს-ს, თანამემკვიდრეთა შორის წილის გადანაწილების ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად, ვინაიდან იგი ავად იყო და თვითონ ვერ მიდიოდა ბიუროში; მონმე გ. ჯ-ს ჩვენებით კი, ნ-ს გარდაცვალების შემდეგ „კ-ს წნევამ დაარტყა“, უჭირდა დამოუკიდებლად გადაადგილება, რის გამოც ნოტარიუსი მასთან სახლში მივიდა, რათა თანამემკვიდრეთა შორის წილის გადანაწილების ხელშეკრულებაზე ხელი მოეწერა.

16. საკასაციო პალატა არ იზიარებს ასევე დაცვის მხარის პოზიციას და სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, თითქოს, ქ. ჯ-მ ქონება მიიღო კეთილშობილური მიზნებით და მზა-



დაა, დაუბრუნოს ის ძმისშვილებს, რაც (დაცვის მხარის მოსაზრებით) გამორიცხავს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების განზრახვას, ვინაიდან სწორედ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანზე, სხვა გარემოებებთან ერთად, მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ქ. ჯ. დღემდე ჰპირდება დაზარალებულებს მათი მამის დანატოვარი ქონების დაბრუნებას. თუმცა პალატისათვის სრულიად გაუგებარია, ასეთი სურვილის რეალურად არსებობის შემთხვევაში, რა უშლიდა ხელს ქ. ჯ-ს, დაახლოებით 12 წლის განმავლობაში მართლაც დაებრუნებინა ქონება კანონით მემკვიდრეებისათვის. ამ საკითხთან დაკავშირებით რაიმე არგუმენტირებული პოზიცია არც, ზოგადად, დაცვის მხარეს და არც პერსონალურად ქ. ჯ-ს, სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია.

17. საკასაციო პალატა ასევე არ იზიარებს გასაჩივრებული განაჩენის დებულებებს იმის შესახებაც, რომ ვინაიდან ქ. ჯ. პირნათლად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, ისტუმრებდა ვალებს და ა. შ., აღნიშნული გამორიცხავს თაღლითობის დანაშაულის შემადგენლობას – ვინაიდან, საკასაციო პალატის შეფასებით, ქ. ჯ. ასე იქცეოდა არა ძმისშვილების, არამედ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ქონება რომელიც მან ჩუქების ხელშეკრულებით კ. ს-სგან მიიღო, დატვირთული იყო ბანკების სასარგებლოდ იპოთეკით და, ბუნებრივია, ვალების გადაუხდებლობის შემთხვევაში იგი მას აუცილებლად დაკარგავდა.

18. უსაფუძვლოა ასევე დაცვის მხარის მოსაზრება იმის შესახებ, რომ არ დგინდება დაზარალებულებისთვის მიყენებული ზიანის ოდენობა, ვინაიდან, თანამემკვიდრეთა შორის წილის გადანაწილების №... ხელშეკრულების გათვალისწინებით, დაზარალებულთათვის მიყენებული ზიანის ოდენობა თითოეულისათვის პროპორციულია სამკვიდროს ერთი მეშვიდედისა (იმ ქონების გამოკლებით, რომელიც განაწილდა კანონით დადგენილი წესით – „შ-ის რესტორანი“ და „ა.“), რაც აღემატება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მაკვალიფიცირებული გარემოების (თაღლითობა, ჩადენილი დიდი ოდენობით) შერაცხვისათვის აუცილებელ ოდენობას.

19. რაც შეეხება ავტომანქანებსა და თ-ის რაიონის სოფელ ს-ში მდებარე სახლთან დაკავშირებით წარდგენილ ბრალდებას, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნული ქონება არ იყო რეგისტრირებული ნ. ს-ს საკუთრებად, შესაბამისად, ისინი ვერ აისახებოდა სამკვიდროში. ამიტომ ქ. ჯ-ისა და კ. ს-სთვის იმის ბრალად შერაცხვა, რომ ავტომანქანები და საცხოვრებელი სახლი განზრახ არ შეიტანეს სამკვიდრო ნუსხაში, მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს.

20. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეში არსებული მტკიცებულებების ობიექტური ანალიზი და ფაქტობრივ გარემოებათა განვითარების ლოგიკური ჯაჭვი სავსებით საკმარის საფუძველს ქმნის გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისა და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ქ. ჯ-სა და კ. ს-ს დამნაშავედ ცნობისათვის. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ივლისის გამართლებელი განაჩენი უნდა გაუქმდეს და ის შეიცვალოს გამამტყუნებელი განაჩენით, ხოლო ქ. ჯ-სა და კ. ს-ს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს თაღლითობად, ჩადენილი ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით და დიდი ოდენობით – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

21. სასჯელის განსაზღვრისას საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს ქ. ჯ-ს ასაკს, ასევე იმას, რომ იგი პირველადია სამართალში, დანაშაულის ჩადენიდან მის მსჯავრდებადმდე გასულია საკმაოდ დიდი დრო, რომლის განმავლობაშიც მას არ ჩაუდენია ახალი დანაშაული. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სასჯელის მიზნები მიღწეული იქნება არასაპატიმრო სანქციის გამოყენებითაც.

22. რაც შეეხება კ. ს-ს, საკასაციო პალატა ცნობად იღებს იმ ფაქტს, რომ განაჩენის გამოტანის მომენტისთვის იგი გარდაცვლილია, შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, კ. ს. ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ სასჯელის დაუნიშნავად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორ დავით გველესიანის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 12 ოქტომბრის გამამართლებელი განაჩენი;

3. კ. ს. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში სასჯელის დაუნიშნავად;

4. ქ. ჯ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც სასჯელის სახით განესაზღვროს ჯარიმა – 20 000 (ოცი ათასი) ლარი;

5. ქ. ჯ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია. ყადაღა მოეხსნას გირაოს უზრუნველყოფის მიზნით, თელავის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 12 აგვისტოს განჩინებით დაყადაღებულ, გ. ჯ-ს (პირადი №...) კუთვნილ, ქ. თ-ში, ს-ის ქუჩაზე მდებარე უძრავ ქონებას;

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## განაჩენში ცვლილების შეტანა

### განაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№837აპ-19

11 დეკემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. ჟ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ს-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 13 სექტემბრის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად:**

1.1. თ. ჟ-მ 2007 წელს გაიცნო საქართველოში ჩამოსული ი-ს მოქალაქე ნ. ს., რომელიც დაინტერესებული იყო საქართველოში ბიზნესსაქმიანობით. თ. ჟ-მ გადაწყვიტა მოტყუებით დაუფლებოდა ნ. ს-ს კუთვნილ თანხებს, მოიპოვა მისი ნდობა და დაარწმუნა, რომ ვითომ ბ-ს ქ.№...ში მიმდინარე მშენებლობის პროექტში, რომელსაც ახორციელებდა სს „ა-ო“, ფლობდა მოგების 20% წილს. თ. ჟ. ნ. ს-ს დაპირდა, რომ 1300000 აშშ დოლარს დაუბრუნებდა ორ წელიწადში და ასევე გადასცემდა სს „ა-ოში“ მოგების 20%-ს 60%, რაც

მისი დაპირებით, იქნებოდა 3 300 000 აშშ დოლარის 60%. თ. ჟ. ასევე დაპირდა ნ. ს-ს, რომ თუ ბ-ს ქუჩაზე მიმდინარე მშენებლობის პროექტი ვადაში ვერ განხორციელდებოდა, მას გადაუფორმებდა ზემოაღნიშნული თანხით შეძენილ სს „ს-ი“ (ამჟამინდელი სს „ბ-ი“) თავის კუთვნილ 4% აქციებს. 2007 წლის მაისსა და ივნისში ნ. ს-მ თ. ჟ-ს, ამ უკანასკნელის მიერ მითითებულ ორ სხვადასხვა საბანკო ანგარიშზე, ი-დან ორ ტრანშად გადაურიცხა ჯამურად – 1 300 000 აშშ დოლარი, თუმცა წერილობითი ხელშეკრულების გაფორმებაზე თ. ჟ-მ უთხრა უარი, რის მიზეზად ასახელებდა სხვადასხვა გარემოებას. ვინაიდან თ. ჟ-მ ნ. ს-ს დათქმულ ორ წელიწადში არ დაუბრუნა დაპირებული თანხა, ნ. ს-მ თ. ჟ-ს მოთხოვა პირობის შესრულება, რის სანაცვლოდაც თ. ჟ-მ ნ. ს-ს შეთავაზა სს „ს-ს“ თავისი კუთვნილი 4% აქციების გადაფორმება. თ. ჟ-მ, რომელიც იყო სს „ს-ს“ დამფუძნებელი კომპანიის, სს ს. საფინანსო ჯგუფის პარტნიორის, შპს „ქ-ს“ 50% წილის მფლობელი და წარმოადგენდა სს „ს-ს“ არაპირდაპირ, ბენეფიციარ მესაკუთრეს და პირდაპირი წესით არ ფლობდა ბანკის აქციებს და შესაბამისად, არ ჰქონდა უფლება გაეყიდა, ან სხვაგვარი გზით გაესხვისებინა ბანკის აქციები, 2009 წლის 15 ოქტომბერს ნ. ს-ს, როგორც ზ. ს-ს მინდობილ პირს, გადაუფორმა შპს „ქ-ი“ თავისი კუთვნილი 50% წილი, რითაც დაარწმუნა, რომ თითქოს, მისგან მიღებული თანხის, 1 300 000 აშშ დოლარის სანაცვლოდ გადასცა სს „ს-ს“ თავისი კუთვნილი 4% წილი. 2010 წლის 26 მარტს შპს „ქ-ა“ გააფორმა სანოტარო აქტი პარტნიორ კომპანია „ს-ნ“, რომლის თანახმად, სრულად გაიყიდა კომპანიის 100% წილი. ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ქ-ს“ აქციები გაიყიდა 1800000 აშშ დოლარად განვადებით. ხელშეკრულების თანახმად, სს „ბ-ში“ დაიფარა ნ. ს-ს დავალიანება 499 000 აშშ დოლარი, ასევე შპს „ქ-ს“ ღირებულება თ. გ-ა ნ. ს-ს, მიღება-ჩაბარების აქტებით, გადაუხადა 70 000 აშშ დოლარი, ასევე ნ. ს-ს ანგარიშზე ჩაირიცხა 188000 აშშ დოლარი. სულ ნ. ს-მ მიიღო 762 000 აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილ 538 000 აშშ დოლარს თ. ჟ. დაეუფლა თაღლითურად.

აღნიშნული ქმედებით თ. ჟ-მ ნ. ს-ს მიაყენა 538 000 აშშ დოლარის – დიდი ოდენობის მატერიალური ზიანი.

1.2. თ. ჟ-მ და ნ. ს-მ 2008 წლის 14 თებერვალს 50% წილობრივი მონაწილეობით დააფუძნეს შპს „პ-ა“, რომლის ანგარიშზე საქმიანობის განსახორციელებლად ნ. ს-ს სავალუტო ანგარიშიდან, საწესდებო კაპიტალის შესავსებად, შპს „პ-ის“ ანგარიშსწორების ანგარიშებზე გადაირიცხა ჯამურად 205 429,10 აშშ დოლარი, ხოლო თ. ჟ-მ შეიტანა 6 909.00 ლარი. 2008 წლის 5 ივნისს ნ. ს-ს სავალუტო ანგარიშიდან გადარიცხული თანხიდან კომპანიამ შეიძინა ავტომანქანა „მერსედეს GL 450“, რომლის ღირებულება შეადგენდა 104

111,20 ლარს. თ. ჟ-მ გააგრძელა თავისი დანაშაულებრივი საქმიანობა, კვლავ ბოროტად ისარგებლა ნ. ს-ს ნდობით და მოტყუებით დაეუფლა მის კუთვნილ თანხებს, კერძოდ: დაარღვია კანონი „მენარმეთა შესახებ“ და შპს „პ-ის“ წესდება და ნ. ს-ს, როგორც კომპანიის 50% წილის მფლობელისა და დამფუძნებელი პარტნიორისაგან მალულად, პარტნიორთა კრების მოწვევის გარეშე შენიღბულად 2008 წლის 1 ნოემბერს შპს „პ-ნ“ გააფორმა სესხის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, გამსესხებელი თ. ჟ. უზრუნველყოფდა მსესხებელს 50 000 ლარს სესხით. სესხის გადახდის ვადად განისაზღვრა 2011 წლის 31 დეკემბერი. სესხის პროცენტი ხელშეკრულებით შეადგენდა წლიურ 18%-ს. საბუღალტრო ექსპერტიზის თანახმად, თ. ჟ-მ კომპანიას ასესხა 14393,92 ლარი, რასაც 2009 წლის განმავლობაში დაერიცხა არა 18%-იანი, არამედ 26%-იანი სარგებელი, თუმცა პირობის შეცვლაზე ახალი ხელშეკრულება არ გაფორმებულა, რითაც ხელოვნურად გაიზარდა კომპანიის ვალი თ. ჟ-ს მიმართ. 2010 წლის 1 იანვრისათვის თ. ჟ-ს მიმართ კომპანიის სესხის ძირმა თანხამ 26%-იან სარგებელთან ერთად შეადგინა 26 976.35 ლარი. თ. ჟ-მ 2010 წლის 21 ივლისს შპს „პ-ის“ დირექტორთან – თ. ა-ნ, ნ. ს-თან, კომპანიის წესდებით დადგენილი წესით შეთანხმების გარეშე, გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე, მის მიერ ერთპიროვნულად დადგენილ ფასად, 60000 ლარად შეიძინა კომპანიის კუთვნილი ავტომანქანა „MERCEDES-BENZ GL-450“, იმ მოტივით, რომ თითქოს, ამ გზით აინაზღაურა კომპანიის დავალიანება მის წინაშე. თ. ჟ-მ ისარგებლა ნ. ს-ს ნდობით, თაღლითურად დაეუფლა კომპანიის კუთვნილ 104 111,20 ლარად ღირებულ ავტომანქანას „MERCEDES-BENZ GL-450“, რითაც ნ. ს-ს მიადგა დიდი ოდენობით – 52 055 ლარის ზიანი.

აღნიშნული ქმედებით თ. ჟ-მ ნ. ს-ს მიაყენა 52 055 ლარის დიდი ოდენობის მატერიალური ზიანი.

1.3. თ. ჟ-მ და თ. ჯ-მ 2008 წლის 4 ივნისს 50%-50% წილობრივი მონაწილეობით დააფუძნეს შპს „ს-ა“, რომლის წესდების მიხედვით, კომპანიის ძირითად საქმიანობას შეადგენდა ქვის დამუშავება. თ. ჟ-მ, რომელსაც ჰქონდა მინდობილობა სს „ბ-ში“ ნ. ს-ს სავალუტო ანგარიშიდან გაეტანა თანხები, ნ. ს-ს კუთვნილი ანგარიშიდან გატანილი 120 000 აშშ დოლარით შეიძინა ქვის სამსხვრევი დანადგარი, ა/მანქანა „ზილი“ და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია №100522. თ. ჟ-ს ნ. ს-სადმი დაპირებით, აღნიშნული კომპანიის დაარსების მიზანი იყო მიღებული მოგებიდან თავისი, ნ. ს-სა და თ. ჟ-ს კუთვნილი შპს „თ-7-ის“ დავალიანების დაფარვა რეგიონალური განვითარების ფონდის წინაშე, ასევე მისი დაპირებით, თ. ჟ-ს ნ. ს-სათვის ოფიციალურად უნდა გაეფორმებინა შპს

„ს-ში“ მისი წილობრივი მონაწილეობა. მიუხედავად დაპირებისა, თ. ყ-მ ნ. ს-ს არ გაუფორმა წილი შპს „ს-ში“ და მესამე მენილედ, მისგან მალულად დოკუმენტურად გააფორმა თ. ჯ-ს ძმა – მ. ჯ. რაც შეეხება კომპანიის მოგებას, თ. ყ-მ ნ. ს. მოატყუა და უთხრა, რომ შპს „ს-მ“ მოგების სახით მიიღო მხოლოდ 60 000 ლარი, რაც გადაირიცხა შპს „თ-ის“ ანგარიშზე. საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შპს „ს-ა“ 2009-2011 წლებში მუშაობდა მოგებაზე. 2009 წელს კომპანიამ მიიღო მოგება – 48 612,74 ლარი, 2010 წელს – 58258,8 ლარი და 2011 წელს – 206818,07 ლარი. თ. ყ-ს 2009 წელს დივიდენდის სახით დაერიცხა – 16401,1 ლარი, 2010 წელს – 24530,2 ლარი და 2011 წელს 65394 ლარი და შპს „ს-ის“ ანგარიშიდან მის სახელზე 2010-2011 წლებში გაცემულია 13 546,21 ლარის დივიდენდი. თ. ჯ-ს 2009 წელს დივიდენდის სახით დაერიცხა – 16401,09 ლარი, 2010 წელს – 24530,2 ლარი, 2011 წელს – 65394,28 ლარი და შპს „ს-ის“ ანგარიშიდან მის სახელზე 2010-2011 წლებში გაცემულია 83 586,35 ლარის დივიდენდი. ხოლო მ. ჯ-ს 2011 წელს დივიდენდის სახით დაერიცხა – 11 372,92 ლარი. შპს „ს-ის“ მოგებიდან, რაც შეადგენდა 206818,07 ლარს, შპს „თ-ს“ ანგარიშზე გადარიცხვები მისი რეგიონალური განვითარების ფონდიდან აღებული სესხის დასაფარად არ განხორციელებულა. ამდენად, თ. ყ-მ მოატყუა ნ. ს., არ გადაუფორმა დაპირებული წილი შპს „ს-ში“, ასევე დაუმალა კომპანიის მოგების შესახებ, რითაც თაღლითურად დაეუფლა ნ. ს-ს კუთვნილ 120 000 აშშ დოლარს.

აღნიშნული ქმედებით თ. ყ-მ ნ. ს-ს მიაყენა 120 000 აშშ დოლარის – დიდი ოდენობის მატერიალური ზიანი.

1.4. 2007 წლის 20 დეკემბერს თ. ყ-მ და თ. ჯ-მ 50%-50% წილობრივი მონაწილეობით დააფუძნეს შპს „თ“. 2006 წელს თ. ჯ-მ მ-ში მდებარე სასტუმრო „თ-ს“ შენობის შესაძენად სს „ს-დან“ გამოიტანა სესხი 155 000 აშშ დოლარი, მოთხოვნის უზრუნველყოფის სანაცვლოდ ბანკის წინაშე იპოთეკით დატვირთა მის სახელზე რეგისტრირებული საცხოვრებელი ბინა, მდებარე: თ-ი, მ-ს ქუჩის №...-ში, ბინა №-. 2008 წლის 7 ივნისისთვის თ. ჯ-ს დავალიანება სს „ბ-ის“ წინაშე სარგებელთან ერთად შეადგენდა 188 548 აშშ დოლარს. სასტუმრო „თ-ს“ ფუნქციონირებისათვის საჭირო იყო რეგიონალური განვითარების ფონდიდან სესხის მიღება, ხოლო სესხის მოთხოვნის უზრუნველყოფის სანაცვლოდ – თ. ჯ-ს ან თ. ყ-ს უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვა რეგიონალური განვითარების ფონდის სასარგებლოდ. თ. ყ. განაგრძობდა თავის დანაშაულებრივ საქმიანობას და გადაწყვიტა მოტყუებით დაუფლებოდა ნ. ს-ის კუთვნილ თანხებს. ამ მიზნით მან ნ. ს-ს დააფარინა თ. ჯ-ს დავალიანება სს „ბ-ის“ წინაშე – 188 548 აშშ დოლარი, იმ პირობით, რომ აღნიშ-

ნულ თანხას დაუბრუნებდა უკან რეგიონალური განვითარების ფონდიდან შემდგომში ასაღები სესხიდან, ასევე შპს „თ-ში“ გაუფორმებდა კომპანიის 33% წილს. 2008-2010 წლებში შპს „თ-მა“ რეგიონალური განვითარების ფონდიდან მიიღო სესხი ჯამურად – 1 900 000 აშშ დოლარი, საიდანაც არ დაიფარა ნ. ს-ს კუთვნილი 188 548 აშშ დოლარი, რითაც მას მიაღდა დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

აღნიშნული ქმედებით თ. ჟ-მ ნ. ს-ს მიაყენა 188 548 აშშ დოლარის – დიდი ოდენობის მატერიალური ზიანი.

1.5. სულ ნ. ს-ს თ. ჟ-მ მიაყენა დიდი ოდენობით – 898,603 აშშ დოლარის ზიანი.

**2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 25 დეკემბრის განაჩენით:**

2.1. თ. ჟ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 25 300 ლარი. საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით – 2013 წლის 16 მაისიდან – 2013 წლის 18 მაისის ჩათვლით, თ. ჟ-ს დანიშნული სასჯელი შეუმცირდა 300 ლარით და საბოლოოდ ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 25000 ლარი.

**3. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს გენერალური პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორმა გ. მუკბანიანმა, მსჯავრდებულმა და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა.**

3.1. ბრალდების მხარემ მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ, მსჯავრდებულ თ. ჟ-ს შპს „ა-ო“, „ქ-ს“, ასევე შპს „თ-7-ის“ ნაწილში დამნაშავედ ცნობა და სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა. დაცვის მხარემ მოითხოვა შპს „პ-ის“ და შპს „ს-ის“ ეპიზოდებში განაჩენის გაუქმება და ოთხივე ეპიზოდში გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

**4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 13 სექტემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 25 დეკემბრის განაჩენში შევი-**

## **და ცვლილება:**

4.1. თ. ჟ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ წარდგენილი ბრალდების – შპს „ა.ო-ქ-ს“, „თ-სა“ და „პ-ის“ ეპიზოდებში და გამართლდა. თ. ჟ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის (შპს „ს-ის“ ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 10.300 ლარი. საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით – 2013 წლის 16 მაისიდან – 2013 წლის 18 მაისის ჩათვლით, თ. ჟ-ს დანიშნული სასჯელი შეუმცირდა 300 ლარით და საბოლოოდ ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 10.000 ლარი.

**5. კასატორი – მსჯავრდებულ თ. ჟ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ს. ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და თ. ჟ-ს შპს „ს-ის“ ნაწილშიც გამართლებას.**

5.1. კასატორი უთითებს, რომ თ. ჟ-ს არასდროს განუცხადებია უარი შპს „ს-ის“ წილის გადაფორმებაზე. საქმის მასალებში არ მოიპოვება ნ. ს-ს მიერ წამდვილი ნების გამოვლენის დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება (გარდა სამოქალაქო სარჩელისა), რომელიც მიმართული იყო წილზე საკუთრების უფლების მოპოვებისათვის. მაგალითისათვის ასეთი შეიძლება ყოფილიყო ცალმხრივად ხელმოწერილი გარიგება, რომლის თაობაზეც ეცნობა თ. ჟ-ს, ხოლო ამ უკანასკნელმა თავი აარიდა დოკუმენტის ხელმოწერას. სწორედ ხსენებულ სამოქალაქო საქმეზე 2012 წლის 6 იანვარს თ. ჟ-მ მის მიერ წარდგენილ შესაგებელში ცნო ნ. ს-ს სასარჩელო მოთხოვნა – შპს „ს-ში“ წილის გადაფორმებაზე.

5.2. კასატორის მოსაზრებით, განსახილველ საქმეში უდავოა, რომ ნ. ს-ს (კრედიტორის) 120 000 აშშ დოლარი სრულად მოხმარდა იმ საქმეს, რაც კრედიტორთან იყო შეთანხმებული (ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, კომპანიაში გაიხარჯა მიზნობრივად, რაც სააპელაციო სასამართლომ უტყუარად დადასტურებულად მიიჩნია). სამოქალაქო სარჩელის მესამე სასარჩელო მოთხოვნის თანახმად, ნ. ს. თ. ჟ-სგან ითხოვდა მხოლოდ და მხოლოდ შპს „ს-ის“ 25%-იან წილს და არა წილს და 120 000 აშშ დოლარს ერთდროულად. თ. ჟ-ს მიერ 120 000 აშშ დოლარის მოტყუებით დაუფლების განზრახვა და თაღლითობად ქმედების კვალიფიკაციის შემადგენლობა იარსებებდა იმ შემთხვევაში თუ: თანხები არ იქნებოდა მიმართული კომპანიის მიზნებისათვის და მას თ. ჟ. განკარგავდა პირადი მიზნებისათვის, ან წინააღმდეგი იქნებოდა კომპანიის წილის გადაფორმების ან/და აღნიშნულ წილს მესამე პირზე გაასხვისებდა. მოცე-



მულ შემთხვევაში ასეთ ფაქტი არ არსებობს, ხოლო წილის საკუთრებაში გადაცემის სამართლებრივი ფორმიდან გამომდინარე, სრულიად გაუგებარია, რა უნდა მოემოქმედებინა თ. ჟ-ს გარდა იმისა, რომ ხელუხლებელი დატოვა ნ. ს-ს წილის პროპორციული დივიდენდი და ცნო ნ. ს-ს სარჩელი. აღნიშნული კომპანიის წილის გაფორმებასთან დაკავშირებით, ფარული ჩანაწერების თანახმად, თ. ჟ. სამკითხვას პასუხობს და არცერთი პასუხიდან არ იკვეთება ნ. ს-სათვის წილის გადაფორმებისათვის თავის არიდების სურვილი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები და დაასკვნა, რომ დაცვის მხარის საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

2. საკასაციო პალატა ეთანხმება და იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას თ. ჟ-ს მიმართ შპს „აოქ-ს“, „თ-სა“ და „პ-ის“ ეპიზოდებში გამამართლებელი განაჩენის გამოტანის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ბრალდების მითითებული ნაწილები არც პროკურორს გაუხდია სადავოდ.

3. რაც შეეხება შპს „ს-ის“ ეპიზოდს, საკასაციო პალატა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ამ ნაწილში არ ეთანხმება და მიაჩნია, რომ თ. ჟ. ბრალდების მოცემულ ეპიზოდშიც უნდა გამართლდეს.

4. აღსანიშნავია, რომ ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, შპს „ს-ის“ ეპიზოდი ეფუძნება ორ ფაქტობრივ გარემოებას:

თ. ჟ-მ, მიუხედავად დაპირებისა, ნ. ს-ს არ გაუფორმა წილი შპს „ს-ში“;

თ. ჟ-მ ნ. ს-ს დაუმალა ინფორმაცია კომპანიის მოგების შესახებ და საბოლოოდ, თაღლითურად დაეუფლა მის კუთვნილ 120 000 აშშ დოლარს.

5. სააპელაციო სასამართლო ბრალდების აღნიშნულ ეპიზოდს დადასტურებულად მიიჩნევს: დაზარალებული მონმის – ნ. ს-ს ჩვენებით, მონმე თ. ა-ს ჩვენებით, ფარული ჩანაწერებით, საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნითა და ექსპერტი-მონმის დ. გ-ს ჩვენებით. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დასახელებული მტკიცებულებები უტყუარად ვერ ადასტურებს თ. ჟ-ს მიერ თაღლითობის შემადგენლობის ჩადენის ფაქტს, კერძოდ:

6. ნ. ს-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2008 წელს თ. ჟ-მ თ. ჯ-სთან ერთად დააფუძნა შპს „ს-ა“, რისთვისაც მას გამოართვეა ჯამურად – 120 000 აშშ დოლარი, კერძოდ: 80 000 აშშ დოლარად შეი-

ძინა მ-ში ქვის საფეკვაი დანადგარი, 19 000 აშშ დოლარად – მანქანა „ზილი“ და 40 000 ლარით აილო ლიცენზია. აღნიშნული 120 000 აშშ დოლარი გადარიცხა მისი პირადი ანგარიშიდან. თ. ჟ. პირდებოდა, რომ კომპანიის მუშაობის შედეგად დაუბრუნებდა მის მიერ გადახდილ თანხას – 120 000 აშშ დოლარს და ასევე გახდებოდა შპს „ს-ში“ 50%-იანი წილის მფლობელი. მიუხედავად დაპირებისა, თ. ჟ-ს არ დაუბრუნებია მის მიერ დახარჯული თანხა და არც წილი გადაუფორმებია ნ. ს-ს სახელზე. ამასთან, თ. ჟ-მ მას დაუშალა მოგების არსებობა და მოატყუა, რომ თითქოს, კომპანიამ მიიღო მხოლოდ 60060 ლარის მოგება, რაც მთლიანად გადარიცხა შპს „თ-ს“ ვალის დასაფარად „მ-ი“.

7. მოწმე თ. ა-ს ჩვენების მიხედვით, იგი იყო შპს „ს-ის“ დირექტორი. შპს „ს-ის“ სახელით შეიძინეს საფეკვაი დანადგარი 40 000 აშშ დოლარად, რაც მას გადასცეს ნ. ს-მ და თ. ჟ-მ. საჯარო რეესტრში ფირმა დარეგისტრირდა სამი პარტნიორის, თ. ჯ-ს, მისი ძმის – მ. ჯ-სა და თ. ჟ-ს მონაწილეობით. რაც შეეხება ნ. ს-ს, მას მონაწილეობა აღნიშნულ შეთანხმებაში არ მიუღია და მის სახელზე წილი არ გაფორმებულა, მიუხედავად იმისა, რომ მან მითითებულ კომპანიამ ჩადო გარკვეული ფინანსური ინვესტიცია.

8. 2010 წლის 6 ოქტომბრის ნ. ს-სა და თ. ჟ-ს ფარული ჩანაწერით დადგინდა, რომ ნ. ს. ეკითხება თ-ს „რა ხდება ჩემს ქონებაზე მიფორმებ, არ მიფორმებ?“ რაზედაც თ. პასუხობს „გაფორმებას რა მნიშვნელობა აქვს, რა ხელს კიდებს ვინმე თუ რა?“, „გაფორმებას, როგორ არ აქვს მნიშვნელობა, გაფორმებას დიდი მნიშვნელობა აქვს“, „მოიყვანე მყიდველი და მივცემ“. „ს-ს არ მიფორმებ?“, „ს-ი გაფორმებულია შენზე“. „რა არის გაფორმებული ჩემზე 8%?“, „33%-ია ქონების“, „რა, ქონების 75% მ-ს არ მიეცი?“, „არა ეგ სესხია ჩვეულებრივი ჩათვალე გირაოა“, „რისი სესხია გადაფორმებული ეხლა“, „პირობითად აქვთ გაფორმებული, რომ მაქსიმუმ ხუთი წლის მერე უნდა გამოისყიდონ, არ ნახე ხელშეკრულება?“, „დღესვე რომ გამოვისყიდო?“, „დღესვე შეგიძლია, მეხვეწებიან აგერ გამოისყიდეო“. „და შემოსავლები ხომ არის იქ რალაც?“ „მ-ი აკონტროლებს“. „თ, საფეკვაგს არ მიფორმებ?“, „საფეკვაი რა 50%-ს გულისხმობ?“, „იყოს თუნდაც 50%“, „მოგცემ თუ გინდა მინდობილობას რა პრობლემაა“. „მინდობილობა არ მინდა, მინდა ჩემს სახელზე იყოს გაფორმებული, მაინტერესებს, მიფორმებ თუ არა?“. „გაგიფორმებ, რატომ გეშინია ასე, ვერ გავიგე“. „ჩემს სახელზე მინდა, რომ იყოს ჩემი ქონებები“.

9. შპს „ს-ის“ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩატარებული საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნით და ექსპერტ დ. გ-ს ჩვენებით დადგინდა, რომ შპს „ს-ა“ 2009–2011 წლებში მუშაობდა მოგებაზე.

2009 წელს კომპანიამ მიიღო მოგება – 48 612,74 ლარის, 2010 წელს – 58258,8 ლარისა და 2011 წელს – 206818,07 ლარის ოდენობით. თ. ჟ-ს 2009 წელს დივიდენდის სახით დაერიცხა – 16401,1 ლარი, 2010 წელს – 24530,2 ლარი და 2011 წელს – 65394 ლარი და შპს „ს-ის“ ანგარიშიდან მის სახელზე 2010-2011 წლებში გაცემულია 13 546,21 ლარის დივიდენდი. თ. ჯ-ს 2009 წელს დივიდენდის სახით დაერიცხა – 16401,09 ლარი, 2010 წელს – 24530,2 ლარი, 2011 წელს – 65394,28 ლარი და შპს „ს-ის“ ანგარიშიდან მის სახელზე 2010-2011 წლებში გაცემულია 83 586,35 ლარის დივიდენდი, ხოლო მ. ჯ-ს 2011 წელს დივიდენდის სახით დაერიცხა – 11 372,92 ლარი. შპს „ს-ის“ მოგებიდან, რაც შეადგენდა 206818,07 ლარს, შპს „თ-ს“ ანგარიშზე გადარიცხვები, მისი რეგიონალური განვითარების ფონდიდან აღებული სესხის დასაფარად, არ განხორციელებულა.

10. ამდენად, როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებით ირკვევა, თ. ჟ. ნ. ს-ს ნამდვილად დაპირდა წილის გადაფორმებას შპს „ს-აში.“ რაც შეეხება გარემოებას, რომ აღნიშნულის შემდეგ ნ. ს-მ წილის გადაფორმების მოთხოვნაზე თ. ჟ-სგან მიიღო უარი – უტყუარად დადასტურებული არ არის. ფარული ჩანაწერის თანახმად, ნ. ს. თ. ჟ-თან საუბრისას სხვადასხვა საკითხს ეხება. ჩანაწერის მიხედვით, ნ. ს-ს მიერ გაჟღერებული თხოვნის შემდეგ, თ. ჟ. გარკვეულ კითხვებს სვამს, რაც არ შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც წილის გადაფორმებაზე უარის თქმად, ვინაიდან, როდესაც საბოლოოდ ნ. ს. გადაფორმების საკითხს ეხება, თ. ჟ. მზადყოფნას გამოხატავს მის შესასრულებლად, კერძოდ კი, პირდაპირ პასუხობს, რომ „გაუფორმებს“.

11. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თ. ჟ-ს მიერ ნ. ს-სათვის წილის გადაფორმების საკითხის განხილვისას უნდა შეფასდეს საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებიც, კერძოდ, მოწმე ა. კ-ს ჩვენება, 2012 წლის 16 იანვრის შესაგებელი და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 ივნისის საოქმო განჩინება.

12. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ სამოქალაქო დავა ყველა შემთხვევაში არ გამოირიცხავს პირის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობას, მაგრამ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში იმის დამადასტურებლად, რომ თ. ჟ. ზოგადად უარს არ აცხადებდა ნ. ს-სათვის შპს „ს-აში“ წილის დათმობაზე, ადასტურებს 2012 წლის 16 იანვრის შესაგებელიც. აღნიშნული შესაგებელით დგინდება თ. ჟ-ს დამოკიდებულება ნაკისრი ვალდებულებისადმი (წილის ნ. ს-სათვის გადაფორმების თაობაზე). კერძოდ, მასში მითითებულია, რომ თ. ჟ-მ განაცხადა თანხმობა, შპს „ს-ში“ თავისი 46%-დან დაეთმო ნ. ს-სათვის

კუთვნილი წილი.

13. სასამართლო სხდომაზე მონმის სახით დაკითხული ა. კ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2011 წლის 11 დეკემბერს მან მოამზადა სარჩელი, სადაც მოსარჩელე იყო ნ. ს., ხოლო მოპასუხეები: თ. ჟ., თ. ჯ. და ნ. ჟ.. იგი საადვოკატო მომსახურებას უწევდა ნ. ს-ს და სარჩელში თავადაც მითითებულია, როგორც მოსარჩელის წარმომადგენელი. სარჩელი შეადგინა ნ. ს-თან ერთად. სასარჩელო მოთხოვნა იყო, რომ თ. ჟ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებოდა 5 301 535 ლარის გადახდა, თ. ჟ-ს და ნ. ჟ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაკისრებოდათ 112 500 აშშ დოლარის გადახდა, შპს „ს-ში“ თ. ჟ-ს მისი კუთვნილი 46%-იანი წილიდან ჩამორთმეოდა 25%-იანი წილი, რომელიც საკუთრებაში უნდა გადასცემოდა ნ. ს-ს; თ. ჯ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებოდა 94 274.40 აშშ დოლარის გადახდა. აღნიშნული სარჩელი სასამართლომ 2012 წლის 12 ივნისის განჩინებით განუხილველად დატოვა.

14. აღსანიშნავია, რომ მონმე ა. კ-ს მიერ მითითებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 ივნისის საოქმო განჩინების თანახმად, ნ. ს-ს წარმომადგენელმა ა. კ-მ შუამდგომლობით მოითხოვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 831-ე მუხლის საფუძველზე სარჩელის უკან გახმობა.

15. ამდენად, თ. ჟ-ს გამოხატული პოზიცია ფარულ ჩანანერებასა და სამოქალაქო დავის დოკუმენტაციაში იყო ერთგვაროვანი. სხვა მტკიცებულება კი, რომელიც რაიმე ფორმით დაადასტურებდა თ. ჟ-ს მიერ ნ. ს-სათვის წილის გადაფორმებაზე უარს, საქმის მასალებში წარმოდგენილი არ არის.

16. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მაშინ, როდესაც თ. ჟ-ს უარი შპს „ს-ში“ წილის გადაფორმების თაობაზე ფაქტობრივად მისი ქმედების ბრალეულობას განაპირობებს, დაუშვებელია, რომ ამ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოშობდეს რაიმე სახის ეჭვებს. ვინაიდან წარმოდგენილი საქმის მასალები წილის გადაფორმებასთან დაკავშირებით უფრო მეტად გამოხატავს თ. ჟ-ს მზადყოფნას, ვიდრე უარს კონკრეტული ქმედების განხორციელებაზე, ლოგიკურად ჩნდება ეჭვი ბრალდების შინაარსის უტყუარობასთან დაკავშირებით. ყოველგვარი ეჭვი კი, საქართველოს სსსკ-ის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.

17. რაც შეეხება შპს „ს-ის“ მოგებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ამ ნაწილში საკასაციო სასამართლო აგრეთვე არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას.

18. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თანხა (120 000 აშშ დო-

ლარი), რომელიც თავდაპირველად თ. ჟ-მ ნ. ს-სგან მიიღო, როგორც თავად ბრალდების ფაბულაშიცაა აღწერილი, სრულად გაიხარჯა მხოლოდ და მხოლოდ კომპანიის საჭიროებებისთვის. აღნიშნულის შემდეგ (როგორც ექსპერტიზის დასკვნით დგინდება) თ. ჟ-ს 2009 წელს დივიდენდის სახით დაერიცხა – 16401,1 ლარი, 2010 წელს – 24530,2 ლარი და 2011 წელს – 65394 ლარი, ანუ ჯამურად – 106.325.3 ლარი, რომლიდანაც 2010-2011 წლებში გაცემულია მხოლოდ 13 546,21 ლარის დივიდენდი. ექსპერტმა დ. გ-მ პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე დამატებით განმარტა, რომ ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია მოგება და არა – წმინდა მოგება. ამასთან, თ. ჟ-ს მისი კუთვნილი დივიდენდი სრულად არ აუთვისებია და მხოლოდ ნაწილი (მთლიანი თანხის დაახლოებით 12%) მიიღო.

19. შესაბამისად, წარმოდგენილი საქმის მასალებით ქმედების სუბიექტური შემადგენლობა გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტით დადასტურებული არ არის. საქმის მასალებით არ იკვეთება თ. ჟ-ს განზრახვა – მოეცყუებინა ნ. ს., ამ გზით დაუფლებოდა მის კუთვნილ 120 000 აშშ დოლარს და არ გადაეფორმებინა დაპირებული წილი შპს „ს-აში.“

20. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მი-აჩნია, რომ თ. ჟ. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში სრულად უნდა გამარ-თლდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ თ. ჟ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ს-ს საკასაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 13 სექტემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

თ. ჟ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის;

3. გამართლებულს განემარტოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება;

4. ცნობად იქნეს მიღებული, რომ თ. ჟ-ს მიმართ შეფარდებული ალკვეთის ღონისძიება გირაო გაუქმებულია. გირაოს შემტანს განაჩენის აღსრულებიდან ერთ თვეში სრულად უნდა დაუბრუნდეს გირაოს სახით შეტანილი თანხა 25 000 ლარი;

5. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 29 მაისის განჩინებით ქონების შესაძლო ჩამორთმევის მიზნით ქონებაზე დადებული ყადაღა და ყადაღა მოეხსნას: თ. ჟ-ს სახელზე არსებულ დ-ს რაიონის, სოფელ ჭ-ი მდებარე მიწის ნაკვეთებს საკადასტრო კოდებით: .....; ასევე, თ. ჟ-ს სახელზე არსებულ ქ. თ-ი, კ-ი მდებარე მიწის ნაკვეთებს საკადასტრო კოდებით: ...; ასევე, თ. ჟ-ს სახელზე არსებულ ქ. ნ-ო, რ-ს ქუჩა №...-ში მდებარე მიწის ნაკვეთს, საკადასტრო კოდით ..., თ. ჟ-ს სახელზე რეგისტრირებულ „TOYOTA LANDCRUISER LC150“ ავტომანქანას, სახ. ნომრით ..., შპს „ს-აში“ (საიდენტიფიკაციო კოდი - ...) მის კუთვნილ 46% წილს. თ. ჟ-ს შვილის ნ. ჟ-ის სახელზე არსებულ მიწის ნაკვეთს, მდებარე: გ-ი, გ-ა, საკადასტრო კოდით: ... და ქ. თ-ი, კ-ს ქუჩა, შესახვევი 1, № ... საკადასტრო კოდით ... .

6. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 1 ივნისის განჩინებით ქონების შესაძლო ჩამორთმევის მიზნით ქონებაზე დადებული ყადაღა და ყადაღა მოეხსნას: თ. ჟ-ს სახელზე რეგისტრირებულ შპს „პ-ი“ (საიდენტიფიკაციო კოდი ...) მის კუთვნილ 50% წილსა და შპს „თ-7-ში“ (საიდენტიფიკაციო კოდი ...) მის კუთვნილ 8,40000000% წილს;

7. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 14 ივნისის განჩინებით ქონების შესაძლო ჩამორთმევის მიზნით ქონებაზე დადებული ყადაღა და ყადაღა მოეხსნას: თ. ჟ-ს სახელზე რეგისტრირებულ შპს „ნ-ს ნ-ში“ (საიდენტიფიკაციო კოდი ...) მის კუთვნილ 50% წილს და თ. ჟ-ს სახელზე ქ. თ-ი, ს. ჩ-ს ქუჩა 6/ა-ში მდებარე 45.00/1235.00 ფართს, საკადასტრო კოდით №... .

8. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 31 აგვისტოს განჩინებით ქონების შესაძლო ჩამორთმევის მიზნით ქონებაზე დადებული ყადაღა და ყადაღა მოეხსნას: თ. ჟ-ს სახელზე შპს „თ-ი 2“-ში (საიდენტიფიკაციო კოდი ...) მის კუთვნილ 50% წილს, შპს „ღ-ი“ (საიდენტიფიკაციო კოდი ...) მის კუთვნილ 30% წილს და სააქციო საზოგადოება „ს“-ში (28/5-27; კოდი ... რეგისტრირებული გარდაბნის რაიონის სასამართლოს მიერ 7/12/1998) მის კუთვნილ 11,688124% წილს;

#### **9. ნივთიერი მტკიცებულებები:**

– ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული

1 ცალი DVD-ლ დისკი, თ. გ-ს ხმის ნიმუში ერთ ცალ CD-R დისკზე და თ. გ-ს ფოტოსურათის ნიმუში ერთ ცალ CD-R დისკზე, თ. ჟ-ს ხმის ნიმუში ერთ ცალ CD დისკზე, 2013 წლის 22 ოქტომბრის სასაქონლო ექსპერტიზის №... დასკვნაზე დართული ერთი ცალი DVD-R დისკი, 2013 წლის 5 ნოემბრის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის №... დასკვნაზე დართული ერთ ცალი DVD-R დისკი, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული ორი ცალი CD-R და DVD-R დისკი, დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს, საქმის შენახვის ვადით;

10. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სააპელაციო სასამართლოს განაჩენის უცვლელად დატოვება**

### **განაჩენი საქართველოს სახელმწიფო**

№90აგ-18

21 მარტი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
პ. ქათამაძე,  
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. ბ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. მ-ს სააკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 27 ივნისის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 იანვრის განაჩენით ლ. ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალია პირობით, ხოლო სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე, გამოსაც-

დელ ვადად დაუდგინდა 3 წელი. ლ. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მეხუთე ნაწილის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 3000 ლარი.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შენახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; საადვოკატო საქმიანობის უფლება; პედაგოგიური საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება; სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო 10 წლით – საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 მარტის განაჩენით მსჯავრდებულ ლ. ბ-ს ადვოკატ მ. მ-ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 იანვრის განაჩენში შევიდა ცვლილება: მსჯავრდებულ ლ. ბ. გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელის – 3 წლით თავისუფლების აღკვეთისაგან, რაც პირობით პქონდა ჩათვლილი. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 იანვრის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა ლ. ბ-მ, რომელმაც საქართველოს სსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრისა და 2016 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებების საფუძველზე მოითხოვა მის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 იანვრის განაჩენის (თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 მარტის განაჩენის გათვალისწინებით) გაუქმება და დამატებითი სასჯელის სახით დაკისრებული – ჯარიმისგან გათავისუფლება, ხოლო აღნიშნული მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში – მისი ქმედების სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილიდან სსკ-ის 273<sup>1</sup>-ე მუხლზე გადაკვალიფიცირება.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 27 ივნისის განაჩენით მსჯავრდებულ



ლ. ბ-ს შუამდგომლობა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 მარტის განაჩენში შევიდა ცვლილება: ლ. ბ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 273<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, ხოლო გადასასინჯი განაჩენი დამატებითი სასჯელის ნაწილში დარჩა უცვლელად.

5. კასატორი – მსჯავრდებულ ლ. ბ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი შ. მ. საკასაციო საჩივრით ითხოვს ლ. ბ-სთვის დამატებითი სასჯელის 3000 ლარის გაუქმებას.

6. კასატორის მითითებით, როდესაც არ არსებობს ძირითადი სასჯელი, დამატებით სასჯელად ჯარიმის დატოვება უკანონოა, ვინაიდან, დამატებითი სასჯელი არ არსებობს ძირითადი სასჯელის გარეშე. ასევე, რადგან მსჯავრდებულები ჩადენილი დანაშაულისათვის იყო დაკავებული, საქართველოს სსკ-ის 269-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად (ვინაიდან თავისუფლების აღკვეთა ცნობილ იქნა არაკონსტიტუციურად), დანიშნული ჯარიმა – 3000 ლარი უნდა ჩათვალოს დაკავების ვადაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ მსჯავრდებულ ლ. ბ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. მ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადასინჯება, თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი; ხოლო ამავე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო.

3. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ ლ. ბ-ს ქმედების საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილიდან სსკ-ის 273<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილზე (სასჯელის დაუნიშნავად) გადაკვალიფიცირება კანონიერია.

4. კანონიერია ასევე სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება და-

მატებითი სასჯელის სახით განსაზღვრული ჯარიმის (3000 ლარის) უცვლელად დატოვების შესახებ. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეესაბამება უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას (მაგ., იხ. №71აგ-17 საქმე).

5. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენის შეცვლის საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 314-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ლ. ბ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. მ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 27 ივნისის განაჩენი დარჩეს უცვლელად;
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სააპელაციო  
სასამართლოს განაჩენის უცვლელად დატოვება**

**განაჩენი  
საქართველოს სახელით**

№96აგ-18

11 აპრილი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
პ. სილაგაძე,  
პ. ქათამაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ჯ-ს საკა-  
საციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილი-  
სის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პა-  
ლატის 2018 წლის 20 აგვისტოს განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-  
მეთა კოლეგიის 2015 წლის 11 მაისის განაჩენით დამტკიცდა პრო-  
კურორსა და მ. ჯ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. მ.  
ჯ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის  
სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალება  
„ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ („მარიხუანის“) ექიმის დანიშნულე-  
ბის გარეშე უკანონო მოხმარებისათვის) – 1 წლით თავისუფლების  
აღკვეთა, ხოლო 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და  
ამავე კოდექსის 55-ე მუხლის გამოყენებით – 3 წლით თავისუფლე-  
ბის აღკვეთა, საიდანაც სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხ-  
ლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 1 წელი განესაზღვრა სასჯელად-  
სრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 2 წელი – ჩაეთ-  
ვალა პირობით. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესა-  
ბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი  
სასჯელი და საბოლოოდ მ. ჯ-ს მიესაჯა 3 წლით თავისუფლების  
აღკვეთა, საიდანაც სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის  
მე-5 ნაწილის საფუძველზე 1 წელი განესაზღვრა სასჯელადსრუ-  
ლების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 2 წელი – ამავე კო-  
დექსის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩაეთვალა პირობით, იმავე  
გამოსაცდელი ვადით. მასვე ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაუ-  
ლის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათ-

ვალისწინებული უფლებები.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 ნოემბრის განაჩენით მ. ჯ. დაუსწრებლად იქნა ცნობილი დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ („მარიხუანის“) ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისათვის) და დაეკისრა ჯარიმა – 2000 ლარი. ამავე კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 მაისის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი, სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით შეფარდებულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით შეფარდებული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ მ. ჯ-ს განაჩენთა ერთობლიობით განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 2000 ლარი. მასვე ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები. მ. ჯ-ს სასჯელის ვადის ათვლა უნდა დაეწყოს დაპატიმრების მომენტიდან. მასვე სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 4 სექტემბრიდან იმავე წლის 11 ნოემბრის ჩათვლით.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31 მარტის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და მ. ჯ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. მ. ჯ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიესაჯა 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 273-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ („მარიხუანის“) და „მეტადონის“ ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისათვის) განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 120 საათით. მასვე ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე მკაცრმა სასჯელმა შთანთქმა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და მ. ჯ-ს განესაზღვრა 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით შეფარდებულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა წინა – თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 ნოემბრის განაჩენით შეფარდებული სასჯელის მოუხდელი ნაწილი-

დან 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 2000 ლარი და საბოლოოდ მ. ჯ-ს განაჩენთა ერთობლიობით მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 3 წელი და 6 თვე განესაზღვრა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 2 წელი და 6 თვე – ამავე კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მასვე დაეკისრა ჯარიმა – 2000 ლარი, ასევე ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები. მ. ჯ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2015 წლის 28 ნოემბრიდან.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ნოემბრის განაჩენით ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ მსჯავრდებულ მ. ჯ-ს შუამდგომლობის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 მაისის განაჩენი შეიცვალა, კერძოდ: მ. ჯ. ცნობილ ექნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ („მარიხუანის“) ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისათვის) და დაეკისრა ჯარიმა – 1500 ლარი, ხოლო 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე კოდექსის 55-ე მუხლის გამოყენებით მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 1 წელი განესაზღვრა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 2 წელი – ჩაეთვალა პირობით. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ მ. ჯ-ს დანაშაულთა ერთობლიობით მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 1 წელი განესაზღვრა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 2 წელი ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მასვე ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 მაისის განაჩენები დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 14 აგვისტოს განჩინებით მსჯავრდებულ მ. ჯ-ს მიმართ არ გავრცელდა „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს

2017 წლის 26 ივლისის კანონის მოქმედება, ვინაიდან ცვლილება მის სამართლებრივ მდგომარეობას არ ამსუბუქებდა.

6. 2018 წლის 15 აგვისტოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა მ. ჯ-მ, რომელმაც მოითხოვა მის მიმართ გამოტანილი განაჩენების გადასინჯვა და კანონთან შესაბამისობაში მოყვანა ნარკოტიკული საშუალება „მარისუანის“ მოხმარებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოყენების დაუშვებლობასთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2018 წლის 20 აგვისტოს განჩინებით მსჯავრდებულ მ. ჯ-ს შუამდგომლობა დასაშვებად ცნო.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 20 აგვისტოს განაჩენით მსჯავრდებულ მ. ჯ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენების გადასინჯვის თაობაზე დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 ნოემბრის, ამავე სასამართლოს 2016 წლის 31 მარტისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ნოემბრის განაჩენები შეიცვალა, კერძოდ:

მ. ჯ. გათავისუფლდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 ნოემბრისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ნოემბრის განაჩენებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ („მარისუანის“) ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისათვის) გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და შეფარდებული სასჯელებისაგან. მასვე აღუდგა ამ განაჩენებით ჩამორთმეული „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები. განაჩენები დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31 მარტის განაჩენით მ. ჯ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 273-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლისა“ („მარისუანის“) და

„მეტადონის“ ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარები-სათვის) განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 120 საათით. მასვე ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღ-მდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინე-ბული უფლებები. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის სა-ფუძველზე მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სას-ჯელი და მ. ჯ-ს განესაზღვრა 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწი-ლის შესაბამისად, ბოლო განაჩენით შეფარდებულ სასჯელს დაე-მატა წინა – თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამარ-თლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 ნოემბრის განაჩენით შე-ფარდებული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 6 თვით თავისუფლე-ბის აღკვეთა და საბოლოოდ მ. ჯ-ს განაჩენთა ერთობლიობით მიე-საჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სისხლის სამარ-თლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 3 წელი და 6 თვე განესაზღვრა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მო-სახდელად, ხოლო 2 წელი და 6 თვე – ამავე კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვა-დით. მასვე ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამარ-თლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31 მარტის განაჩენი დანარ-ჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

9. აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავ-რდებულმა მ. ჯ-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩე-ნის შეცვლა და სასჯელის შემსუბუქება იმავე საფუძველით, რასაც უთითებდა სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლო-ბაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასა-ციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ იგი არ უნდა დაკ-მაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ახლად გამოვლენილ გა-რემოებათა გამო განაჩენი გადაისინჯება, თუ არსებობს საქართვე-ლოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელ-მაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30

ნომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის სიტყვების – „ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება“ – ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე პორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის“ მოხმარებისთვის.

4. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით – ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის“ უკანონო მოხმარებისათვის არ შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.

5. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2018 წლის 20 აგვისტოს განაჩენით მსჯავრდებულ მ. ჯ-ს მიმართ მართებულად გააგრძელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება და იგი გაათავისუფლა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 ნოემბრის, ამავე სასამართლოს 2016 წლის 31 მარტისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ნოემბრის განაჩენებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით – ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ („მარიხუანის“) ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისათვის გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან, ასევე აღუდგინა ამავე განაჩენებით „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებები, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ მას სასჯელები, დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით, შეფარდებული ჰქონდა ასევე სხვა ისეთი დანაშაულებისათვის, რომლებზეც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება არ ვრცელდება, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის გარემოებები სამართლებრივად სწორად შეაფასა და სადავო განაჩენები დანარჩენ ნაწილში, მათ შორის – საბოლოო სასჯელის განსაზღვრის ნაწილში, მართებულად დატოვა უცვლელად. ამდენად, ამ მოცემულობით არ არსებობს მ. ჯ-ს მსჯავრდების ნაწილში



სასჯელის გადახედვისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

6. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ მ. ჯ-ს საჩივრის მოთხოვნა არ ემყარება რაიმე სამართლებრივ საფუძველს და არც სადავო განაჩენის გაუქმების ან შეცვლის კანონით გათვალისწინებული რომელიმე პირობა არსებობს, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 314-ე, 307-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. მსჯავრდებულ მ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 20 აგვისტოს განაჩენი დარჩეს უცვლელად;
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სააპელაციო სასამართლოს განაჩენის უცვლელად დატოვება**

№7აგ-19

2 აგვისტო, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. მ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 10 იანვრის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის

განაჩენით ი. მ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებამ.

ი. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 1 წლითა და 6 თვით ჩამოერთვა საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეუმცირდა  $\frac{1}{4}$ -ით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 1 წლით, 1 თვითა და 15 დღით ჩამოერთვა საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება.

მსჯავრდებულ ი. მ-ს სასჯელის მოხდა აეთვალა აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის გამოყენების შესახებ განჩინების მიღების დღიდან – 2013 წლის 30 მაისიდან.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 11 აგვისტოს განაჩენით პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 27 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი განსახილველად არ იქნა დაშვებული.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 20 ოქტომბრის განაჩენით ი. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მე-2 ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), სსკ-ის 341-ე მუხლით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა: საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე შეუმცირდა  $\frac{1}{4}$ -ით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა  $\frac{1}{4}$ -ით და 2 წლითა და 3 თვით განესაზღვრა თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა.

საქართველოს სსკ-ის 341-ე მუხლით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე შეუმცირდა  $\frac{1}{4}$ -ით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით

თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით ი. მ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 2 წლითა და 3 თვით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება – აღნიშნული დროის განმავლობაში ი. მ-ს აეკრძალა სახელმწიფო ორგანოებში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშნვითი თანამდებობის დაკავება.

მსჯავრდებულ ი. მ-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო განაჩენის გამოტანის დღიდან – 2014 წლის 20 ოქტომბრიდან.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 4 აგვისტოს განაჩენით პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 29 თებერვლის განჩინებით, საკასაციო საჩივარი განსახილველად არ იქნა დაშვებული.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 სექტემბრის განაჩენით, ი. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 25, 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 25,117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე შეუმცირდა ¼-ით და განესაზღვრა 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა ¼-ით და განესაზღვრა 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, რაც 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა ¼-ით და თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევის ვადა განესაზღვრა 2 წლითა და 3 თვით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ი. მ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების

აღკვეთა.

მასვე 2 წლითა და 3 თვით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება – აღნიშნული დროის განმავლობაში ი. მ-ს აეკრძალა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში დაინიშნითი თანამდებობის დაკავება.

მსჯავრდებულ ი. მ-ს სასჯელის მოხდა აეთვალა განაჩენის მიღების დღიდან – 2016 წლის 22 სექტემბრიდან.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 23 თებერვლის განაჩენით პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 29 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი განსახილველად არ იქნა დაშვებული.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 3 მაისის განაჩენით ი. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-2 ნაწილით (2004 წლის 1 ივლისისთვის მოქმედი რედაქცია) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 2 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. „ამინისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეუმცირდა და ¼-ით და საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 1 წლითა და 6 თვით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება.

მსჯავრდებულ ი. მ-ს სასჯელის მოხდა აეთვალა განაჩენის დადგენის დღიდან – 2017 წლის 3 მაისიდან.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 27 ოქტომბრის განაჩენით პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 27 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი განსახილველად არ იქნა დაშვებული.

13. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 16 იანვრის განჩინებით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 17 თებერვლის განაჩენით დანიშნულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა – 5 წლით თავისუფლების აღკვეთამ შთანთქა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლისა და ამავე სასამართლოს 2014 წლის 20 ოქტომბრის განაჩენებით დანიშნული ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ი. მ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე 2 წლითა და 3 თვით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება.

მსჯავრდებულ ი. მ-ს სასჯელის მოხდა აეთვალა განაჩენის მიღების დღიდან – 2017 წლის 16 იანვრიდან, მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2013 წლის 21 მაისიდან 2017 წლის 16 იანვრამდე.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 7 თებერვლის განჩინებით პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

15. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 23 თებერვლის განაჩენით დანიშნულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 16 იანვრის განჩინებით დანიშნული ნაკლებად მკაცრი სასჯელი და განაჩენთა ერთობლიობით ი. მ-ს განესაზღვრა 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე 2 წლითა და 3 თვით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება.

მსჯავრდებულ ი. მ-ს სასჯელის მოხდა აეთვალა განჩინების მიღების დღიდან – 2017 წლის 26 ოქტომბრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2013 წლის 21 მაისიდან 2017 წლის 26 ოქტომბრის ჩათვლით.

16. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 25 ივნისის განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით დანიშნულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით დანიშნული ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ი. მ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე 2 წლითა და 3 თვით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება.

მსჯავრდებულ ი. მ-ს სასჯელის მოხდა აეთვალა განჩინების მიღების დღიდან – 2018 წლის 25 ივნისიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2013 წლის 21 მაისიდან 2018 წლის 25 ივნისის ჩათვლით.

17. 2018 წლის 27 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა ი. მ-მ, რომელმაც საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, მოითხოვა თბი-

ლისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის, ამავე სასამართლოს 2014 წლის 20 ოქტომბრის, 2016 წლის 22 სექტემბრის და 2017 წლის 3 მაისის განაჩენების გადასინჯვა და გაუქმება იმ მოტივით, რომ 2016 წლის ივნისში ევროპული სასამართლოს პალატამ (მეოთხე სექცია), ხოლო 2017 წლის ნოემბერში დიდმა პალატამ მის მიმართ დაადგინეს ევროკონვენციის მე-18 და მე-5 მუხლების დარღვევა. დიდი პალატის გადაწყვეტილებით, მისი პატიმრობის მიზეზი იყო შეფარული, არალეგიტიმური და ატარებდა განგრძობად ხასიათს. შესაბამისად, პატიმრობის თითოეული დღე ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ვინაიდან მის მიმართ გამოყენებული თავისუფლების აღკვეთა უკანონო მიზნებს ემსახურება.

18. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 10 იანვრის განაჩენით მსჯავრდებულ ი. მ-ს შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის, ამავე სასამართლოს 2014 წლის 20 ოქტომბრის, 2016 წლის 22 სექტემბრისა და 2017 წლის 3 მაისის განაჩენები დარჩა უცვლელად.

19. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 10 იანვრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ი. მ-მ და ითხოვა მისი გაუქმება, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის, ამავე სასამართლოს 2014 წლის 20 ოქტომბრის, 2016 წლის 22 სექტემბრისა და 2017 წლის 3 მაისის განაჩენების გადასინჯვა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენების გამოტანა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საქართველოს სსსკ-ის 314-ე მუხლის მოთხოვნათა ფარგლებში შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ი. მ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივებს შუამდგომლობასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე საქმის გარემოებები სამართლებრივად სწორად შეაფასა.

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესუ-

ლი გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება.

4. პალატა მიუთითებს, რომ იმისათვის, რათა საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე გადასინჯოს განაჩენი, ერთდროულად უნდა არსებობდეს ორი სავალდებულო პირობა, კერძოდ: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგინდა კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა და ის, რომ გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევაზეა დაფუძნებული.

**5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით დადგინდა შემდეგი:**

5.1. ი. მ-ს დაკავებასთან დაკავშირებით კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი არ დარღვეულა. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ ი. მ-ს დაკავება იყო კანონიერი და კანონით დადგენილი წესით შესაბამისი. მისი დაკავება კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტის „მიზნის“ შესაბამისი იყო.

5.2. ი. მ-სთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი. დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ მომჩივნისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტთან თავსებად მიზანს ემსახურებოდა.

5.3. დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი, ვინაიდან 2013 წლის 25 სექტემბრიდან, ანუ იმ დღიდან, როდესაც დაცვის მხარემ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის თაობაზე – ი. მ-ს წინასწარი პატიმრობის საკმარისი საფუძველი არ არსებობდა. 2013 წლის 25 სექტემბრისა და 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებები აღკვეთის ღონისძიების შეცვლაზე უარის თქმის შესახებ, მოკლებული იყო დასაბუთებულობას და საკმარისი აღარ იყო მომჩივნის პატიმრობის გახანგრძლივების გასამართლებლად.

5.4. ი. მ-ს მიმართ დაირღვა კონვენციის მე-18 მუხლი მე-5 მუხლის პირველ პუნქტთან ერთობლიობით.

დიდმა პალატამ არ გაიზიარა „მომჩივნის“ მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ მისი წინასწარი პატიმრობის მიზანი იყო მისი პოლიტიკური სცენიდან ჩამოშორება და მიუთითა შემდეგი: საერთო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ ი. მ-ს წინასწარი დაპატიმრება

მოხდა „ე-სა“ და „ქ-ას“ შორის მწვავე პოლიტიკური ანტაგონიზმის ფონზე, მის მიერ დასახელებული სხვადასხვა საკითხი, რომელთა შორის არსებობს გარკვეული გადაფარვა, არ არის საკმარისი იმის სადემონსტრაციოდ, რომ აღნიშნული დაპატიმრების უპირატეს მიზანს წარმოადგენდა მისი ქართულ პოლიტიკაში მონაწილეობისთვის ხელის შეშლა და არა მის წინააღმდეგ სისხლის სამართალ-წარმოების სათანადოდ წარმართვა.

ამასთან, დიდმა პალატამ გაიზიარა და სარწმუნოდ მიიჩნია ის ფაქტი, რომ 2013 წლის 14 დეკემბერს ი. მ. გაიყვანეს საპატიმრო საკნიდან მთავარ პროკურორთან და სასჯელალსრულების დაწესებულების დირექტორთან შესახვედრად, სადაც მასზე მოახდინეს ზეწოლა, რათა მას მიენოებინა ინფორმაცია ბ-ნი ჟ-ას სიკვდილისა და ბ-ნი ს-ის საბანკო ანგარიშების შესახებ. „აღნიშნული ფაქტით „მომჩინის“ თავისუფლების შეზღუდვის მიზანი შეიცვალა, დასაწყისში ის იყო დანაშაულების გამოძიება საფუძვლიანი ეჭვის საფუძველზე, მოგვიანებით კი გარდაიქმნა გამოძიებად, რომლის მიზანი გახდა ბ-ნი ჟ-ას სიკვდილისა და ბ-ნი ს-ის ანგარიშების შესახებ ინფორმაციის მოპოვება“.

6. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მართალია, წარმოდგენილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელშიც მითითებულია ი. მ-ს მიმართ კონვენციის დარღვევის შესახებ, მაგრამ არ იკვეთება მეორე სავალდებულო პირობა: კასატორი ვერ ასაბუთებს და არც საქმის მასალებით დგინდება, რომ გადასასინჯი განაჩენები ამ დარღვევას ეფუძნება და გადაწყვეტილებაში მითითებულმა უკანონო ქმედებებმა გავლენა მოახდინეს მის დამნაშავედ ცნობაზე.

7. ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ი. მ-ს მოთხოვნა მის მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენების გადასინჯვის შესახებ იმ მოტივით, რომ დიდი პალატის გადაწყვეტილებით დადგენილ დარღვევებს არსებითი კავშირი არ აქვთ და გავლენას არ ახდენენ განაჩენებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 314-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ი. მ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილ-



დეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 10 იანვრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **შეზღუდვა საუარესოდ**

### **განაჩენი საქართველოს სახელის**

№108აპ-19

1 აგვისტო, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),**

**პ. ქათამაძე,**

**ბ. ალავიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორ ლაშა ფანჩულიძისა და მსჯავრდებულ ა. ჯ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ხ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 4 დეკემბრის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 4 სექტემბრის განაჩენით ა. ჯ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>, 19, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 17 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ ა. ჯ-ს დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ

განესაზღვრა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2018 წლის 31 მაისიდან.

2. აღნიშნული განაჩენით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. ჯ-მ ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა და დამცირება, რამაც ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე, ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით, მისივე ოჯახის წევრის მიმართ; განზრახ მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით; ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა, განსაკუთრებული სისასტიკითა და ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ჩადენილი ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ.

ა. ჯ-ს ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2017 წლის იანვრიდან ა. ჯ. არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ე. ბ-სთან. იგი გენდერული დისკრიმინაციის მოტივით სისტემატურად ძალადობდა, სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა და ამცირებდა ოჯახის წევრს – მეუღლე ე. ბ-ს, კერძოდ: 2017 წლის მაისიდან სისტემატურად კეტავდა შინ და არ აძლევდა მისი დატოვების საშუალებას. მოულოდნელად ბრუნდებოდა სახლში, იწყებდა ჩხრეკას და ეკითხებოდა, თუ რომელ ყოფილ ქმარს მალავდა. 2017 წლის აგვისტოში ა. ჯ-მ ე. ბ-ს ცეცხლსასროლი იარაღი დაადო თავზე და უყვიროდა, რომ მოკლავდა. 2017 წლის 1 სექტემბერს ა. ჯ. ე. ბ-ს არასრულწლოვანი შვილის – ა. ლ-ს თანდასწრებით, აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, ემუქრებოდა მოკვლით, აფურთხებდა, ათრია თმით და რამდენჯერმე ხელი გაართყა სახეში, რის შედეგადაც ე. ბ-მ განიცადა ფიზიკური ტკივილი. 2018 წლის აპრილში ე. ბ-ს მოთხოვნაზე დამორებულიყვნენ, ა. ჯ-მ განუცხადა, რომ იგი იყო მისი საკუთრება და რასაც უნდოდა, იმას უზამდა. ასევე, როგორც ქალს, მას არ ჰქონდა წინააღმდეგობის განწევის უფლება. მუქარისა და ფსიქოლოგიური ტერორის გამო, ე. ბ. იძულებული იყო, დამორჩილებოდა მას. 2018 წლის მაისში ა. ჯ-მ ე. ბ-ს არასრულწლოვანი შვილის – ა. ლ-ს თანდასწრებით ხელი გაართყა სახეში, შემდეგ მუშტი ჩაართყა თავში, რის შედეგადაც ე. ბ-მ განიცადა ფიზიკური ტკივილი. ა. ჯ-ს მიერ სისტემატურმა შეურაცხყოფამ, ფსიქიკურმა ძალადობამ და დამცირებამ გამოიწვია ე. ბ-ს ტანჯვა.

ა. ჯ. აგრძელებდა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ე. ბ-ს მიმართ ძალადობას, სისტემატურ შეურაცხყოფასა და დამცირე-

ბას. 2018 წლის 31 მაისს, დაახლოებით 15:00 საათზე, ე. ბ-ს საცხოვრებელ ბინაში (მდებარე თ-ი, ა-ის გამზირის №..., ბინა №...) შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ... სამმართველოს მეორე განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებელმა ა. ჯ-მ ეჭვიანობის ნიადაგზე, განსაკუთრებული სისასტიკით მოკვლის მიზნით, „HS-9“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, საძინებელ ოთახში, ე. ბ-ს შვილის – თ. გ-ს თვალწინ, ზურგში სიცოცხლისთვის სახიფათო გამჭოლი ჭრილობა მიაყენა ოჯახის წევრს – მეუღლე ე. ბ-ს, რის შედეგადაც ნასროლი ტყვია ლოგინზე მყოფ მცირეწლოვან თ. გ-სგან 15 სანტიმეტრში დაეცა.

ამასთან, ე. ბ-მ დაინახა, თუ სროლის შედეგად როგორ შეეღებოდა სისხლით სახე და ტანსაცმელი მის მცირეწლოვან შვილს, რამაც გამოიწვია მისი ფსიქოლოგიური ტანჯვა. ამის შემდეგ ა. ჯ-მ ამავე იარაღიდან სამზარეულოს შესასვლელთან განსაკუთრებული სისასტიკით, მოკვლის მიზნით, სამჯერ ესროლა თ. გ-ს მამას – მ. გ-ს და სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა გულმკერდის და მუცლის არეში, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა. აღნიშნულის შედეგად, თ. გ-ს აღენიშნება პოსტტრავმული სტრესისთვის დამახასიათებელი ნიშნები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მცირეწლოვან თ. გ-ს მიერ გადატანილი მძიმე სტრესული მდგომარეობა აღიბეჭდება მის ფსიქიკაზე.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 4 სექტემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის პროკურატურის პროკურორმა ლაშა ფანჩულიძემ.

აპელანტმა ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის შეცვლა სასჯელის ნაწილში, შემდეგ გარემოებათა გამო: ა. ჯ-სთვის შეფარდებული სასჯელი ღმობიერია და ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების შესრულებას, რადგან: ა. ჯ-მ ჩაიდინა ძალადობრივი ხასიათის დანაშაულები ოჯახის წევრის მიმართ, რაც საზოგადოებისთვის განსაკუთრებით სენსიტიური და ამასთანავე, მომეტებული საშიშროების შემცველია; ა. ჯ. თვითონ იყო სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი და მას თავად ევალებოდა მოქალაქეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა. მიუხედავად ამისა, იგი გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ძალადობდა, სისტემატურ შეურაცხყოფას აყენებდა და ამცირებდა ოჯახის წევრს – ე. ბ-ს, მისი არასრულწლოვანი შვილის თვალწინ, რამაც ე. ბ-ს ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა გამოიწვია. ა. ჯ-მ სცადა განსაკუთრებული სისასტიკით მოეკლა ე. ბ. და იმ დროს როდესაც პატრულის თანამ-

შრომელმა კ. ხ-მ სცადა მისი შეჩერება, განსაკუთრებული სისასტიკით, პატრულ-ინსპექტორების – ლ. ვ-სა და კ. ხ-ს თვალწინ მოკლა მ. გ.. ამასთან, ე. ბ-ს მიმართულებით ნასროლი ტყვია დაეცა ლოგინზე მყოფ მცირეწლოვან თ. გ-სგან 15 სანტიმეტრის მოშორებით; ა. ჯ. სასჯელალსრულების დაწესებულებიდან გამოსვლის შემდეგ აუცილებლად დაამთავრებს „დანყებულ საქმეს“, ე. ბ-ს მკვლელობას, რისი გათვალისწინებითაც, ბრალდების მხარემ მოითხოვა მის მიმართ უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდება.

აპელანტმა ასევე მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 4 სექტემბრის განაჩენში დაშვებული ტექნიკური უზუსტობის გამოსწორება, კერძოდ: განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში არ არის მითითებული, რომ ა. ჯ. ასევე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>, 19, 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 4 დეკემბრის განაჩენით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და ცვლილება შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 4 სექტემბრის განაჩენში, კერძოდ:

ა. ჯ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 11<sup>1</sup>, 19, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით – 18 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის თანხმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ ა. ჯ-ს დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2018 წლის 31 მაისიდან.

5. აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს თბილისის პროკურატურის პროკურორმა ლაშა ფანჩულიძემ და მსჯავრდებულ ა. ჯ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ხ-მ.

ბრალდების მხარე საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის სასჯელის ნაწილში ცვლილების შეტანას, კერძოდ:

მსჯავრდებულ ა. ჯ-სათვის უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას, სააპელაციო საჩივარში მითითებული საფუძვლებით.

დაცვის მხარე საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის სასჯელის ნაწილში ცვლილების შეტანას, კერძოდ: მსჯავრდებულ ა. ჯ-სათვის შეფარდებული სასჯელის შემცირებას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით დადგენილი სასჯელის ზომის ფარგლებში, შემდეგი საფუძვლებით: მსჯავრდებულისათვის შეფარდებული სასჯელი აშკარად არ შეესაბამება მისი ქმედების ხასიათსა და მის პიროვნებას; მან აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული; ხელი შეუწყო მართლმსაჯულების სწრაფ და ეფექტურ განხორციელებას; სააპელაციო ინსტანციის სასამართლო ვერ ხსნის, თუ რატომ არის შეუძლებელი სასჯელის მიზნების მიღწევა 17 წლიანი თავისუფლების აღკვეთის მოხდის პირობებში, ასევე არასწორად და უკანონოდ აპელირებს იმ ფაქტზე, რომ, ვინაიდან მსჯავრდებული პოლიციის თანამშრომელი იყო, იმსახურებდა უფრო მკაცრ სასჯელს; სასამართლომ არ შეაფასა ა. ჯ-ს ქმედების გამომწვევი მოტივები და მიზეზები – დაზარალებული პირების მორალური მხარე და მათი მაპროვოცირებელი როლი ამ დანაშაულში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიანჩნია, რომ დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეზე წარმოდგენილ საქმარის და უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა ა. ჯ-მ ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები, რის შესახებაც პალატა დამატებით აღარ იმსჯელებს, ვინაიდან სრულად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს, რასაც არც დაცვის მხარე მიიჩნევს სადავოდ.

3. საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლისა და ამავე კოდექსის 53-ე მუხლის შინაარსს, ინდივიდუალურად აფასებს მსჯავრდებულ ა. ჯ-ს პიროვნულ მახასიათებლებს, ქმედების განხორციელების სახეს, მართლსაწინააღმდეგო შედეგს და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

4. მსჯავრდებულმა ა. ჯ-მა ჩაიდინა სამი დამოუკიდებელი დანაშაული და სამივე ძალადობრივი ხასიათისა, ხოლო თავისი ხასია-

თითა და სიმძიმით ყველა მათგანი გამოირჩევა განსაკუთრებული საზოგადოებრივი საშიშროებით, კერძოდ: ერთ-ერთს ჰქონდა სისტემატური ხასიათი, მიმართული იყო ოჯახის წევრის წინააღმდეგ და ჩადენილი არასრულწლოვანი პირის თანდასწრებით (საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი), ხოლო დანარჩენი დანაშაულები კი (საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, 11<sup>1</sup>, 19, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტები) ჩადენილია დაზარალებულ ე. ბ-ას მცირეწლოვანი შვილისა და სხვა პირების – პატრულ-ინსპექტორების, ასევე დაზარალებულის მიერ დაქირავებული ბინის მესაკუთრისა და მისი ახლობლის თანდასწრით.

5. ხაზგასასმელია ასევე ა. ჯ-ს მიერ ჩადენილი ქმედებების უმძიმესი შედეგები, კერძოდ: დაზარალებულ მ. გ-ს სიკვდილი; დაზარალებულ ე. ბ-ას ჯანმრთელობის ხელყოფა და ტანჯვა მისთვის სიცოცხლისთვის სახიფათო და ზიანების მიყენების, სისტემატური ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის გზით; ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგად მცირეწლოვან დაზარალებულ თ. გ-ს დაუდგინდა პოსტტრავმული სტრესი, რაც გამოიწვია მის მიერ გადატანილმა მძიმე სტრესულმა სიტუაციამ, რომელიც მის ფსიქიკაზე აღიბეჭდა.

6. აქვე საყურადღებოა, რომ ა. ჯ-ს მიმართ 2017 წლის 2 სექტემბერს გამოინერა შემაკავებელი ორდერი, რომელმაც ვერ უზრუნველყო მისი სათანადო ქცევა და ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები, მითუმეტეს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ა. ჯ. თავად იყო სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი, კერძოდ, პოლიციის ინსპექტორ-გამომძიებელი და ეკისრებოდა მეტი პასუხისმგებლობა და ვალდებულება, რათა დაეცვა პირთა უფლებები მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისგან. იგივე ფაქტი განმეორდა 2018 წლის 31 მაისსაც, დანაშაულებრივი შემთხვევის დღეს, როდესაც დაზარალებულ ე. ბ-ს ა. ჯ-ს აგრესიისგან თავის დასაცავად გამოძახებული ჰყავდა საპატრულო პოლიცია, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა ორი პატრულ-ინსპექტორი. მიუხედავად ამისა, ამ ფაქტმაც ვერ უზრუნველყო ა. ჯ-ს სათანადო ქცევა და ვერ აღიკვეთა დანაშაული.

7. ყოველივე აღნიშნული კი ნათლად მიუთითებს მსჯავრდებულ ა. ჯ-ს ქმედებების მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებასა და მის მიდრეკილებაზე ძალადობისკენ. მის ქმედებებში ასევე გამოკვეთილია მართლწესრიგის ნორმების განსაკუთრებულად უხეში, სისტემატური უპატივცემულობა და უგულვებელყოფა, რისი გათვალისწინებითაც, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მისთვის შე-

ფარდებული სასჯელი არის ლმობიერი, რის გამოც მას უნდა დაუმძიმდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით შეფარდებული სასჯელი. ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებულმა აღიარა დანაშაული, უდავოდ ცნო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და ხელი შეუწყო სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას (რის საფუძველზეც დაცვის მხარე ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას), საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული უვადო თავისუფლების აღკვეთა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ა. ჯ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ხ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორ ლაშა ფანჩულიძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 4 დეკემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

ა. ჯ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს:

საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით;

საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 19, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 20 წლით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ ა. ჯ-ს დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა – 20 წლით, რომლის მოხდის ათვლა დაენწყოს დაკავების მომენტიდან – 2018 წლის 31 მაისიდან;

4. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **2. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ბანაჩენის გადასინჯვის წესი**

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ბანაჩენის  
გადასინჯვის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის  
შესახებ განჩინების უცვლელად დატოვება**

### **განჩინება საქართველოს სასჯელით**

№84აგ-18

2 აპრილი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**  
**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),**  
**პ. სილაგაძე,**  
**პ. ქათამაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ე. დ-ს ინტერესების დამ-  
ცველის, ადვოკატ მ. პ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ  
გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის  
სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 4 ივლისის განჩინებაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 23 აპრილის გა-  
ნაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება. ე. დ. ცნობილ იქნა  
დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე  
მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სას-  
ჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6  
თვით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველ-  
ზე ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე საქარ-  
თველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯე-  
ლის სახით დაენიშნა ჯარიმა 2000 ლარი; „ნარკოტიკული დანაშაუ-  
ლის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3  
მუხლის 41-ე ნაწილის შესაბამისად, ე. დ. გათავისუფლდა აღნიშ-  
ნული კანონით გათვალისწინებული უფლებების ჩამორთმევისაგან.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 20 ივლისის გა-  
ნაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება. ე. დ. ცნობილ იქნა  
დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე  
მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სას-  
ჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1



წლით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა 5000 ლარი; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 23 აპრილის განაჩენით, საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის დანიშნული პირობითი მსჯავრი – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის შესაბამისად, კვლავ ჩაეთვალა პირობით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად მიემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ე. დ-ს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით. ე. დ-ს სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო 2015 წლის 17 მარტიდან – 2015 წლის 23 მარტამდე. მასვე საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ დაეკისრა ჯარიმა 5 000 ლარი. ე. დ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 3 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო საქმიანობის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას შუამდგომლობით მიმართა ე. დ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. პ-მ, რომელმაც მოითხოვა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე გადაისინჯოს ე-ს მიმართ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 23 აპრილისა და ამავე სასამართლოს 2015 წლის 20 ივლისის განაჩენები, იგი გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დაკისრებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან, ასევე აღუდგეს ამავე განაჩენით „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებები

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 4 ივლისის განჩინებით შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

5. კასატორი ითხოვს შუამდგომლობის განსახილველად დაშვებას და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 23 აპრილისა და ამავე სასამართლოს 2015 წლის 20 ივლისის განაჩენებით სქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დაკისრებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლებას, ასევე, ჩამორთმეული უფლებების აღდგენას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა, მართალია, იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება გავლენას ახდენს ე. დ-ს მიმართ დადგენილ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 23 აპრილისა და ამავე სასამართლოს 2015 წლის 20 ივლისის განაჩენებზე, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ორივე განაჩენით დაკისრებული სასჯელი (ძირითადი და დამატებითი) – მოხდილი, უფლებების ჩამორთმევის ვადა – გასული და ნასამართლობაც გაქარწყლებული აქვს, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს ე. დ-ს პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლების შესახებ (იხ. საქმე №8აგ-18, №2აგ-18).

3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ე. დ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. პ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების ან შეცვლის საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. ე. დ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. პ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 4 ივლისის განჩინება ე. დ-ს ინტერე-

სების დამცველის, ადვოკატ მ. პ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის  
გადასინჯვის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის  
შესახებ განჩინების უცვლელად დატოვება**

**განჩინება  
საქართველოს სახელში**

№99აგ-18

15 აპრილი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
პ. სილაგაძე,  
პ. ქათამაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ზ. გ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 10 სექტემბრის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის დადგენილებით ზ. გ. ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ (მარიხუანა) მოხმარებისთვის და დაეკისრა ჯარიმა – 500 ლარი.

2. 2018 წლის 27 აგვისტოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ზ. გ-მ, რომელმაც საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის დადგენილების გადასინჯვა.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 10 სექტემბრის განჩინებით ზ. გ-ის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის დადგენი-

ლების გადასინჯვის შესახებ დაუშვებლად იქნა ცნობილი.

4. კასატორი – ზ. გ. საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 10 სექტემბრის განჩინების გაუქმებას, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო (ნარკოტიკული საშუალება – „მარიხუანასთან“ დაკავშირებით სისხლის სამართლის კანონში განხორციელებული ცვლილებებისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის დადგენილების გადასინჯვას, ადმინისტრაციული სახდელის სახით დაკისრებული ჯარიმისგან გათავისუფლებასა და მისი ძმის ქონებაზე დადებული ყადაღის მოხსნას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს სსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ ზ. გ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო საჩივარში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, კერძოდ, ამ შემთხვევაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის დადგენილებით ზ. გ. ცნობილ იქნა ადმინისტრაციულსამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ (მარიხუანა) მოხმარებისთვის და დაეკისრა ჯარიმა – 500 ლარი. ვინაიდან განაჩენი გადასინჯება საქართველოს სსკ-ის 310-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო ზ. გ. ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის“ ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებისთვის მსჯავრდებული არ ყოფილა და, შესაბამისად, მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული განაჩენი არ არსებობს, სასამართლო სამართლებრივად მოკლებულია შესაძლებლობას, გადასინჯოს ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება.

3. ამდენად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება ზ. გ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ კანონიერია და მისი გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის

313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ზ. გ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 10 სექტემბრის განჩინება ზ. გ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადანინჯვის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინების უცვლელად დატოვება**

### **განჩინება საქართველოს სახელით**

№102აგ-18

15 მაისი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),**
- ბ. ალავეიძე,**
- პ. ქათამაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. მ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. ბ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ოქტომბრის განჩინებაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 11 აგვისტოს განაჩენით ვ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლითა და 9 თვით. მასვე სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებით სასჯელად შეეფარდა ჯარიმა – 10 000 ლარი. მსჯავრდებულ ვ. მ-ს სასჯელის მოხდის ათვლა უნდა დაეწყოს დაპატიმრების ან სათანადო ორგანოში გამოცხადების დღიდან. ამავე განაჩენით საქართველოს ფი-

ნანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონული ცენტრის სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა: ვ. მ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 649 724,8 ლარი, შესაბამის საურავთან ერთად და ჯარიმა – 335 866 ლარი.

2. თელავის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 8 ივლისის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-12 მუხლის თანახმად, ვ. მ-ს გაუნახვერდა თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 11 აგვისტოს განაჩენით დანიშნული ძირითადი სასჯელი და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, 4 თვითა და 15 დღით.

3. 2018 წლის 25 სექტემბერს მსჯავრდებულ ვ. მ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა კ. ბ-მ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და ითხოვა მსჯავრდებულის მიმართ არსებული განაჩენის გადასინჯვა იმ საფუძველით, რომ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 06.09.18 წლის №... წერილით მსჯავრდებულ ვ. მ-ს (... ინდ/მენარმის ...) დავალიანება არ ერიცხება და მისი პირადი აღრიცხვის ბარათზე არსებული ნაშთი შეადგენს 0 ლარს.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით მსჯავრდებულ ვ. მ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. ბ-ს შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

5. კასატორი – მსჯავრდებულ ვ. მ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატ კ. ბ. საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 5 ოქტომბრის განჩინების გაუქმებასა და შუამდგომლობის განსახილველად დაშვებას მასში მითითებული მოტივებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. კასატორის მიერ მითითებული გარემოებები არ წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ განაჩენის გადასინჯვის ახლად გამოვლენილ გარემოებას, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში თელავის რაიონულმა სასამართლომ 2010 წლის 11 აგვისტოს განაჩენი ვ. მ-ს მიმართ გამოიტანა მის დაუსწრებლად, რომლის სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება მსჯავრდებულს დღეის მდგომარეობითაც გააჩნია. შესაბამისად, ამ ეტაპზე საქმეზე სამართალწარმოება დასრულებული არ არის.

3. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ დაუსრულებელი სამართალწარმოების საქმეზე განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შესაძლოა, გადაისინჯოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, მათ შორის – როდესაც ეს სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის ერთადერთი საშუალებაა, ან როდესაც საკითხი ეხება სასჯელის განსაზღვრას კანონის იმპერატიული მოთხოვნის საფუძველზე, რაც არ შეიძლება შეფასების საგანი იყოს და განსხვავებულად გადაწყდეს საქმის არსებითი განხილვის შემთხვევაში.<sup>1</sup>

4. ადვოკატის მიერ შუამდგომლობაში მითითებული გარემოებები წარმოადგენს შეფასების საგანს, რაზეც სააპელაციო სასამართლო იმსჯელებს ვ. მ-ს მიერ თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 11 აგვისტოს განაჩენის სააპელაციო წესით გასაჩივრების შემთხვევაში.

5. ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება მსჯავრდებულ ვ. მ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. ბ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე კანონიერია, მისი გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ ბ ი ნ ა :**

1. მსჯავრდებულ ვ. მ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. ბ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ოქტომბრის განჩინება მსჯავრდებულ ვ. მ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. ბ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

---

<sup>1</sup> იხ. სუსგ საქმეზე №25აგ-17 და სუსგ საქმეზე №211აგ-16.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის  
ბადასინჯვის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის  
შესახებ განჩინების უცვლელად დატოვება**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№111აგ-18

4 ივნისი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. კ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ა-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ნოემბრის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 5 ივნისის განაჩენით რ. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2005 წლის 10 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) – 6 თვით, 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილით – 3 წლით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით – 6-6 თვით, 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“, „თ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მიხედვით, რ. კ-ს დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელშიც მოხდილად ჩაეთვალა წინასწარი გამოძიებისას – 2005 წლის 5 ივნისიდან იმავე წლის 7 ივნისამდე და შემდგომ – 2009 წლის 27 იანვრიდან დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 4 თვე და 11 დღე, ხოლო დარჩენილი ვადა – 4 წლით, 7 თვითა და 19 დღით თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით; მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 3000 ლარი.

2. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 28 იანვრის განაჩენით რ. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით – 7 წლით თავისუფლების



აღკვეთა, 117-ე მუხლის მე-8 ნაწილით – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, შეფარდებული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 19 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 5 ივნისის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა ამ განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 4 წელი, 7 თვე, 19 დღე და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 23 წლით, 7 თვითა და 19 დღით თავისუფლების აღკვეთა.

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-3 და მე-9 მუხლების თანახმად, რ. კ. გათავისუფლდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 5 ივნისის განაჩენით (რომელიც საბოლოოდ შეიკრიბა ამ განაჩენით) სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით (2005 წლის 10 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) დანიშნული სასჯელებისაგან; იმავე კანონის მე-16 მუხლის თანახმად, რ. კ.-ს შეუმცირდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 5 ივნისის განაჩენით (რომელიც საბოლოოდ შეიკრიბა ამ განაჩენით) სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“, „თ“ ქვეპუნქტებით (ძველი რედაქცია) დანიშნული სასჯელი – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და მოსახდელად დარჩა 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომელშიც მოხდილად ჩაეთვალა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 5 ივნისის განაჩენით პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 4 თვე, 11 დღე და მოსახდელად დარჩა 4 დღით თავისუფლების აღკვეთა.

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-12 მუხლის თანახმად, რ. კ.-ს გაუნახევრდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 28 იანვრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით დანიშნული სასჯელი – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და მოსახდელად დარჩა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. იმავე კანონის მე-16 მუხლის თანახმად, მსჯავრდებულს ერთი მეოთხედით შეუმცირდა ამავე განაჩენით სსკ-ის 117-ე მუხლის მე-8 ნაწილით დანიშნული სასჯელი – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა და მოსახდელად დარჩა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. რ. კ.-ს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლით, 6 თვითა და 4 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენციო 2012 წლის 5 ივნისიდან.

3. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 20 სექტემბრის

განაჩენით დარჩა უცვლელად.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 28 იანვრის განჩინებით მსჯავრდებულ რ. კ-ს საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული განსახილველად.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ნოემბრის განჩინებით რ. კ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 20 სექტემბრის განაჩენის გადასინჯვის თაობაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 1 მაისის განჩინებით მსჯავრდებულ რ. კ-ს ადვოკატის – ნ. ა-ს შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 1 ნოემბრის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 1 მაისის განჩინება დარჩა უცვლელად.

8. 2018 წლის 15 ნოემბერს მსჯავრდებულმა რ. კ-მ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახალციხის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 5 ივნისისა და 2013 წლის 28 იანვრის განაჩენების ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის მოთხოვნით.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ნოემბრის განჩინებით მსჯავრდებულ რ. კ-ს შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

10. კასატორი – მსჯავრდებულ რ. კ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ნ. ა. საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 29 ნოემბრის განჩინების გაუქმებას და მსჯავრდებულ რ. კ-ს შუამდგომლობის დაკმაყოფილებას მასში მითითებული მოტივებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივებს შუამდგომლობასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის გარემოებებს.

3. პალატა აღნიშნავს, რომ არც შუამდგომლობასა და არც საკასაციო საჩივარში დაცვის მხარე არ უთითებს არცერთ ისეთ გარემოებაზე, რომელიც საკასაციო პალატას შესაძლებლობას მისცემდა, გადაესინჯა კანონიერ ძალაში შესული განაჩენები. მოცემულ შემთხვევაში კასატორი ყურადღებას ამახვილებს (მისი მოსაზრებით) „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის არასწორად გამოყენებასა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლში 2013 წლის 17 აპრილს შესულ ცვლილებებზე. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის არასწორად გამოყენება არ წარმოადგენს საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლით გათვალისწინებულ განაჩენის გადასინჯვის საფუძველს. რაც შეეხება 2013 წლის 17 აპრილის საკანონმდებლო ცვლილებებს, იგი ცნობილი იყო რ. კ-ს სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო შემადგენლობისათვის თბილისის სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში საქმის განხილვის დროს. შესაბამისად, ეს გარემოებაც არ უნდა ჩაითვალოს ახლად გამოვლენილად.

4. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 29 ნოემბრის განჩინება მსჯავრდებულ რ. კ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა ა ზ ბ ი ნ ა :**

1. მსჯავრდებულ რ. კ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ა-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის  
ბადასინჯვის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის  
შესახებ განჩინების უცვლელად დატოვება**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№113აგ-18

17 ივნისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების – ჯ. ჩ-ს და ჯ. ე-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 24 მაისის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 25 ივნისის განაჩენით:

ჯ. ჩ. – დაბადებული 1... ნელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ე“, „ვ“ ქვეპუნქტებით – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ჯ. ჩ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 10 ოქტომბრიდან.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ჯ. ე. – დაბადებული 1... წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ე“, „ვ“ ქვეპუნქტებით – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და მას მიესაჯა 32 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ჯ. ე-ს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მას სასჯელის მოხდა დაენციო 2010 წლის 10 ოქტომბრიდან.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შე-სახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

2. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 26 დეკემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მარტის განაჩენით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 26 დეკემბრის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება:

შენყდა სისხლისსამართლებრივი დევნა მსჯავრდებულების – ჯ. ჩ-ს და ჯ. ე-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

მსჯავრდებულ ჯ. ჩ-ს საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ე“, „ვ“ ქვეპუნქტებით, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა 24 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენციო 2010 წლის 10 ოქტომბრიდან.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შე-სახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესე-

ბულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

მსჯავრდებულ ჯ. ე-ს საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ე“, „ვ“ ქვეპუნქტებით, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა 26 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2010 წლის 10 ოქტომბრიდან.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 8 თებერვლის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის შესაბამისად:

ჯ. რ. გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან; მასვე აღუდგა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებები; ერთი მეოთხედით შეუმცირდა საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ე“, „ვ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი – 12 წელი და საბოლოოდ განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2010 წლის 10 ოქტომბრიდან.

ჯ. ე. გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან; მასვე აღუდგა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებები; ერთი მეოთხედით შეუმცირდა საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ე“, „ვ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი – 12 წელი და საბოლოოდ განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2010 წლის 10 ოქტომბრიდან.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ოქტომბრის განაჩენით ცვლილება შევიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამარ-

თლის საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მარტის განაჩენში, კერძოდ:

მსჯავრდებულ ჯ. ჩ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე (2015 წლის 31 ივლისის შემდგომ მოქმედი რედაქცია).

მსჯავრდებულ ჯ. ე-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე (2015 წლის 31 ივლისის შემდგომ მოქმედი რედაქცია).

განაჩენში ცნობად იქნა მიღებული, რომ მსჯავრდებულები – ჯ. ჩ. და ჯ. ე. გათავისუფლებულნი იყვნენ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელების მოხდისაგან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მარტის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

6. სასჯელის სხვადასხვა ზომით მსჯავრდებულთა შეწყალების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ჯ. ჩ. და ჯ. ე. გათავისუფლდნენ საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელის შემდგომი მოხდისგან.

7. 2018 წლის 10 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართეს მსჯავრდებულებმა – ჯ. ჩ-მ და ჯ. ე-მ. წარმოდგენილი შუამდგომლობით მსჯავრდებულები საქართველოს სსკ-ის 310-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის საფუძველზე ითხოვდნენ მათ მიმართ არსებული განაჩენის გადასინჯვას. შუამდგომლობის ავტორთა მითითებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამების წინააღმდეგ კომიტეტის გადანყვებილებით დადგინდა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება. კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და პროკურატურას არ ჰქონდათ მტკიცებულებები მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით, რის გამოც მათ განზრახ მიაყენეს ძლიერი ტკივილი, ფსიქიკური და მორალური ტანჯვა, რათა ეღიარებინათ დანაშაულის ჩადენა. ბრალდების აღნიშნულ ნაწილთან მიმართებით მოპოვებული ყველა მტკიცებულება არის ფალსიფიცირებული, რაც დასტურდება ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნებით. ფალსიფიცირებულია როგორც ჯ. ჩ-ს, ასევე, ჯ. ე-ს დაკავებისა და დაკითხვის ოქმები, ასევე, ფალსიფიცი-

რებულია ბრალდების შესახებ დადგენილებები.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 24 მაისის განჩინებით მსჯავრდებულების – ჯ. ჩ-ს და ჯ. ე-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 24 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა – ჯ. ჩ-მ და ჯ. ე-მ, რომლებმაც მოითხოვეს აღნიშნული განჩინების გაუქმება იმავე საფუძველებით, რაზეც უთითებდნენ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლობაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივებს შუამდგომლობასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე საქმის გარემოებები სამართლებრივად სწორად შეაფასა.

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ე<sup>1</sup>“ ქვეპუნქტის თანახმად, განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის გადანყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება.

4. პალატა მიუთითებს, რომ იმისათვის, რათა საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე<sup>1</sup>“ ქვეპუნქტის საფუძველზე გადასინჯოს განაჩენი, ერთდროულად უნდა არსებობდეს ორი სავალდებულო პირობა, კერძოდ: წამების წინააღმდეგ კომიტეტის გადანყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილი იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა და ის, რომ გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევაზეა დაფუძნებული.

5. კასატორების მიერ წარმოდგენილი გაერთიანებული ერების



ორგანიზაციის წამების წინააღმდეგ კომიტეტის გადაწყვეტილებით დგინდება შემდეგი:

კომიტეტი მიუთითებს ორივე მომჩივნის განცხადებაზე, რომ დაკავების შემდეგ მათ პოლიციის განყოფილებაში პოლიციისა და პროკურატურის თანამშრომლები დაახლოებით რვა საათს ჰკითხავდნენ და ამ დროის განმავლობაში მათ ხელბორკილები ედოთ, სცემდნენ და ნიხლებს ურტყამდნენ, ახრჩობდნენ და ფანჯრიდან გადაგდებით ემუქრებოდნენ. კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ პირველი მომჩივნის განცხადებით, იმის ხილვა, თუ როგორ ეპყრობოდნენ მეორე მომჩივანს – მის შვილს – ოფიციალური პირები, რათა მათ ეღიარებინათ დანაშაული, წარმოადგენდა წამებას კონვენციის პირველი მუხლის თანახმად.

2010 წლის 10 და 11 ოქტომბერს დროებითი მოთავსების იზოლატორის მორიგე ექიმმა დოკუმენტურად აღრიცხა დაჟეჟილობები და სისხლჩაქცევები ორივე მომჩივნის სხეულზე. მიწოდებული მტკიცებულებების საფუძველზე კომიტეტი მიიჩნევს, რომ მომჩივანთა მონათხრობი სანდოა. უფრო მეტიც, აღნიშნული ფაქტებით მოპასუხე სახელმწიფოს ოფიციალურ წარმომადგენლებს ისეთ ქმედებაში ედებათ ბრალი, რომელიც უტოლდება „მძიმე ტკივილსა და ტანჯვას“ კონვენციის 1 (1)-ლი მუხლის თანახმად.

მეორე მომჩივანს, რომელიც დაავადებული იყო დიაბეტით, არ მისცეს ინსულინის ინექციის გაკეთების შესაძლებლობა პოლიციის განყოფილებაში და დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავების მთელი პერიოდის განმავლობაში, 2010 წლის ათიდან – ცამეტ ოქტომბრამდე, რამაც გამოწვია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება. აღნიშნული წარმომადგენს სასტიკ და არაადამიანურ მოპყრობას კონვენციის მე-16 მუხლის მნიშვნელობით და მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-16 მუხლის პირველი პუნქტი მეორე მომჩივანთან მიმართებით.

მომჩივნებმა გამოთქვეს პრეტენზია, რომ ზემოხსენებულ ფაქტებთან დაკავშირებით მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-12 მუხლი, რადგან ვერ ჩაატარა სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიება. კომიტეტმა აღნიშნა, რომ მხოლოდ გამოძიების დაწყება არ არის საკმარისი მოპასუხე სახელმწიფოს ვალდებულების შესასრულებლად. კომიტეტმა მიიჩნია, რომ ექვს წელზე მეტი ხანგრძლივობით მიმდინარე გამოძიება, რაც მოიცავს ხუთ წელზე მეტი დროით გაჭიანურებულ პერიოდს ბოლო არსებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებიდან, ვერ პასუხობს მოპასუხე სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიება მაშინ, როდესაც არსებობს გონივრული საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ჩადენილია წამება კონვენციის მე-12 მუხ-

ლის მნიშვნელობით.

მოპასუხე სახელმწიფომ ასევე ვერ შეასრულა კონვენციის მე-13 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება, უზრუნველყო მომჩივნის მიერ საჩივრის შეტანის უფლება, რაც გულისხმობს იმას, რომ ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ამგვარ საჩივარზე ადეკვატური რეაგირება სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიების დაწყების გზით. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ ციხის თანამშრომლებმა ხელში ჩაიგდეს მათ მიერ კომიტეტში წარსადგენი საჩივარი და მათი ოჯახის წევრს თავს დაესხნენ და ემუქრებოდნენ პირები, რომლებიც მოქმედებდნენ ოფიციალური ორგანოების სახელით, მომჩივანთა ქმედებების საპასუხოდ. კომიტეტმა მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი.

გადაწყვეტილების ბოლო ნაწილში კი მითითებულია, რომ კომიტეტი მოუწოდებს მოპასუხე სახელმწიფოს, ჩაატაროს განხილული ფაქტების მიუკერძოებელი გამოძიება, რათა დაზარალებულების მიმართ მოპყრობაზე პასუხისმგებელი პირები წარდგენ მართლმსაჯულების წინაშე და მომჩივნებისათვის უზრუნველყოფილი იყოს დაცვის ეფექტური საშუალებები, მათ შორის – სამართლიანი და ადეკვატური კომპენსაცია მიყენებული ზიანის გამო, ასევე – სამედიცინო რეაბილიტაცია. მოპასუხე სახელმწიფო ასევე ვალდებულია, მიიღოს წინასწარი ზომები მომავალში მსგავსი დარღვევების თავიდან ასაცილებლად.

6. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, მართალია, წარმოდგენილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამების წინააღმდეგ კომიტეტის გადაწყვეტილება, რომელშიც მითითებულია, რომ ჯ. რ. და ჯ. ე. პოლიციის განყოფილებასა და დროებითი მოთავსების იზოლატორში დაექვემდებარნენ წამებას, მაგრამ არ იკვეთება მეორე სავალდებულო პირობა – კასატორები ვერ ასაბუთებენ და არც საქმის მასალებით დგინდება, რომ გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება და გადაწყვეტილებაში მითითებულმა უკანონო ქმედებებმა გავლენა მოახდინეს მათ დამნაშავედ ცნობაზე.

7. რაც შეეხება კასატორების მითითებას, რომ ფალსიფიცირებულია მტკიცებულებები საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლით წარდგენილი ბრალდების ნაწილში, პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მტკიცებულებათა სიყალბე (რომლებიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს) უნდა დადგინდეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, რაც მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულებს არ წარმოუდგენიათ.

8. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადან-

ყვეტილება მსჯავრდებულების – ჯ. ჩ-ს და ჯ. ე-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე კანონიერი და დასაბუთებუ-  
ლია, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის  
313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

**და ა დ გ ი ნ ა :**

1. მსჯავრდებულების – ჯ. ჩ-ს და ჯ. ე-ს საკასაციო საჩივარი არ  
დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-  
მეთა პალატის 2018 წლის 24 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად.  
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩინის  
გადანინჯვის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის  
შესახებ განჩინების უცვლელად დატოვება**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№2აგ-19

17 ივლისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების – რ. ჯ-  
სა და ა. გ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. კ-ს საკასაციო  
საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის საა-  
პელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის  
2018 წლის 27 ნოემბრის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 3 ივნისის გა-  
ნაჩინით:

რ. ჯ., – ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით, 188-ე მუხლის პირველი ნაწილით, 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით წარდგენილ ბრალდებებში და გამართლდა.

რ. ჯ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თანაბარი სასჯელებიდან ერთმა სასჯელმა შთანთქა მეორე და რ. ჯ.-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 5 დეკემბრის განაჩენით შეფარდებული ძირითადი სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ რ. ჯ.-ს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით. ასევე დაემატა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 5 დეკემბრის განაჩენით დანიშნული დამატებითი სასჯელი – ჯარიმა 3000 ლარი.

მსჯავრდებულ რ. ჯ.-ს პატიმრობაში ყოფნის დრო ჩაეთვალა სასჯელის ვადაში და სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო ფაქტობრივი დაკავების დღიდან – 2015 წლის 5 სექტემბრიდან.

ა. გ., – ... (ცნობილი იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა.

ა. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით.

მსჯავრდებულ ა. გ-ს პატიმრობაში ყოფნის დრო ჩაეთვალა სასჯელის ვადაში და სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო ფაქტობრივი დაკავების დღიდან – 2015 წლის 5 სექტემბრიდან.

გ. გ., – ... – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით.

მსჯავრდებულ გ. გ-ს პატიმრობაში ყოფნის დრო ჩაეთვალა სასჯელის ვადაში და სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო ფაქტობრივი დაკავების დღიდან – 2015 წლის 9 სექტემბრიდან.

ბ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლით.

მსჯავრდებულ ბ. ა-ს პატიმრობაში ყოფნის დრო ჩაეთვალა სასჯელის ვადაში და სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო ფაქტობრივი დაკავების დღიდან – 2016 წლის 25 თებერვლიდან.

დ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით.

მსჯავრდებულ დ. ა-ს 2015 წლის 5 სექტემბრიდან 2015 წლის 7 სექტემბრის ჩათვლით პატიმრობაში ყოფნის დრო ჩაეთვალა სასჯელის ვადაში და სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო ფაქტობრივი დაკავების დღიდან – 2016 წლის 19 აპრილიდან.

ლ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის –

თავისუფლების აღკვეთა 10 წლით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 3 წლით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელებიდან უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და ლ. ა-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დანიშნულმა სასჯელმა მთლიანად შთანთქა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 ივლისის განაჩენით დანიშნული ძირითადი სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ ლ. ა-ს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით.

მსჯავრდებულ ლ. ა-ს პატიმრობაში ყოფნის დრო ჩაეთვალა სასჯელის ვადაში და სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო ფაქტობრივი დაკავების დღიდან – 2015 წლის 5 სექტემბრიდან.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 24 მაისის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 3 ივნისის განაჩენში შევიდა ცვლილება მხოლოდ ლ. ა-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდების ნაწილში, კერძოდ: ლ. ა. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა. საბოლოოდ ლ. ა-ს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით. მსჯავრდებულ ლ. ა-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო ფაქტობრივი დაკავების დღიდან – 2015 წლის 5 სექტემბრიდან.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 3 იანვრის განაჩენით მსჯავრდებულების – ბ. ა-სა და გ. გ-ს, მსჯავრდებულ რ. ჯ-ს ადვოკატის – ს. ბ-ს, მსჯავრდებულ ა. გ-ს ადვოკატების – ო. გ-სა და მ. რ-ს საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; მსჯავრდებულ ლ. ა-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მსჯავრდებულ დ. ა-ს ადვოკატების – ა. ა-სა და ს. ბ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა;

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 24 მაისის განაჩენში შევიდა ცვლილება:

მსჯავრდებული ლ. ა. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში (რ. ხ-ს

ეპიზოდი). მსჯავრდებულ ლ. ა-ს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით (კ. ფ-ს ეპიზოდი) განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 ივლისის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ ლ. ა-ს სასჯელის სახით განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა აეთვალა 2015 წლის 5 სექტემბრიდან.

მსჯავრდებული დ. ა. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ და მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში. დ. ა. დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან. გამართლებულ დ. ა-ს განემარტა, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 24 მაისის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

4. 2018 წლის 7 ნოემბერს მსჯავრდებულების – რ. ჯ-სა და ა. გ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ლ. კ-მ შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, რომლითაც ითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 3 ივნისის განაჩენის გადასინჯვა შემდეგ გარემოებათა გამო: მსჯავრდებულები – რ. ჯ. და ა. გ. თავს დამნაშავედ არ ცნობდნენ და მიუთითებდნენ დაკავებისას სამართალდამცავი ორგანოების მიერ მათზე განხორციელებულ ფიზიკურ, მორალურ და ფსიქოლოგიურ ზემოქმედებაზე, რასაც არცერთი ინსტანციის სასამართლომ არ მიაქცია ყურადღება. მხოლოდ მსჯავრდებულების დაჟინებული მოთხოვნისა და კანონის შესაბამისად, სსკ-ის 144<sup>3</sup>-ე მუხლით დაიწყო სისხლის სამართლის გამოძიება ძალადობის, შეურაცხყოფისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე, რამაც იმოქმედა მათ მიმართ შეკრებილ მტკიცებულებებზე, რაც დასტურდება 2018 წლის 12 ოქტომბერს დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის უფროსი გამომძიებლის – ი. ფ-ს მიერ გაცემული ცნობით; მსჯავრდებულების – რ. ჯ. და ა. გ-ს საჩივარი გაგზავნილია სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, მათ მიმართ განხორციელებული არაადამიანური, წამების, დამამცირებელი მოპყრობის, ევროპული სასამართლოს კონვენციით მინიჭებული უფლე-

ბების დარღვევის ფაქტზე. საჩივარი სტრასბურგის სასამართლომ მიიღო წარმოებაში და საჭიროებს სამართლებრივ შეფასებას; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 3 ივნისის განაჩენით დაყადლებულია ა. გ-ს კუთვნილი ნივთები, რომლებიც სს საქმეზე ცნობილია ნივთმტკიცებად, როგორც დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელი, მაგრამ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით სს საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილია ა. გ-ს კუთვნილი ნივთები, რომლებიც გამოძიებამ ამოიღო როგორც ნივთმტკიცება, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2017 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით არ მიიჩნია დანაშაულის ჩადენის შედეგად ამოღებულ ნივთებად, რაც მიქცეული იქნა მიღებული გადაწყვეტილების აღსასრულებლად, როგორც ა. გ-ს კუთვნილი ქონება. აღნიშნული ადასტურებს მის მიერ სასამართლო განხილვის სხდომაზე მიცემული ჩვენების სისწორეს – რომ ეს ნივთები ა. გ-ს არ ჰქონია დანაშაულებრივი გზით მოპოვებული და წარმოადგენდა მის საკუთრებას, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ა. გ-ს უდანაშაულობაზე; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 3 იანვრის განაჩენით ლ. ა-ს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ, ხოლო დ. ა-ს საჩივარი მთლიანად დააკმაყოფილდა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს რ. ჯ-სა და ა. გ-ს უდანაშაულობაზე.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 27 ნოემბრის განჩინებით მსჯავრდებულების – რ. ჯ-სა და ა. გ-ს ინტერესების დამცველის ადვოკატ – ლ. კ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 27 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულების – რ. ჯ-სა და ა. გ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ლ. კ-მ, რომელმაც მოითხოვა აღნიშნული განჩინების გაუქმება და შუამდგომლობის განსახილველად დაშვება იმავე საფუძვლებით, რაზეც უთითებდა სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლობაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივებს შუამდგომლობასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მასალების ერთობ-



ლივი ანალიზის საფუძველზე საქმის გარემოებები სამართლებრივად სწორად შეაფასა.

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით (განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძველად დაედო გადასასინჯ განაჩენს) განაჩენის გადასინჯვის საფუძველად კასატორი მიუთითებს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმადაც, სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებულ ოქროს ნივთებზე დადებული ყალბა დარჩა უცვლელად. საკასაციო პალატისთვის გაუგებარია, თუ რა ფორმით ადასტურებს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება იმ მტკიცებულებათა სიყალბეს, რომლებსაც ეფუძნება გამამტყუნებელი განაჩენი რ. ჯ-სა და ა. გ-ს მიმართ.

4. კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის საფუძველი ვერ გახდება 2018 წლის 12 ოქტომბერს დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის უფროსი გამომძიებლის – ი. ფ-ს წერილი იმის შესახებ, რომ მიმდინარეობს გამოძიება შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გამო, ვინაიდან დანაშაულის ჩადენის ფაქტი შესაძლოა, დადასტურდეს მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით, რაც არ არის ნარმოდგენილი.

5. განაჩენის გადასინჯვას საფუძველად ვერ დაედება ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის მიმართვისა და საჩივრის დარეგისტრირების ფაქტი, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება.

6. უსაფუძველოა ასევე კასატორის მითითება იმის შესახებ, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 3 იანვრის განაჩენით ლ. ა-ს საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ, ხოლო დ. ა-ს საჩივრის მთლიანად დაკამოფილება მიუთითებს რ. ჯ-სა და ა. გ-ს უდნაშაულობაზე, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ერთად განიხილა ზემოაღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში მსჯავრდებულ პირთა – რ. ჯ-ს, ა. გ-ს, გ. გ-ს, ბ. ა-ს, დ. ა-სა და ლ. ა-ს საჩივრები, ხოლო განიხილ-

ვის შედეგად დაასკვნა, რომ დ. ა-სა და ლ. ა-ს მიმართ არსებული მტკიცებულებები არ იყო საკმარისი გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით მათი დამნაშავედ ცნობისათვის, ხოლო რ. ჯ-სა და ა. გ-ს ინტერესების დამცველის, მიერ მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა მიიჩნია დადასტურებულად.

7. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება მსჯავრდებულების – რ. ჯ-სა და ა. გ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ, ლ. კ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე კანონიერი და დასაბუთებულია, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ ბ ი ნ ა :**

1. მსჯავრდებულების – რ. ჯ-სა და ა. გ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. კ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 27 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის  
გადასინჯვის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის  
შესახებ განჩინების უცვლელად დატოვება**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ნაგ-19

30 ივლისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. გ-ს საკა-  
საციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის  
სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის  
2018 წლის 8 ნოემბრის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-  
მეთა კოლეგიის 2005 წლის 5 მაისის განაჩენით რ. გ. ცნობილ იქნა  
დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე  
მუხლის მე-3 ნაწილით (1960 წლის რედაქცია) და სასჯელის სახედ  
და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით.

რ. გ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2005 წლის 5 მაისიდან.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 10 ნოემ-  
ბრის განჩინებით ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სა-  
მართლის საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 5 მაისის განაჩენში შევი-  
და ცვლილება, კერძოდ, რ. გ-ს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის  
მე-3 ნაწილით (1960 წლის რედაქცია) დანიშნული სასჯელი შეუმ-  
ცირდა ერთი წლით და საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად გა-  
ნესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

3. 2018 წლის 15 ოქტომბერს ქუთაისის სააპელაციო სასამარ-  
თლოს შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა რ. გ-მ და სა-  
ქართველოს სსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე ით-  
ხოვა ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-  
მეთა კოლეგიის 2005 წლის 5 მაისის განაჩენის გადასინჯვა.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 8 ნოემბრის  
განჩინებით რ. გ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოე-  
ბათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე, არ იქნა დაშვებული

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატის სხდომაზე განსახილველად.

5. კასატორი – მსჯავრდებული რ. გ. საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 8 ნოემბრის განჩინების გაუქმებას. კასატორის განმარტებით, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 1960 წლის რედაქცია); არსებობს გარემოება, რომელიც მოწმობს იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ მსჯავრდებულ რ. გ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. განსახილველ შემთხვევაში რ. გ. საკასაციო საჩივარში სამართლებრივად აფასებს იმ მტკიცებულებებს, რომლებიც ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 5 მაისის განაჩენს დაედო საფუძვლად, თუმცა ახალი გარემოება, ფაქტი ან მტკიცებულება, რაც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და მოწმობს იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გამამტყუნებელ განაჩენს, სასამართლოში არ წარმოუდგენია. შესაბამისად, საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

3. ამდენად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება კანონიერი და მისი გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

## **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ რ. გ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 8 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის  
ბადანინჯვის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის  
შესახებ განჩინების უცვლელად დატოვება**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№18აგ-19

16 ოქტომბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. თ-ს და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ნ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 8 აპრილის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 მარტის განაჩენით:

კ. თ. უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში.

კ. თ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 144<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ზ. ა-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 144<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე.

კ. თ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 144<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ზ“, „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლით. მასვე 4 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის თანახმად, კ. თ-ს ერთი მეოთხედით შეუმცირდა როგორც თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი, ისე თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევის სახით დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლით, ხოლო 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება.

კ. თ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 144<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილით (დ. ძ-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 144<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე.

კ. თ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 144<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ზ“, „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლით. მასვე 4 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის თანახმად, კ. თ-ს ერთი მეოთხედით შეუმცირდა როგორც თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი, ისე თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევის სახით დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლით, ხოლო 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება.

კ. თ. უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში (ზ. ა-ს ეპიზოდი).

კ. თ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ზ. ა-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის თანახმად, კ. თ-ს ერთი მეოთხედით შეუმცირდა დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით.

კ. თ. უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში (დ. ძ-ს ეპიზოდი).

კ. თ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დ. ძ-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის თანახმად, კ. თ-ს ერთი მეოთხედით შეუმცირდა დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, კ. თ-ს, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლით, ხოლო 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 18 დეკემბრის განაჩენით:

კ. თ. უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2013 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, ორი ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში.

კ. თ. უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში (ორი ეპიზოდი).

კ. თ. უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში (დაზარალებულ დ. ძ-ს ეპიზოდი).

კ. თ. უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 144<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ზ“ და „ე“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ დ. ძ-ს ეპიზოდი).

კ. თ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის თანახმად, კ. თ-ს ერთი მეოთხედით შეუმცირდა დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით.

კ. თ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 144<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილით (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციით, დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 144<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია). კ. თ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 144<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ზ“ და „ე“ ქვეპუნქტებით (2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, დაზარალებულ ზ. ა-ს ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლით, მასვე 4 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის თანახმად, კ. თ-ს ერთი მეოთხედით შეუმცირდა დანიშნული სასჯელები და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლით, ხოლო 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, კ. თ-ს სასჯელის სახედ

და ზომად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 3 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება.

3. 2019 წლის 25 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა კ. თ-მ (ადვოკატთან ერთად), რომელმაც ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 18 დეკემბრის განაჩენის გადასინჯვა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 8 აპრილის განჩინებით მსჯავრდებულ კ. თ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

5. კასატორი – კ. თ. და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. ნ. ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 8 აპრილის განჩინების გაუქმებას. დაცვის მხარის პოზიციით, კ. თ-ს 2019 წლის 25 მარტის შუამდგომლობის განხილვაში მონაწილეობდა ორი მოსამართლე, რომლებიც მონაწილეობდნენ სააპელაციო სასამართლოში იმავე სისხლის სამართლის საქმის განხილვასა და 2017 წლის 18 დეკემბრის განაჩენის დადგენაში. შესაბამისად, მათ საპროცესო კოდექსის თანახმად, უფლება არ ჰქონდათ, მონაწილეობა მიეღოთ იმავე საქმის განხილვაში.

6. საკასაციო საჩივარში აგრეთვე აღნიშნულია, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინების დასაბუთება ნახევარგვერდიანია, მცირეა, რის გამოც არასაკმარისია. მასში გამოტოვებულია მსჯელობა სატელეფონო ანძების მონაცემებზე. სააპელაციო სასამართლომ ახლად გამოვლენილ გარემოებად არ მიიჩნია ის ფაქტი, რომ ბ. ბ., რომელმაც როგორც თვითმხილველმა მოწმემ, ჩვენება მისცა ზ-ს რაიონის ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულზე, რეალურად სამსახურებრივი მივლინებით იმყოფებოდა გ-ი. საქმის განხილვის დროს ბ. ბ-ს მივლინებაში ყოფნის ფაქტი იყო უცნობი. „ს-ის“ წერილებით დასტურდება, რომ დანაშაულის ჩადენის დროს ბ. ბ-ს ემსახურებოდა სატელეფონო ანძები, რომლებიც განთავსებულია ა-ს ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე და მას არ დაუტოვებია აღნიშნული რეგიონი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახლად გამოვლენილ გა-



რემოცხათა გამო განაჩენი გადაისინჯება, თუ წარდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო.

3. საკასაციო პალატა შუამდგომლობასა და საჩივარში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით (ბ. ბ-ს მივლინებაში ყოფნისა და მისი ადგილსამყოფლის დასადასტურებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის თაობაზე) იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს პოზიციას. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საჩივარში არ არის მითითებული ისეთ ახალ ფაქტსა ან მტკიცებულებაზე, რომლის წარმოდგენაც დაცვის მხარეს დაინტერესების შემთხვევაში საქმის არსებითად განხილვის დროს არ შეეძლო.

4. პალატა ასევე ვერ დაეთანხმება კასატორის მითითებას, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ განიხილა. პალატა აღნიშნავს, რომ საქმის არსებით განხილვაში მონაწილეობა მოსამართლეს არ უზღუდავს უფლებას, მონაწილეობდეს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის განხილვაშიც. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე საკასაციო სასამართლოს არაერთხელ აქვს ნამსჯელი (მაგ. იხ. 12აგ-18 და №220აგ-16 გადაწყვეტილებები).

5. ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება კანონიერია, მისი გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. მსჯავრდებულ კ. თ. და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ნ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 8 აპრილის განჩინება მსჯავრდებულ კ. თ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 299 71 34  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)